# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 2 თებერვალი 2001 №16 (1289) | ფასი 50 თეთრი

**7** ისტერიიდან ისტორიაში



ოლივერ კანი: მიუნხენის კედელი უნდა დაინგრეს!

**7** ძროხები ჩქარა!



„აიაქსის“ ქომაგებმა „ამსტერდამ არენას“ მსხვილფეხა რქოსანი შეუსიეს

**9** არიგოს პარმამ რა არგო



ან დანიშვნა რა იყო, ან წასვლა...

**15** ხალხო, მიყურეთ!



მძიმეწონოსანი ჩემპიონის ლენოქს ლუისის ბრძოლებს მაყურებელი უფასოდ იხილავს

# თბილისი: რას მიიღებს დინამო? კიევი: რას გასცემს დინამო?

## უკრაინა სურკისს ელის, ჟორდანია კი პატრონს

საქართველოში დაწყებული საქმე, როგორც ჩანს, უკრაინაში გაგრძელდება. კახა კალაძის თბილისის „დინამოდან“ კიევისაში გადასვლისას კლუბთა შორის დადებულ კონტრაქტზე მოგახსენებთ.

გუშინწინდელ „სარბიელში“ ამ კონტრაქტის იმ პუნქტებს წაიკითხავდით, სადაც ფინანსურ ვალდებულებებზე წერია. შეთანხმებას თბილისისა და კიევის „დინამოების“ მაშინდელი, ახლა კი საქართველოსა და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტები, მერაბ ჟორდანია და გრიგორი სურკისი აწერენ ხელს. ამ კონტრაქტის ასლით, რომელიც ვაჟა ჟვანიამ გამოაჩინა, ქართულ „დინამოს“ უკრაინულისგან იმ თანხის ნახევარი ეკუთვნის, კიეველებს კალაძის გაყიდვით „მილანისგან“ რომ ერგებათ. თუმცა, როგორც მერაბ ჟორდანიამ გვითხრა, არსებობს იურიდიული ძალის მქონე მეორე კონტრაქტი, სადაც ყველა, ოთხივე ფურცელზე მისი და სურკისის ხელმოწერაა ბეჭდითურთ და ჟვანიას ხელთ არსებული კონტრაქტისგან განსხვავებით, რამდენიმე პუნქტი შეცვლილია, მათ შორის ისიც, რომელშიც თანხის გაყოფაზეა ლაპარაკი.

ამ საქმით ქართველი ჟურნალისტები ხომ დავინტერესდით და, როგორც უკრაინელმა კოლეგებმა გვითხრეს, მათაც არანაკლებ აინტერესებთ, გასაყოფია თუ არა ორ „დინამოს“ შორის კალაძის „მილანში“ გადასვლისთვის კუთვნილი თანხა.




გუშინ კიეველი ჟურნალისტებიც და ჩვენც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გრიგორი სურკისთან დაკავშირებას ვცდილობდით, მაგრამ მივლინებაშია და კიევში კვირის ბოლოს დაბრუნდებაო, გვითხრეს. სურკისის არყოფნაში კი კიევის „დინამოსა“ და ფეხბურთის ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებსაც პირში წყალი ჩაუგუბებიათ — კონკრეტულს თურმე არავინ არაფერს ამბობს და სურკისის დაბრუნებას ელიან.

ჩვენთან კი, როგორც მერაბ ჟორდანიამ გვითხრა, დღე-დღეზე უნდა გაირკვეს თბილისის „დინამოს“ პატრონი და პრეზიდენტიც სწორედ მას ეტყვის, რამდენი ეკუთვნის „დინამოს“ კალაძის „მილანში“ გადასვლის შემდეგ, ან კიდევ, საერთოდ ეკუთვნის, თუ არა.

სატრანსფერო თანხის ნახევარზე თავად კახი კალაძესაც დავეკითხეთ, მაგრამ მან მოკლედ მოგვიჭრა, კლუბებს შორის გაფორმებული კონტრაქტის დეტალებზე არაფერი ვიციო.

ერთი სიტყვით, „დინამოს“ მისაღებ-არმისაღებთან დაკავშირებით ჯერ კვლავაც გაურკვეველი ვითარებაა, თუმც იმედია, ყველაფერი მალე გაცხადდება.

**კობა ინასარიძე**

# შენ აქ დარჩები!

## შოტლანდიელებმა გიორგი ნემსაძე იტალიაში არ გაუშვეს

იყო შანსი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი და შოტლანდიური „დანდის“ ნახევარმცველი გიორგი ნემსაძე ისევ იტალიაში დაბრუნებულიყო და კახა კალაძის დარად სერია A-ში ეთამაშა. დაბრუნებულიყო, რადგანაც „დანდიში“ გადასვლამდე, თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივში“ ჩატარებულ ორ-სამ თამაშს თუ არ ჩავთვლით, ის სერია B-ს „რეჯანას“ წევრი გახლდათ.

ახლახან იტალიელები „დანდის“ ხელმძღვანელებს დაკავშირებიან და გიორგი ნემსაძის გადაბირებაზე ჩამოუგდიათ სიტყვა. თავად გიორგიმ ამის თაობაზე მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც შოტლანდიელებმა იტალიელები უარით გაისტუმრეს. დაინტერესებული გუნდის ვინაობა კი დანდელებს ჩვენებურისთვის აღარ გაუმხელიათ.

— კლუბს ახალი პატრონი ჰყავს, რომელსაც სერიოზული მიზნები აქვს — სამ წელიწადში გუნდის გაჩემპიონება და ევროთასებზე წარმატებით თამაში. ამიტომაც ერიდება ახლა ფეხბურთელთა გაყიდვას. ზაფხულში „დანდის“ შემადგენლობა საფუძვლიანად გადახალისდა, ჩემიანად ბევრი ახალი ფეხბურთელი მოვიდა და ამ სეზონის გასრულებამდე არა მგონია, გუნდი ვინმეს შეელიოს. მათ შორის მეც. ისე კი, რა თქმა უნდა, ჩემი ნება რომ იყოს, სერია A-ში თამაში მირჩევნია. „დანდის“ დაუკითხავად, აბა, როგორ წავიდე, ამ გუნდთთან სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ამის გარდა, კიდევ ორი სეზონი დამრჩა აქ სათამაშო. თუმც გამორიცხული არც ისაა, შოტლანდია მანამდეც დავტოვო. თუ დაინტერესებული კლუბის წინადადებამ „დანდი“ მოხიბლა, არა მგონია, წასვლაში ხელი შემიშალონ — გვითხრა გიორგი ნემსაძემ, წუხელ შოტლანდიაში რომ შევეხმიანეთ.

ისე კი, იტალიელთა ნემსაძით დაინტერესება არახალია. რამდენჯერაც გიორგის იტალიის ნაკრების წინააღმდეგ უთამაშია, მეტოქეები იმდენჯერ უნერვიულებია და მათთვის თავიც მოუწონებია. მას იტალიელები ადრეც არაერთხელ შეხმიანებიან, მაგრამ სერია A-მდე საქმე არ მისულა.

**კობა ინასარიძე**



გიორგი ნემსაძე იტალიელებთან არ ალაპარაკეს

# ოცი ნაკერი ტრანსფერის ნაცვლად

22 წლის არჩილ სახვაძის თბილისის „დინამოდან“ ავსტრიულ „რიდში“ მისვლის ამბავი გეხსომებათ. ავსტრიელებს ჩვენებური ერთობ მოეწონათ, კონტრაქტს საცაა, გაგიფორმებთ, შინ ნუღარ მიბრუნდებიო, მაგრამ აჩიკო ახალდაქორწინებული გახლავთ და რამდენიმე დღით თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა. სახვაძე დღე-დღეზე ელოდა ზარს ავსტრიიდან, თუმცა უცნობი მიზეზის გამო მისი „რიდში“ ტრანსფერი ჭიანურდება. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ არჩილ სახვაძეს ქუთაისის „ტორპედოც“ ეპატიჟება.

გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო და სახვაძეს კიდევ ერთი უსიამოვნება შეემთხვა — ავტოავარიაში მოჰყვა. საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ეგაა, თავზე ოცი ნაკერი დაადეს, თუმცა ტვინის შერყევის მსუბუქი ფორმაც არ აღენიშნება და 3-4 დღეში ლოგინიდანაც წამოდგება.

**დავით თავართქილაძე**



არჩილ სახვაძე ავსტრიის ნაცვლად ავარიაში მოხვდა

# სტუდენტებს ზღვა შეუყვარდათ

თბილისურმა თსუ-მ საგაზაფხულო ეტაპისთვის სამზადისში ერთი შეკრება უკვე მოილია. სტუდენტები ორი კვირით მალთაყვაში გადიოდნენ მზადებას და მთავარ მწვრთნელ მერაბ კოჭლაშვილის თქმით, ნაყოფიერედაც ივარჯიშეს.

თსუ-მ ოთხი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ორჯერ ერთნაირი ანგარიშით — 0:1 წააგო ფოთის „კოლხეთთან“, „კოლხეთი 2“-თან ფრედ 2:2 ითამაშა, ხოლო „ბათუმთან“ 1:3 დამარცხდა.

მოგეხსენებათ, საშუასეზონო პერიოდში სტუდენტური კლუბი არაერთმა მოთამაშემ დატოვა, მათ ნაცვლად გაზაფხულზე ახალწვეულები ეცდებიან თავის გამოჩენას, თუმცა, როგორც კოჭლაშვილი ამბობს, გუნდის ჩამოყალიბება ჯერაც არ დასრულებულა და გარკვეული ცვლილებები კიდევ არის მოსალოდნელი.

თსუ გუშინწინ დაბრუნდა მალთაყვიდან და 14 თებერვლამდე თბილისში ივარჯიშებს. 15-ში კი ისევ მალთაყვას მიაშურებს ათდღიან შეკრებაზე. ეტყობა, სტუდენტებს ზღვისპირეთი ზამთარშიც ძალიან მოსწონთ.

**დათო დანელია**

# ვეტერინარებმა ასკოლი აჯობეს

იტალიურ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ „ნორჩას ზამთრის თასზე“ მეორე მატჩიც დიდი ანგარიშით, 6:0 მოიგო და რუმინულ „სტიაუასთან“ ჯგუფის მესამე მატჩში შედეგის მიუხედავად (ის



თემურ მახარაძე

მატჩი ხვალ ჩატარდება), მეოთხედფინალში გავიდა.

გუშინ „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქემ, სერია C-ს „ასკოლიმ“, ჩვენებურებს ძირითადი შემადგენლობა კი დაუპირისპირა, მაგრამ ეტყობა, ვეტერინარები მართლაც ჩინებულ ფორმაში არიან. ექვსი გატანილი გოლიდან ორი ქორიძის, ხოლო თითოც მელქაძის, გოგობერიშვილის, გოცირიძისა და წუწუნავას ანგარიშზეა.

თემურ მახარაძემ გუნდი ისევ განსხვავებული შემადგენლობებით ათამაშა. პირველ ნახევარში ასეთი თერთმეტეული გავიდა საბრძოლველად:

*მერლანი, საჯაია, არსოშვილი, კობიაშვილი, გოგობერიშვილი, ნოზაძე, დილმელაშვილი, ყიფიანი, გოჩაშვილი, ქორიძე მელქაძე.*

*მეორე ტაიმში კი ჭურაძე, ჭანკოტაძე, გოცირიძე, ადამია, წუწუნავა, ინწკირველი, სულთანიშვილი, ხაჭაპურიძე, მუჯირი, გვაზავა და დოლიძე* თამაშობდნენ.

თემურ მახარაძემ ეს ინფორმაცია მოგვაწოდა და მცირე კომენტარიც არ დაიზარა:

— იდეალურ პირობებში ვემზადებით. ირგვლივ ფეხბურთის ბუმია და ბიჭებიც ალმაფრენით ვარჯიშობენ. წარმოიდგენია მათი ემოციური მდგომარეობა. თბილისში უშუქობით და სხვადასხვა პრობლემით გაწამებულები უეცრად სამოთხეში მოხვდნენ. იტალიური შეკრების მოწყობით კლუბის პრეზიდენტმა დიდებული საჩუქარი უძღვნა ფეხბურთელებს.

ყოველდღე სამჯერადი ვარჯიშები გვაქვს, თამაშის დღეებშიც კი. გადაღლილობა არ გვაშინებს. ორი გუნდით ვთამაშობთ და ბიჭები ძალებს თავისუფლად ანაწილებენ.

ექვსი დღეა, ვარჯიში დავიწყეთ და ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ. გოგობერიშვილი და არსოშვილი ოპტიმალურ ფორმას ნელ-ნელა უახლოვდებიან, მეკარე ჭურაძემ საგრძნობლად მოუმატა. არც სხვებზე მეთქმის საყვედური.

„არაუსთან“ 4-4-2 ტაქტიკური სქემით ვითამაშეთ, ასკოლისთან 3-5-2 გამოვიყენეთ. ბიჭებს ყველაფერი გამოსდიოდათ, დავალებები ბოლომდე შეასრულეს, თუმც ჩვენი ძალა მაინც „სტიაუასთან“ მატჩში გამოჩნდება. რუმინელები ძირითადი გუნდით დაგვიპირისპირდებიან და ვნახოთ, რა გამოგვივა.

ტურნირს რაც უფრო მეტხანს შემოვრჩებით მით უკეთესი, მაგრამ ჩვენი გეგმები ასეთია: როგორც კი ტურნირიდან გავთავისუფლდებით, ამხანაგურად სერია A-ს „პერუჯას ვეთამაშებით. დანარჩენი კი ვნახოთ, მოლაპარაკებები კიდევ გრძელდება.

**დათო დანელია**

# ჭორებს ნუ აჰყვებით...

თავიდან თქვეს, საზარდულმა შეაწუხაო... ეტყობოდა კიდეც, ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის“ მეკარე გიორგი ლომაია ბოლო დროს ვერ იყო ჩვეულ ფორმაში.

საშემოდგომო ეტაპი დასრულდა თუ არა, რკინიგზელებმა მეკარე ექიმებს მიჰგვარეს, გამოკვლევა ჩაუტარეს და დაადგინეს — ლომაიას საზარდულები არ აწუხებს, საზარდულთან ახლო მდებარე სისხლძარღვთა სისტემაა დაზიანებულიო.

ექიმებმა დიაგნოზი არ იკმარეს და მეკარეს პირდაპირ ურჩიეს, სანამ არ გართულებულა და სავალალო შედეგი არ მოუტანია, გიჯობს, ოპერაცია გაიკეთოო.

ლომაიაც დაყაბულდა, ახლა ოპერაციაც უკან დარჩა და ერთთვიანი აღდგენითი პროცესიც. გიორგიმ ვარჯიში 10 იანვარს დაიწყო და დღეისთვის წვრთნას სრული დატვირთვით განაგრძობს.

6 თებერვალს „ლოკომოტივი“ კვიპროსულ, ორკვირიან შეკრებაზე მიემგზავრება. რა თქმა უნდა, ლომაიაც თან მიჰყვება გუნდს და სწორედ ეგ არის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოუძახებლობის მიზეზიც.

ზოგი კი ამბობდა, ლომაია „ლოკომოტივს“ გაეყარაო...

**დათო დანელია**



გიორგი ლომაია ლომივითაა

# ვიდრე ფეხბურთს სჭირდება

სტენლი მეტიუზი 54 წლისა წავიდა ფეხბურთიდან და ამბობენ, თამაში კიდევ ძალუძდაო...

დინო ძოფი 40-ს მიტანებული იყო, მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა...

როჟე მილა 42 წლისა კიდევ ბევრს სჯობდა...

ინგლისელი, იტალიელი, კამერუნელი... მხოლოდ სამი ჩამოვთვალეთ, რომლებიც უცბათ გაგვახსენდა. მათ გარდა კიდევ არაერთი ოსტატი თამაშობდა დროულ ასაკამდე.

ყველას თავისი ქვეყნის მოთამაშე ახსოვს და არ ავიწყდება. ასაკოვანი ფეხბურთელები ეროვნულ ჩემპიონატშიც ბევრი გვყოლია. აბა, მერაბ მეგრელაძეს რა დაგვავიწყებს, შვილის მხარდამხარ უთამაშია და მასზე მხნედაც გამოიყურებოდა.

იყო ალკაზ ქანთარია, მალხაზ მახარაძე, გიორგი ყიფშიძე, როსტომ თორღაშვილი. რეკორდსმენი ჯიმშერ მარეხაშვილი ახლახან დაეთხოვა საყვარელ საქმეს.

...და არის თამაზ კიკლიაშვილი, რომელიც 37 წლისაა და თამაშობს.

არასდროს მომცემია შანსი, გავსაუბრებოდი, გამეგო მისი აზრი ფეხბურთზე, ეროვნულ ჩემპიონატზე. მახსოვს „ბათუმიდან“, „ტორპედოდან“, „კოლხეთიდან“. თამაზ კიკლიაშვილი ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც საბჭოთა კავშირის საფეხბურთო სკოლა გამოუვლიათ.

ტექნიკური, საზრიანი ნახევარმცველი, ზუსტი პასებითა და ძლიერი დარტყმებით გამორჩეული, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავის ამპლუაში დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა ეროვნულ ჩემპიონატში.

რატომ შერჩენია აქამდე ქართულ ფეხბურთს? ალბათ, საკეთებელი სხვაც არაფერი აქვსო, იტყვის მავანი, მაგრამ კიკლიაშვილი, რომელიც ოც წელიწადზე მეტია, თამაშობს, როგორმე საქმეს გამონახავდა.

მოვა დრო, სულ მალე თამაზი თავად გასცემს ზემოთ დასმულ კითხვას პასუხს. მანამდე კი ამას მოგახსენებთ — იმიტომ დარჩა, რომ ვიღაცას ფეხბურთში ჯერაც სჭირდებოდა.

მეთერთმეტე ეროვნულის დაწყებისას გავიგეთ, რომ „კოლხეთი“ რუსული „ნეფტოხიმიკიდან“ საქართველოში გადმობარგებულ კიკლიაშვილს იმატებსო. მაშინ არჩევანი დავუწუნეთ ფოთელებს, ეგ რამ გაახსენათო, მაგრამ გამოხდა ხანი და კიკლიაშვილმა ბევრი გააოცა.

ისევ ის ტექნიკური გამთამაშებელი, ზუსტი პასებითა და ძლიერი დარტყმით ყველასგან გამორჩეული. იქნებ სხვებზე ცოტას მოძრაობს, მაგრამ უდიდესი გამოცდილების ხარჯზე სხვებზე სასარგებლოა.

ეროვნული ჩემპიონატის შემყურეებს არაერთი უმსგავსო საქციელი გვიხილავს ქვეყნის სტადიონებზე. უხეშობა და ბილწსიტყვაობა ხომ ჩვეულებრივი ამბავია. ბევრი თავმომწონე ფეხბურთელი შეგვინიშნავს არასაკადრის საქციელში, მაგრამ...

თავისი წილი „ცოდვა“ მასაც ჰქონია, თუმც ასაკს და გამოცდილებას სიკეთეც მოაქვს. კიკლიაშვილი მინდორზე არ იგინება, მუდამ კორექტულია და არც უხეშობს. მსაჯებს არ ეკამათება, საუკეთესო მაგალითის მიმცემია ახალგაზრდა თანაგუნდელებისთვის.

...და რატომ არ უნდა ითამაშოს ასეთმა ფეხბურთელმა კიდევ რამდენიმე წელიწადს?..

მეთერთმეტე ეროვნულის ბოლო ეტაპზე კიკლიაშვილი „კოლხეთის“ სული და გული იყო. მეთორმეტე გათამაშებაშიც ლიდერი გახლდათ, თუმც ბოლოსკენ უეცრად გუნდიდან გაქრა.

კიკლიაშვილი ფეხბურთიდან მიდისო, დაირხა ხმა და წამსვე აგორდა... ცოტა გულიც დამწყდა. არა, იმიტომ კი არა, რომ დრო არ იყო, არამედ იმიტომ, რომ სადაც სხვებს, მასაც ეკუთვნოდა ღირსეული გაცილება.

შობა-ახალწელმა ჩაიარა და კიკლიაშვილიც ისევ გამოჩნდა „კოლხეთში“. აღმოჩნდა, რომ არსადაც არ აპირებდა წასვლას, რადგან ჯერაც ვიღაცას სჭირდება.

მან მოაგვარა პირადი პრობლემები და „კოლხეთთან“ ერთად ბულგარეთშია შეკრებაზე.

**მამუკა ქვანტალიანი**

## იტალია

თასის ნახევარფინალი

I მატჩი

**უდინეზე 2:1 პარმა**

0:1 ამოროზო (6), 1:1, 2:1 მარჯოტა (75, 90)

## ამხანაგური მატჩი

**შვედეთი 0:1 ფინეთი**

0:1 მარიამაა (38)

## ჰოლანდია

XIX ტური

**გრააფსხაპი 1:3 აიაქსი**

1:0 ვისკაალი (12), 1:1 არველაძე (28), 1:2 მახლასი (45), 1:3 ვაარტი (57)

## თურქეთი

თასის მეოთხედფინალი

**ანკარაგიუჯიუ 1:3დ.დ. (1:1) ფენერბაჰჩე**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

*მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით*

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109


ზაზა ჯანაშია მიდის და მოდის

გურამ ცქიტიშვილის ფოტო

# ანეკდოტი ზაზაზე

## როდის წაართმევენ ჯანაშიას ჯიპს?

...ზუგდიდში სკოლის მოსწავლე უდარდელად გადადის ქუჩის ერთი ნაპირიდან მეორეზე. იმარჯვა ტრასაზე მქროლავი ავტომანქანის მძღოლმა, ბოლო მომენტში შეძლო დამუხრუჭება.

გადმოუხტა მძღოლი მოსწავლეს და გინებით აიკლო. შე ცოლ-შვილ გასახარებელო, რატომ მღუპავდიო, ბოლოს ეს მიაძახა.

ის სკოლის მოსწავლე ზაზა ჯანაშია იყო.

ეს ანეკდოტი გიორგი ქინქლაძემ მოუგონა ჯანაშიას. საქართველოს ეროვნული გუნდი რუსებთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადებოდა და კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში იყო დაბინავებული.

ანეკდოტი ერთ საკითხზე კამათს მოჰყვა. ნაკრების წევრები იმაზე დავობდნენ, ვინ რამდენი წლისამ ითამაშა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

ქინქლაძემ ხუმრობაში, რაზეც თავად ზაზამაც იცინა, ერთი სიმართლეც ჩააქსოვა — ჯანაშიას სხვებზე ადრე არა, მაგრამ მათზე გაცილებით ახალგაზრდას დაუჭაშნიკებია ჩემპიონატის უპირველესი ლიგა.

...ნაადრევად დაკაცდა და ურთიერთობაც სულ გაცილებით უფროსებთან ჰქონდა. ამის გამო არაერთ ხათაბალასაც გადაჰყრია, მაგრამ სწორედ ამან გამოაწრთო, უტეხი ხასიათი ჩამოუყალიბა.

„ეგ ისეთია, გაიტანს", თქვა პირველად ოთარ გაბელიამ და მინდორზე შეუშვა. ჯანაშიამაც გაიტანა.

„ამას არავისი შეეშინდება", თქვა მურთაზ ხურცილავამ და გვერდიდან არ იცილებდა. ზაზამაც არაერთხელ დაგვიმტკიცა, რომ მოედანზე არავისი ეშინია, არასდროს აჰკანკალებია მუხლი.

ხუთი წელიწადია, ქართველი ფორვარდი მოსკოვის „ლოკომოტივშია" და ხუთი წელია, იური სიომინი მის ხუშტურებს ითმენს. თითქოს ზედმიწევნით შეისწავლა მწვრთნელმა მისი ბუნება. ჯანაშიას სიომინზე უკეთ, ალბათ, მშობელი მამაც არ იცნობს, მაგრამ თვე არ გავა, „ლოკომოტივის" თავკაცმა გაოცებისგან ხელები არ გაშალოს.

„დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯანაშია კონკრეტული მატჩისთვის მზად არ იყო. თავადაც არ ვიცი, რატომ ვენდე, ძირითადში რად დავაყენე. მან კი თამაში, ფაქტობრივად, მარტომ მოიგო" — კიდევ ერთხელ ვერ დაფარა გაოცება სიომინმა, რომელიც ყველა სადავო საკითხში ჯანაშიას მხარესაა.

მხოლოდ ბოსკამპთან გაუჭირდა, მხოლოდ ჰოლანდიელთან არ გაუვიდა ნაცადი ხრიკები. თავადაც გაკვირვებულიიყო, რა აყვირებსო ამ უცხოელს. სად ჯანაშია და სად დიპლომატია, მაგრამ ჩვენ გაოცებული დავრჩით, როცა ბოდიშის მოსახდენლად დილმის საწვრთნელ ბაზას მიადგა. ახლოსაც არ გაიკარა ევროპელმა.

გული დასწყდა საშინლად, ნაღველი ჩაუდგა თვალებში, თავი ჩაქინდრა და გასასვლელს მიაშურა. ტკივილი და სინანული ზაზას მხოლოდ კარებამდე მიჰყვა, ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, მაშინვე ყველაფერი დაავიწყდა, ისევ ის უდარდელი მზერა, ისევ ის უტეხი გამომეტყველება. მორიგმა აღმზრდელობითმა გაკვეთილმა ფუჭად ჩაიარა.

რა ზომებს არ მიმართა იური სიომინმა. ფულად და საჯარიმო სანქციებს თავი ვანებოთ, თავიდან ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა, საშველად თბილისიდან მურთაზ ხურცილავას უხმო. წამალმა მხოლოდ ორიოდ კვირას არგო, მერე ზაზამ აურია.

ითმინა სიომინმა და კორეაში გააგდო, საიდანაც ბრწყინვალე ფორმაში დაუბრუნდა ფორვარდი. გვახსოვს მწვრთნელის მაშინდელი გამონათქვამები, სიხარულს ვერ მალავდა კაცი.

არაერთი პრინციპული მატჩი მოაგებინა ჯანაშიამ „ლოკომოტივს". ალბათ, ამიტომაც თვლის, რომ სხვებზე მეტი უფლებები აქვს.

ბოლოს მთლად თავს გავიდა, თამაშს უკლო, წონაში უსაშველად მოიმატა და „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებსაც მოთმინების ფიალა აევსოთ. ჯერ ფულადი სანქციებით დაემუქრნენ, ხოლო მერე — იმ „ჯიპის" წართმევითაც, რომელიც კლუბმა აჩუქა და რომლითაც მოსკოვიდან პირდაპირ დილომში გამოეცხადა ბოსკამპს. ამჯერად არაფერმა გაჭრა და რკინიგზელთა თავკაცობამ ერთი შეხედვით თითქმის საბოლოო განაჩენიც გამოიტანა — ზაზა ჯანაშია ტრანსფერზე!

სიომინმა იცოდა, რა საჭირო ფეხბურთელი ქართველი „ლოკომოტივისთვის". ისიც ზედმიწევნით უწყოდა, რომ არავინ იყო მისი მყიდველი. რუსები აფასებდნენ მის ოსტატობას, მაგრამ რომელი ჭკუათმყოფელი წაიყვანდა ჯანაშიასნაირ თავქარიანს? სიომინმა ამჯერად ათიანში მოარტყა.

შეშფოთდა ზაზა, მას კლუბიდან გაგდებას უპირებდნენ, იქიდან, სადაც თავს ჩინებულად გრძნობდა. „ლოკომოტივი" მისი გუნდია, მან იპოვა თავშესაფარი. არასდროს მოუხიბლავს გაცილებით დიდ, ევროპულ გუნდებში გადასვლის პერსპექტივას, არც არასდროს წავა მოსკოვიდან, რადგან იქ ისეა, როგორც თევზი წყალში.

ჯანაშია მუდამ ხვდებოდა, როდის აღწევდა დაუდევრობისა და დარდიმანდობის პიკს, თუმც ისიც გაიცნობიერა, რომ ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ მან ხომ იცოდა სიომინის სულის გასაღები...

ბოლო მომენტში მას კიდევ ერთ შანსს აძლევენ და დარწმუნებულია, რომ ხელიდან არ გაუშვებს. უმოკლეს დროში თავიდან იშორებს ზედმეტ წონას, სასწრაფოდ იმაღლებს ფიზიკურ კონდიციებს, უმალ პოულობს საერთო ენას „ლოკომოტივის" ახალწვეულ მაქსიმ ბუზნიკინთან და რაც მთავარია, იწყებს გოლების გატანას.

„აი, ეს არის ნამდვილი ჯანაშია". სიომინი ხელად მოლბა, ისევ აღფრთოვანებული და გახარებულია. ზაზას სთავაზობენ ახალ კონტრაქტს. ნელნელა იბრუნებს პრივილეგიებს. ახლა „ჯიპსაც" არ წაართმევენ. მხოლოდ ისღაა საკითხავი, რამდენ ხანს არგებს წამალი?

დარწმუნებული ვარ, ის ისევ აურევს, ისევ აღშფოთდებიან „ლოკომოტივის" თავკაცები და ისევ თავიდან დატრიალდება კარუსელი.

...რას პირდება ზაზა ჯანაშია ქართველ ჟურნალისტებს? ასეთი კითხვა დავუსვით ერთხელ დიღმის ბაზაზე ვარჯიშმოლეულს. „გოლს! დამაყენონ ძირითადში და გპირდებით, გავიტან" — ჩვეულებრივი პასუხია, მისგან არაერთხელ გაგონილი და საქმეშიც არაერთხელ დამტკიცებული.

ვინ იცის, როდის ანდობენ ჯანაშიას ეროვნული გუნდის ძირითადში ადგილს. მწვრთნელებს გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრიათ და მოედანზე მისი შეშვებით რისკავენ კიდეც, რადგან არავინ უწყის, იქ რას ჩაიდენს.

ასეთია ჯანაშია, მუდამ გამოუცნობი, უხეში, უდარდელი და ძალიან ალალიც. მას შეუძლია, უმნიშვნელოვანესი ვარჯიში გააცდინოს, ანაც მოედანზე რამდენიმე წუთში გამოჩენილმა მსაჯს თავი გააგდებინოს. ასევე ძალუძს, მნიშვნელოვანი საქმე გვერდზე გადადოს და სადღაც, რომელიღაც ეზოში ბავშვებთან ტოლ-სწორივით ფეხბურთი გაახუროს.

მოდი და გაიგე, სინამდვილეში ვინაა ზაზა ჯანაშია.

**მამუკა კვანტალიანი**

# მარკო პოლოში გადაწყვიტა

## ბათრაზ ბითაროვმა ალანია უქართველოდ არ დატოვა


მამუკა წერეთელი

გურამ ცქიტიშვილის ფოტო

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი, 22 წლის მამუკა წერეთელი კარიერას კვლავ ვლადიკავკაზურ „ალანიაში" გააგრძელებს.

ეს ამბავი გუშინ გადაწყდა. წერეთელი და „ალანიას" გენერალური დირექტორი ბათრაზ ბითაროვი ერთმანეთს გუდაურში, სასტუმრო „მარკო პოლოში" შეხვდნენ და საათნახევრის შემდეგ სასტუმროს აპარტამენტი ორივემ ჩინებულ ხასიათზე დატოვა.

ვიდრე გუშინდელი შეხვედრის დეტალებს გაგაცნობდეთ, შეგახსენებთ, რომ მამუკა წერეთელმა სწორედ „ალანიაში" ჩაამთავრა რუსეთის ჩემპიონატის გასული სეზონი და ვლადიკავკაზიდან უკრაინულ „შახტარს" მიაშურა.

დონეცკში წერეთლის საქმე თავიდან ჩინებულად აეწყო, „შახტარმა" ქართველ ფეხბურთელს ორწლინახევრიანი კონტრაქტი გაუფორმა, შემდეგ კი...

„ვაი-მენეჯერებმა ლამის კარიერა დამამთავრებინეს, დღითი დღე მეტ თანხას ითხოვდნენ და ბოლოს „შახტარიც" იძულებული გახდა, ჩემთან ურთიერთობა გაეწყვიტა" — გვითხრა თბილისში დაბრუნებულმა წერეთელმა. მაშინ წერეთელს იმის თქმაც არ დავიწყებია, რომ მისით მოსკოვის „დინამო" და „ლოკომოტივი" იყვნენ დაინტერესებულნი. ფეხბურთელი იმასაც დაგვპირდა, უსაქმოდ არ დავრჩები, ჩემი მომავალი კლუბის ვინაობა რამდენიმე დღეში გაირკვევაო. ასეც მოხდა...

გუშინწინ, ღამით, წერეთლის ბინაში სატელეფონო ზარი გაისმა...

„ბათრაზ ბითაროვი იყო, მთხოვდა, დაუყოვნებლივ შევხვედროდი. მითხრა, გადაუდებელი საქმეაო. შეხვედრის ადგილად გუდაური დავთქვით..."

გუდაურში ბითაროვმა „ალანიაში" დაბრუნება შესთავაზა ქართველ მცველს და საათნახევრის შემდეგ დადებითი პასუხიც მიიღო.

„ვლადიკავკაზურ გუნდში ვბრუნდები, „ალანიამ" უკეთესი პირობები შემომთავაზა, თანაც ჩემი მსურველი უცხოური კლუბის გამოჩენის შემთხვევაში ხელს არ შემიშლის. სამწუხაროდ, მწარე გამოცდილება მივიღე და შეცდომის განმეორება აღარ მსურს. არსად მეჩქარება, ჯერ 22 წლის ვარ და ჩემი დროც მალე დადგება, მანამდე კი „ალანიაში" ვითამაშებ, ბოლოს და ბოლოს, რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობა გარკვეულწილად დიდ პრაქტიკასაც შემძენს" — გვითხრა წერეთელმა.

მოკლედ, ტრადიცია გრძელდება, „ალანია" ახალ საფეხბურთო სეზონს ქართველით შეხვდება. წერეთელი 8 თებერვალს ანთალიური შეკრებიდან დაბრუნებულ „ალანიას" ოთხი დღის შემდეგ, 12 თებერვალს, მოსკოვში შეუერთდება და ძველ-ახალ გუნდთან ერთად გაემგზავრება „ალანიას" მორიგ ცხრადღიან ბულგარულ შეკრებაზე.

**ბაატა კვანტალიანი**


## ჰერბალ-ვი ვიაგრას მცენარეული ალტერნატივა




სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება

**HERBAL VY** — მამაკაცებისთვის — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებებით, — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი" ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს;

*„ჰერბალ ვი"-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, აგრეთვე სპორტსმენები, საუკეთესო სპორტული შედეგების მისაღწევად!*

**HERBAL VY** — „ვიაგრა" — უაღრესად პოპულარული, უსაფრთხო მცენარეული ალტერნატივა მსოფლიოს ელიტარულ საზოგადოებაში!

*ინგლისურ-შვეიცარიული კომპანია „სვისჰელსის" ნაწარმი.*

**აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!**

მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში

„სვისჰელსის" ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორენი" ტ. 99-87-37

# გაისად ვნახოთ...

## კიევით თუ უკიევოდ, მაინც ჩატარდებაო



სევასტი თოდუამ (ბურთით) და ქუთაისელებმა მოსკოვური ხალიჩა პირველად დააჭაშნიკეს

მოსკოვში დამთავრებული თანამეგობრობის თასი რიგით მეცხრე გახლდათ. ექვსჯერ ეს პრიზი იქაურმა „სპარტაკმა" მოიგო, სამჯერ კიევის „დინამომ".

ჩვენმა ჩემპიონმა, ქუთაისის „ტორპედომ", რომელიც „ქვედა ლიგაში" თამაშობდა, ჯგუფის სამივე მატჩი მოიგო და გაისად ქართველები ისევ „უძლიერესთა შორის" იქნებიან. თუმცა...

უკვე რამდენიმე წელიწადია ამ ტურნირის ავ-კარგიანობაზე ლაპარაკობენ და საერთო აზრი მაინც ვერ გამოიტანეს. ერთისთვის ის პრესტიჟულია, მეორესთვის — ისე რა, მესამესთვის — ზედმეტი. შეჯიბრი კი შეჯიბრს მისდევს. წლეულს მას ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და ლეგენდარული მიშელ პლატინიც დაესწრნენ. ბლატერის თქმით, ამიერიდან ტურნირს ფიფას ერთიან კალენდარშიც შეიტანენ...

რუსები თავისებურად უცქერენ „ესენგეს". მათ მიაჩნიათ, რომ პირველად სწორედ მოსკოვის დარბაზებში გაიბრწყინეს: არველაძეებმა, შელიამ, ყაველაშვილმა, ქინქლაძემ, კალაძემ, ალექსიძემ, შევჩენკომ, კეჩინოვმა, შტოლცერსმა, პაჰარსმა და კიდევ ბევრმა ყოფილმა საბჭოელმა. ტურნირის წინ გამოშვებულ საგანგებო ბროშურაში სწორედ ამ ფეხბურთელებზე მიუნიშნებენ. ასეა, ყველას თავისი აზრი და გემოვნება აქვს.

მაგრამ როგორი იქნება ტურნირი მომავალში? წლეულს კიევის „დინამოს" „ჩამოქვეითებამ" ორგანიზატორები ერთობ შეაშფოთა. თუმცა...

„ზოგს ჰგონია, რომ თანამეგობრობის თასი კიევის „დინამოსა" და „სპარტაკის" შეხვედრისთვისაა მოგონილი, მაგრამ წლეულს ხომ ფინალი უკიევოდ ჩატარდა და „ოლიმპიისკის" დარბაზი მაინც სავსე იყო. გამოდის, ხალხი სხვებსაც სიამოვნებით უყურებს — განაცხადა გუშინ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა, ვიაჩესლავ კოლოსკოვმა — ძნელი სათქმელია, გაისად კიევი როგორი შემადგენლობით გვეწვევა. ჩემი თანდასწრებით უკრაინული კლუბის პრეზიდენტმა, გრიგორი სურკისმა ლობანოვსკის დაურეკა და ორი ვარიანტი შესთავაზა: ან „დინამო" მწვრთნელთან ერთად პირველი გუნდით ითამაშებს, ან საერთოდ არ ჩამოვა მოსკოვში. რეგლამენტის რომელიმე გუნდისთვის მისადაგებას კი არ ვაპირებთ. შესაძლოა, ძველ ფორმულას დავუბრუნდეთ, ან პლეიოფის სისტემა შემოვიღოთ".

ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მთავარი სპონსორი „იტერა" კვლავაც დააფინანსებს ტურნირს. წლეულს დაახლოებით 500 ათასი დოლარი დახარჯულა, აქედან 100 ათასი საპრიზო ფონდი გახლდათ.

„ოლიმპიისკის" დარბაზში მოძველებული, ოცი წლის წინანდელი საფარის ნაცვლად, ახალ, სინთეტიკური ბალახის ხალიჩას დააგებენ, რომელიც ნამდვილისგან თითქმის არ განსხვავდება. ეს პროექტი დაახლოებით 250 ათასი დოლარი დაჯდება და ფეხბურთელებისთვის იქ თამაში ერთი სიამოვნება იქნებაო.

და მაინც, როგორი მომავალი აქვს „ესენგეს" დღეს არავინ იცის.

ქართველები კი მოსკოვში ამაღლდნენ და ბრძოლას კვლავაც აპირებენ: „დასანანია, რომ „სპარტაკს" ვერ შევხვდით. მაგრამ, არა უშავს, გაისად ვნახოთ" — უთხრა „ტორპედოს" მენეჯერმა ვლადიმერ გუცაევმა ჩვენს რუს კოლეგებს.

მართლაცდა, ვნახოთ...

სოლომონ გულისაშვილი


☎ (231) 7 17 58
იყიდება
ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.
ქუთაისში
ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *გივი ნოდია* | ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა), გონჩაროვი, პარამონოვი (ტრანსფერზე არიან), აბრამიძე (?) | ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (პუტნიკი, პოლონეთი), ანჩაბაძე (დინამო), კანდარაშვილი (კრივბასი, უკრაინა), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 0:0, დილა 1:2 |
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი* | ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე, ახვლედიანი (კოლხეთი), თუმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე (?) | დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი) | კოლხეთი 0:0, ყაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0 |
| **დინამო** *რევაზ არველაძე* | ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), ანჩაბაძე (ლოკომოტივი), გადელია (?, რუსეთი) | იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანჯგავა, ქარდავა (დინამო 2) | დილა 4:0, გორდა 4:3, სიონი 2:1 |
| **ვიტ ჯორჯია** *თემურ მახარაძე* | დევანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ), თაყაძე (დილა) | გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია) | სიონი 2:1, თსუ 2:0, არაუ (შვეიცარია) 15:1, ასკოლი (იტალია) 6:0 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | ახალკაცი (ტორპედო), მაღლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (ნ.ნოვგოროდი, რუსეთი), თედეევი, ჭანტურიძე (კოლხეთი 2), ხუჭუა (?, რუსეთი) | ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნიგწივაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), ვართაგავა (ხობი), შალამბერიძე, ახვლედიანი (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი (კოლხეთი 2) | ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0, 1:0 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | პოდლესნი (ზარია, უკრაინა) | მაღლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ხუციშვილი (არ თამაშობდა), ზ. კვეკვესკირი (მუქურა), ბ. შენგელია (ბათუმი); ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე (სიონი), თარგამაძე (სიონი), ბ. შენგელია (მერანი), ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი (ანჟი, რუსეთი), სიხარულიძე, ქერაშვილი (?) | ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (არ თამაშობდნენ), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი); | კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0, თსუ 3:1 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ნიგწივაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დემიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?) | თარგამაძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ), სიდამონიძე (ბათუმი), კ. მელქაძე (მილანი), ყოლბაია (ზუგდიდი), გუგუნავა (თსუ) | ვიტ ჯორჯია 1:2, დინამო 1:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | დინამო 3:4, მილანი 3:2, ლოკომოტივი 0:0 |
| **დილა** *ვაჟა ხაჩირაშვილი* | მდივანი (ივერია), ციცქიშვილი (ცხინვალი), გ. ტულუში (თამაში მიატოვა) | რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (ვიტ ჯორჯია) | დინამო 0:4, ლოკომოტივი 2:1 |
| **თსუ** *მერაბ კოჭლამაზაშვილი* | გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა (სიონი), ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაჭკორია (?) | სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ჭილლაძე, ელყანიშვილი, დათუნაიშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2) | ვიტ ჯორჯია 2 2:0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1, 0:1 ბათუმი 3:1, კოლხეთი 2 1:1 |
| **იბერია შევარდენი** *ნოდარ აკობია* | ს. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?) | ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი) | შევარდენი 3:2, ცხრამეტწლამდელები 1:2 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

## ინგლისი

### XXV ტური

**ჩელსი 3:1 ნიუკასლი**

0:1 ბასედასი (23), 1:1 ძოლა (37), 2:1 პოიეტი (62), 3:1 გრონკიაერი (79)
ჩელსი: კუდიჩინი, ფერერი, ბაბაიარო, ლებეფი, მელხიოტი, პოიეტი (სტანიჩი 87), უაიზი, ლესო (გრონკიაერი 30), დალა ბონა, ძოლა (გუდიონსენი 84), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, უ. ქუინი, გომა, ა. ჰიუზი, სოლანო, აკუნია, ბასედასი, სპიდი, დაიერი (ლუა ლუა 78), ამეობი (კორდონე 78)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: გრონკიაერი, ბარტონი, ბასედასი
35 108 მაყურებელი

**ევერტონი 2:2 მიდლსბრო**

0:1 რიკარდი (11), 1:1 ნეისმიტი (49), 1:2 კუპერი (63), 2:2 ტალი (79)
ევერტონი: მირე, უოტსონი, გაფი, ვეირი, ბოლი, ნეისმიტი, ჯემილი, გრავესენი (ტალი 76), დ. ფერგიუსონი, მური (მაჩიერი 88), კ. კემბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, კუპერი, ეჰიოგუ, გორდონი (ფესტა 58),ინსი, ოკონი, კარამბიუ (მასტრო 68), ბოკშიჩი, რიკარდი (ველანი 55)
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: უოტსონი, ვიკერსი, გორდონი, შვარცერი, ინსი, ეჰიოგუ, კუპერი
34 244 მაყურებელი

**ლიდსი 1:0 ქოვენთრი**

1:0 კინი (69)
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, რადებე, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, ბეტი, უილკოქსი, რობი კინი, ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ქოვენთრი: ჰედმანი, ბ. ქუინი (ტელფერი 51), ჰოლი, პ. უილიამსი, ბრინი, შოუ, კარსლი (ჩიპო 76), ტომპსონი (ბოტროიდი 76), ოსტიჩი, ჰაჯი, ბელამი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: ბაკე, ვიდუკა, ბოიერი, მილსი, ტომპსონი, ბელამი, ჰაჯი, ოსტიჩი
36 555 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 1:1 ლივერპული**

0:1 ჰესკი (43), 1:1 ტიატო (48)
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ჰაალანდი, ტიატო, მორისონი (კანჩელსკისი 46), ჰაუი, უიტლი, დანი, ვიკენსი, გრენვილი, გოტერი, ჰაკერბი (რიჩი 77)
მწვრთნელი: ჯო როილი
ლივერპული: ვესტერველდი, ჰამანი, ციგე (დიომედი 54), ენრიკე, ჰიპია, შმიცერი, ჯერარდი, მაკალისტერი (ბისკანი 77), ბაბელი, ლიტმანენი (ფაულერი 61), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: უიტლი, დიომედი
34 629 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:0 ლესტერი**

1:0 პეტრესკუ (79)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი (ელხალეჯი 76), რიჩარდსი, ბრიჯი, პეტრესკუ (კაჩლული 84), ოკლი, მარსდენი, პახარსი, ბიტი, ჯ. დევისი (ტესემი 46)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ლესტერი: როისი, როუეტი, მ. ელიოტი, ლუისი, ჯ. დავიდსონი, სევიჯი, იმპი, იზეტი, გაპი, აკინბი (გუნლაუგსონი 87), მანჩინი (სტარიჯი 64)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: გაპი, ელიოტი, იზეტი
14 909 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 მანჩესტერი**

0:1 კოული (46)
სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, გრეი, ვარგა, კრადოკი, რაე, ჰატჩისონი, მაკკენი, ფილიპსი, ნ. ქუინი (კილბეინი 28), შვარცი (ტომე 52; მაკინი 58)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, უესლი ბრაუნი, სილვესტრი (ფ. ნევილი 86), როი კინი, ბექჰემი, სქოულზი (ბატი 77), ენდი კოული, შერინგემი (სოლსკიაერი 67), გიგზი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ჰატჩისონი
გაძევება: გრეი (47), რაე (57), კოული (57)
48 260 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:0 ტოტენჰემი**

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, დეილი, ტინინენი, უინტერბერნი, შემლი, კარიკი, ჯ. კოული, ლამპარდი, დი კანიო, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ტოტენჰემი: ი. უოქერი, დოჰერთი, ს. კემპბელი, პერი, კინგი, ფრიონდი, ანდერტონი, ლეონარდსენი, კლემენსი (იანგი 84), ე. ბუთი, რებროვი (მაკივენი 84)
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: ტინინენი, პერი
36 267 მაყურებელი

**არსენალი 2:0 ბრედფორდი**

1:0 პარლოუ (17), 2:0 ლორენი (26)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, სტეპანოვსი, ვიეირა, ადამსი, პირესი, ლორენი (გრიმანდი 67), პარლოუ, ეშლი კოული, ბერხკამპი (კანუ 79), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბრედფორდი: გ. უოლში, მიერსი, მაკკოლი, უორდი, მოლენაარი (ჰოპკინი 64), ობრაიენი, უინდასი, ატერტონი, ჯეკობსი, მაკკინლი, ჯესი (რ. ბლეიქი 64)
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
გაფრთხილება: ადამსი, უორდი, ჰოპკინი
37 318 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:1 დერბი ქაუნთი**

1:0 სვენსონი (8), 1:1 ბარლი (35), 2:1 პარკერი (61)
ბარლიმ ვერ გაიტანა პენალტი (44, მეკარე)
ჩარლტონი: კილი (კიოჯი 46), ფიში, რუფუსი, ტოდი, კ. პაუელი, გ. სტიუარტი, პარკერი (ს. ბრაუნი 84), იენსენი, კიშიშევი, სვენსონი (ლისბი 88), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
დერბი ქაუნთი: პოომი, რიგოტი, კარბონარი, მავენი (ბრაგსტადი 37), დელაპი, ონილი, ბარლი, დ. პაუელი, ჰიგინბოთემი (ერანიო 74), დ. ბარტონი, კრისტი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: კილი, პარკერი, ონილი
20 043 მაყურებელი

**ასტონ ვილა — იფსვიჩი**

გადაიდო




ჩელსი — ნიუკასლი 3:1. ამ ბიჭს დავახრჩობ! გუსტავო პოიეტმა (№8) „ნიუკასლს" რომ გაუტანა, ბობი რობსონს ეს სიტყვები ათქმევინა

# რა დროს ეგ არის?!

**„მანჩესტერ იუნაიტედმა"** თხუთმეტქულიანი თადარიგი დაიჭირა ჩემპიონობისთვის ბრძოლის საქმეში, ოთხშაბათ საღამოს, მას შემდეგ, რაც მესამე ადგილზე მყოფ „სანდერლენდს" 1:0 მოუგო. ეს იყო „სანდერლენდის" პირველი საშინაო მარცხი ამ სალიგო სეზონში.

ამ მატჩის მნიშვნელობა იმგვარი იყო, რომ მისი დასრულებისთანავე „უილიამ ჰილის" საბუკმეიკერო კანტორამ 500-1-ზე ასწია მანჩესტერელთა საჩემპიონო ფსონი.

„სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი მამაცი კაცი, რომელიც ხუთას ფუნტს გაიმეტებს, ერთს მოიგებს", განაცხადა ჰილის პრესმდივანმა გრემ შარპმა. იმავ ჰილის კანტორამ „არსენალის" და „ლივერპულის" მეორე ადგილზე გასვლა 2-1-ზე შეაფასა. „არსენალმა" კი მოიგო წინადღით, მაგრამ „ლივერპულმა" ორი ქულა დატოვა მანჩესტერის „მეინ როუდზე", სადაც ზედიზედ 15 ტურში ვერმომგები „სიტი" ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. „სიტის" 34 629 მაყურებელი ზეიმით შეეგება მცველ დენი ტიატოს გოლს, მეორე ტაიმის დასაწყისში რომ გავიდა. „ლივერპული" სულ ხუთ წუთს იგებდა ამ მატჩს, ემილ ჰესკიმ პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა. აქვე გეტყვით, რომ ტიატოს გოლი იყო პირველი ბურთი, ლივერპულმა რომ გაუშვა ბოლო 420 ნათამაშევ წუთში.

მაგრამ დავუბრუნდეთ სანდერლენდის „ლაითს", სადაც მოედანზე ტიტველი ქალიც გადმოხტა, სამი კაციც გააძევეს მინდვრიდან და „მანჩესტერმაც" საბოლოოდ ჩამოიშორა მდევრები. მთავარი ამბები მეორე ტაიმის პირველ ათ წუთში დატრიალდა. დასაწყისშივე ენდი კოულმა ჯოდი კრედოკის შეცდომით ისარგებლა და ტომას სორენსენს გაუტანა. იმავ წამს მასპინძელთა კაპიტანი მაიკლ გრეი მსაჯს გაექაჩა და წითელი ბარათითღა დააწყნარეს. ათი წუთის თავზე კოულს და ალექს რეის მუშტიკრივი გამოუვიდათ და მსაჯმა ესენიც გააძევა. თამაში გახურდა და აქედან კევინ კილბეინს შეეძლო გატანა, იქიდან როი კინს. „ჩვენ უკეთ შეგვეძლო თამაში, მაგრამ აქ ომი იყო საჭირო და ვიომეთ. მიხარია, რომ მოვიგეთ, წითელი ბარათების შემდეგ სათამაშო აღარც იყო, ვჭიდაობდით", თქვა ალექს ფერგიუსონმა. მან უარყო ის აზრი, რომ ჩემპიონობა განაღდებული აქვს: „ნაადრევი შეკითხვაა. რა დროს ეგ არის?".

მასპინძელთა მწვრთნელ პიტერ რიდს კი აღმოხდა: „ცხოვრება მძიმეა. ყველამ დაინახა, რომ ხელი იყო, მსაჯმა ვერა. ჩხუბის მიუხედავად თამაში უხეში არ იყო. მე ვამაყობ ჩვენი გუნდით. ტრავმებითა და წითელი ბარათებით ტანჯული შემადგენლობა გმირულად იბრძვის".

ამასობაში კი „ჩელსიმ" კიდევ ერთხელ გაიმარჯვა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ევროთასებისკენ. „ჩვენ გვაკრიტიკებენ, მაგრამ ჩვენ ვიგებთ", — განაცხადა კლაუდიო რანიერიმ. ნოლბერტო სოლანო და ორი კვირის უვარგისშებელი კირონ დაიერი მეტად მოიქცნენ ტექნიკურ ლონდონელებთან ჭიდილით და „ნიუკასლიც" მეორე ტაიმში გატყდა. გუსტავო პოიეტმა, რომელიც ნიუკასლელთა კარის აღების სპეციალისტადაა ცნობილი, კვლავ იმარჯვა. „ერთ დღეს მაგ ბიჭს მოვკლავ", — იხუმრა მატჩის შემდეგ ჯორდების მენეჯერმა ბობი რობსონმა.

„ლიდსმა" რობი კინის კენტი გოლით აჯობა „ქოვენთრის" — ირლანდიელმა თავის ძველ კლუბს გაუტანა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადაადგმევინა პირველი დივიზიონისკენ. „საუთჰემპტონმა" მშობლიურ „დელზე" დასცა „ლესტერი", რომელმაც მეოთხედ წააგო ბოლო ხუთ შეხვედრაში. ტერი ვენეიბლზის „მიდლსბრომ" კი კვლავ არ წააგო: მეტიც, ორჯერ იგებდა „გუდისონ პარკზე", მაგრამ ტანჯულმა „ევერტონმა" თამაში იხსნა. ეს იყო, რომ „მიდლსბრომ", როგორც იქნა, გოლები გაუშვა.

**ირაკლი ბამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 25 | 18 | 5 | 2 | 57:16 | 41 | 59 | 12 | 10 | 1 | 1 | 33:6 | 27 | 31 | 13 | 8 | 4 | 1 | 24:10 | 14 | 28 |
| 2 არსენალი | 25 | 12 | 8 | 5 | 41:23 | 18 | 44 | 13 | 10 | 3 | 0 | 33:8 | 25 | 33 | 12 | 2 | 5 | 5 | 8:15 | -7 | 11 |
| 3 სანდერლენდი | 25 | 12 | 7 | 6 | 31:23 | 8 | 43 | 13 | 8 | 4 | 1 | 16:6 | 10 | 28 | 12 | 4 | 3 | 5 | 15:17 | -2 | 15 |
| 4 ლივერპული | 24 | 12 | 5 | 7 | 43:27 | 16 | 41 | 12 | 9 | 2 | 1 | 25:8 | 17 | 29 | 12 | 3 | 3 | 6 | 18:19 | -1 | 12 |
| 5 იფსვიჩი | 24 | 12 | 4 | 8 | 36:30 | 6 | 40 | 12 | 6 | 4 | 2 | 19:10 | 9 | 22 | 12 | 6 | 0 | 6 | 17:20 | -3 | 18 |
| 6 ჩელსი | 24 | 10 | 7 | 7 | 46:30 | 16 | 37 | 13 | 10 | 2 | 1 | 36:12 | 24 | 32 | 11 | 0 | 5 | 6 | 10:18 | -8 | 5 |
| 7 ნიუკასლი | 25 | 11 | 4 | 10 | 32:35 | -3 | 37 | 12 | 7 | 2 | 3 | 18:12 | 6 | 23 | 13 | 4 | 2 | 7 | 14:23 | -9 | 14 |
| 8 ლესტერი | 24 | 10 | 6 | 8 | 24:26 | -2 | 36 | 12 | 6 | 4 | 2 | 16:12 | 4 | 22 | 12 | 4 | 2 | 6 | 8:14 | -6 | 14 |
| 9 ჩარლტონი | 25 | 10 | 6 | 9 | 34:38 | -4 | 36 | 13 | 8 | 4 | 1 | 21:9 | 12 | 26 | 12 | 2 | 2 | 8 | 13:29 | -16 | 8 |
| 10 ლიდსი | 24 | 10 | 5 | 9 | 35:32 | 3 | 35 | 13 | 7 | 1 | 5 | 22:18 | 4 | 22 | 11 | 3 | 4 | 4 | 13:14 | -1 | 13 |
| 11 ტოტენჰემი | 25 | 8 | 8 | 9 | 30:34 | -4 | 32 | 12 | 8 | 4 | 0 | 22:9 | 13 | 28 | 13 | 0 | 4 | 9 | 8:25 | -17 | 4 |
| 12 საუთჰემპტონი | 25 | 8 | 8 | 9 | 29:34 | -5 | 32 | 13 | 7 | 2 | 4 | 19:15 | 4 | 23 | 12 | 1 | 6 | 5 | 10:19 | -9 | 9 |
| 13 ვესტ ჰემი | 24 | 7 | 10 | 7 | 32:27 | 5 | 31 | 12 | 4 | 5 | 3 | 17:11 | 6 | 17 | 12 | 3 | 5 | 4 | 15:16 | -1 | 14 |
| 14 ასტონ ვილა | 23 | 7 | 8 | 8 | 24:26 | -2 | 29 | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 16 | 12 | 3 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 13 |
| 15 ევერტონი | 24 | 7 | 6 | 11 | 26:36 | -10 | 27 | 12 | 3 | 5 | 4 | 15:16 | -1 | 14 | 12 | 4 | 1 | 7 | 11:20 | -9 | 13 |
| 16 მიდლსბრო | 25 | 5 | 10 | 10 | 29:32 | -3 | 25 | 12 | 3 | 4 | 5 | 14:16 | -2 | 13 | 13 | 2 | 6 | 5 | 15:16 | -1 | 12 |
| 17 დერბი ქაუნთი | 25 | 5 | 9 | 11 | 26:43 | -17 | 24 | 12 | 4 | 6 | 2 | 15:16 | -1 | 18 | 13 | 1 | 3 | 9 | 11:27 | -16 | 6 |
| 18 სიტი | 25 | 5 | 7 | 13 | 29:44 | -15 | 22 | 13 | 3 | 3 | 7 | 17:20 | -3 | 12 | 12 | 2 | 4 | 6 | 12:24 | -12 | 10 |
| 19 ქოვენთრი | 25 | 5 | 6 | 14 | 23:44 | -21 | 21 | 12 | 2 | 4 | 6 | 9:18 | -9 | 10 | 13 | 3 | 2 | 8 | 14:26 | -12 | 11 |
| 20 ბრედფორდი | 24 | 3 | 7 | 14 | 16:43 | -27 | 16 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:17 | -7 | 10 | 13 | 1 | 3 | 9 | 6:26 | -20 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 15 |
| ანრი (არსენალი) | 13 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 13 |
| შერინგემი (მანჩესტერი) | 13 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 12 |
| ჰესკი (ლივერპული) | 11 |

**XXVI ტური**

3 თებერვალი
ბრედფორდი — ასტონ ვილა
ქოვენთრი — არსენალი
დერბი ქაუნთი — სანდერლენდი
იფსვიჩი — ლიდსი
ლესტერი — ჩელსი
ლივერპული — ვესტ ჰემი
მანჩესტერი — ევერტონი
მიდლსბრო — სიტი
ტოტენჰემი — ჩარლტონი
4 თებერვალი
ნიუკასლი — საუთჰემპტონი

## პირველი დივიზიონი

**გადადებული მატჩი**

**ქუინზ პარკი 0:2 ფულემი**

0:1 მოლერი (45), 0:2 რიდლი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 29 | 22 | 4 | 3 | 67:21 | 70 |
| ბოლტონი | 29 | 18 | 6 | 5 | 49:23 | 60 |
| ბლექბერნი | 28 | 16 | 7 | 5 | 45:28 | 55 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 16 | 5 | 8 | 39:32 | 53 |
| ბირმინგემი | 27 | 15 | 5 | 7 | 38:27 | 50 |
| უოტფორდი | 28 | 15 | 4 | 9 | 49:38 | 49 |
| ნოტინგემი | 28 | 14 | 4 | 10 | 37:32 | 46 |
| შეფილდ იუნ. | 29 | 12 | 7 | 10 | 31:29 | 43 |
| ბარნლი | 27 | 12 | 6 | 9 | 28:30 | 42 |
| პრესტონი | 28 | 12 | 5 | 11 | 35:39 | 41 |
| უიმბლდონი | 28 | 10 | 8 | 10 | 42:33 | 38 |
| ნორვიჩი | 29 | 9 | 8 | 12 | 26:35 | 35 |
| პორტსმუთი | 29 | 7 | 13 | 9 | 30:34 | 34 |
| ვულვზი | 28 | 8 | 9 | 11 | 29:32 | 33 |
| ჯილინგემი | 28 | 7 | 11 | 10 | 37:39 | 32 |
| კრისტალ პალასი | 28 | 8 | 8 | 12 | 41:44 | 32 |
| ბარნსლი | 29 | 8 | 6 | 15 | 30:41 | 30 |
| გრიმსბი | 28 | 8 | 6 | 14 | 27:40 | 30 |
| სტოკპორტი | 29 | 6 | 11 | 12 | 38:48 | 29 |
| ჰადერსფილდი | 27 | 6 | 8 | 13 | 27:34 | 26 |
| ტრანმერი | 27 | 7 | 5 | 15 | 28:45 | 26 |
| უენსდი | 29 | 7 | 5 | 17 | 30:51 | 26 |
| ქუინზ პარკი | 28 | 4 | 13 | 11 | 29:42 | 25 |
| ქრიუ | 27 | 7 | 4 | 16 | 22:37 | 25 |

## ლიგის თასი

**ნახევარფინალი. II მატჩები**

**ბირმინგემი (I) 4:1დ.დ.(2:1) იფსვიჩი (0:1)**

1:0 გრეინერი (43), 2:0 ჰორსფილდი (56), 2:1 სკოუკროფტი (57), 3:1 ჰორსფილდი (103), 4:1 ჯონსონი (110)
ბირმინგემი: ბენეტი, გილი, პარსი, მ. ჯონსონი, გრეინერი, იდენი (ჰიუზი 109), ოკონორი, სონერი, ლაზარიდისი (ბაროუზი 119), ჰორსფილდი, ადებოლა (ე. ჯონსონი 98)
იფსვიჩი: რ. რაიტი, კროფტი (როიზერი 105), მაკგრილი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, ჯ. რაიტი, ჰოლანდი, მეჯილტონი (კარიჩი 109), კლაპამი, მ. სტიუარტი, ნეილორი (სკოუკროფტი 46)
გაფრთხილება: სონერი, ნეილორი, მეჯილტონი, კროფტი
28 624 მაყურებელი

**ლივერპული 5:0 კრ. პალასი (II) (1:2)**

1:0 შმიცერი (13), 2:0 მერფი (15), 3:0 ბისკანი (18), 4:0 მერფი (51), 5:0 ფაულერი (89)
ლივერპული: ვესტერველდი, ჯერარდი (ჰამანი 68), კარაგერი (ციგე 76), ენრიკე, ჰიპია, ბისკანი, მერფი, ლიტმანენი, მაკალისტერი, ფაულერი, შმიცერი (ბარმბი 70)
კრისტალ პალასი: კოლინზი, სმიტი, ჰარისონი, უოსტინი, ტომსონი, კარლაილი (პოლოკი 57), რუბინსი (გრეი 75), როჯერი, ნ. ბლეიქი (გრეგი 83), მორისონი
გაძევება: კოლინზი (83)
41 854 მაყურებელი

**ძირითადად** ჯეფ ჰორსფილდის ორმა გოლმა მოახერხა ის საქმე, რომ პირველი დივიზიონის „ბირმინგემ სიტი" ლიგის თასის ფინალში გავიდა. ნახევარფინალის პირველი შეხვედრა „ბირმინგემს" 0:1 წაეგო იფსვიჩში და შინ, დამატებით დროში თამაშის გადატანა და საბოლოო ჯამში 4:1-ის მოგება შეძლო.

უკანასკნელ 38 წელიწადში „ბირმინგემისთვის" ეს პირველი ფინალური მატჩია ლიგის თასზე. მისი მოწინაალმდეგე კი „ლივერპულია". ლიგის (სხვაგვარად კი ვორთინგტონის) თასი 4 მარტს გათამაშდება კარდიფში, იქაურ „მილენიუმზე".

„ბირმინგემს" წვრთნის ძველი ვარსკვლავი ტრევორ ფრენსისი. ლიგის თასის ორშეხვედრიან მატჩებში კი სტუმრად გატანილ გოლს უპირატესობა არ ენიჭება. დამატებითაც ამიტომ გამოვიდა.

„ბირმინგემი" ადრევე დაწინაურდა — დელე ადებოლას კროსს მარტინ გრეინერმა დაკრა თავური. ამის შემდეგ ჰორსფილდმა იმარჯვა დამატებაზე და სტუმართა მეკარე რიჩარდ რაიტს მეორე გაუტანა. მაგრამ სრულ ერთ წუთში, შესვლაზე შესულმა ყისმათა ჯეიმი სკოუკროფტმა „იფსვიჩს" ერთი საპასუხო მოუპოვა და ფინალისტის გარკვევასაც დამატებითი დრო დასჭირდა. ლიგის დამატებითში ოქროს გოლი არ მუშაობს, ამიტომ, როცა ჰორსფილდმა კიდევ ერთი შეაგდო 103-ე წუთზე, თამაში გაგრძელდა. შეხვედრის სულ ბოლო წამს, მეკარე. რაიტმა თითქოს ხელი ჩაიქნია, ისე გაატანინა შესვლაზე შემოსულ მაიკლ ჯონსონს. „ბირმინგემ სიტი" თითქოს და გამოდის დიდი კარის მეზობლის „ასტონ ვილას" ჩრდილიდან.

*4 მარტს, კარდიფის „მილენიუმზე" ფინალში ერთმანეთს „ბირმინგემ სიტი" და „ლივერპული" შეხვდებიან, გამარჯვებული მოიპოვებს უეფას თასის საგზურს*

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი

I მატჩები

**რასინგი 1:1 სარაგოსა**

0:1 ფერონი (1), 1:1 არსენო (72)
რასინგი: სებალიოსი, ტაისი (კოლსა 74), მელბერგი, არსენო, ხუანმა, ხულიო ალვარესი, ესპინია, ხაიმე (მანზარინი 46), ამავისკა, პრესიადო (მორა 46), მაცონი
სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, აგუადო, პაკო ხემესი, ლანა, ფერონი (რადიმოვი 80), არაგონი, ხოსე იგნასიო, მარტინ ველისკა (ხუანელე 89), მონტენეგრო (კუარტერო 67), იორდი
გაფრთხილება: პაბლო, ხოსე იგნასიო, პაკო ხემესი, არაგონი
გაძევება: მაცონი (56), ესპინია (56), ხაიმე (56)
9 000 მაყურებელი

**სელტა 3:1 მალიორკა**

0:1 ფინიდი (15), 1:1, 2:1 გუსტავო ლოპესი (51პ, 69), 3:1 კასერესი (78)
სელტა: პინტო, ველასკო (კარპინი 62), კასერესი, იაგო, ბერიზო, ტომასი (გუსტავო ლოპესი 46), ვაგნერი, ჯოვანელა, მოსტოვოი, ედუ (ხუანფრანი 80), კატანია
მალიორკა: ლეო ფრანკო, არმანდო, ფერნანდო ნინიო, ნადალი, მიგელ სოლერი, ენგონგა (ჩიჩი სოლერი 51), მარკოსი, ფინიდი, იბაგასა (ბიაჯინი 76), ლუკე (ნოვო 62), ეტოო
გაფრთხილება: ფერნანდო ნინიო, არმანდო, ფინიდი
გაძევება: მარკოსი (90)
15 000 მაყურებელი

**გრანადა (III) 0:1 ატლეტიკო (II)**

0:1 კორეა (40)
გრანადა: პინდადო, გარიდო, სერვიანი, მოია, ტაბუენკა, პასკუალი, ტორესი, რობერტი (ფრან ალვარესი 37), ოსკარი (გონსალო 71), ნაჩო სიერა, უგანი (მუნტასი 90)
ატლეტიკო: სერხიო სანჩესი, ტონი, სანტი, ხუან გომესი, კორეა (ლუკე 81), აგილერა, რობერტო, კიკო ნარვაესი, უგო ლეალი (დანი 64), სალვა, კარასედო
გაფრთხილება: პასკუალი, გარიდო, აგილერა, კარასედო, კიკო ნარვაესი, ტონი
17 500 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:2 ბარსელონა**

0:1 რივალდო (13), 0:2 ალფონსო (42), 1:2 ტამუდო (58)
ესპანიოლი: არგესო, კრისტობალი (ნავასი 67), სოლდევილა, როტჩენი, ტოლედო, ველამაზანი (მორალესი 76), გალკა, სერხიო, როხერი, მარტინ პოსე (ოსკარი 57), ტამუდო
ბარსელონა: რეინა, გაბრი, აბელარდო, კოკუ, სერხი, ხავი, პეტი (გვარდიოლა 66), ლუის ენრიკე (ხერარდი 77), ოვერმარსი, რივალდო, ალფონსო (დანი 77)
გაფრთხილება: ლუის ენრიკე, პეტი, სოლდევილა, ოსკარი, ველამაზანი, გაბრი, როტჩენი
გაძევება: როტჩენი (35)
24 600 მაყურებელი


REUTERS ბარსელონიდან

ესპანიოლი — ბარსელონა 1:2. რივალდოს ვინ დაიჭერს...

**სახელიანმა,** ერთ დროს მრისხანე მადრიდის „ატლეტიკომ“ მოკრძალებული ანგარიშით დაამარცხა მეოთხედფინალში სენსაციურად მოხვედრილი „გრანადა“. მასპინძლებს ვერც „ლოს კარმინესზე“ მისული 17 500 მაყურებლის ყიჟინამ უშველა. თამაშის დასაწყისშივე ვეტერანი კიკოს პასით ურუგვაელმა კორეამ მეკარე პინდადო სახტად დატოვა. გოლს ორმხრივი იერიშები მოჰყვა. მეორე ტაიმში „გრანადა“ მეტოქის კარზე დაიგეშა, მაგრამ უშედეგოდ, „ატლეტიკოს“ სათადარიგო მეკარის ოსტატობამ ესპანური ფეხბურთის ყოფილი ბობოლის კარი მშრალად შეინახა. მესამედივიზიონელებმა საბოლოოდ „ვისენტე კალდერონზე“ გასამართი საპასუხო თამაშის იმედზელა დატოვეს მოედანი.

გალისიურმა „სელტამ“, რომელსაც პრიმერადივიზიონში ბოლო 11 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო, „მალიორკას“ სძლია. ჯერ სტუმრებმა ივარგეს, არიელ იბაგასასა და ნიგერიელი ფინიდის კომბინაციას ამ უკანასკნელის გოლი მოჰყვა, მაგრამ ვიქტორ ფერნანდესის გუნდმა მეორე ტაიმში ვაჟკაცურად იომა და სტუმრებს სამი უპასუხო გოლი გაუტანა. გუსტავო ლოპესმა ორი თერთმეტმეტრიანი შეაგდო, ხოლო კარერასის დარტყმის შემდეგ ბურთმა 15 მეტრი იფრინა და მატჩის საბოლოო შედეგი — 3:1 დაფიქსირდა.

ნაკლებად სანახაობრივი და დაძაბული იყო „რასინგისა“ და „სარაგოსას“ დაპირისპირება. სანტანდერში მეტოქენი 1:1 დაზავდნენ.

მეოთხე მატჩი ბარსელონელთა შორის გაიმართა. კატალონიური დერბი დაძაბული გამოდგა. „ესპანიოლის“ მწვრთნელი პაკო ფლორესი ჯერ არ გადამხტარიყო და „ჰოპლა“ დაიძახა, თამაშის წინ „ბარსელონას“ 15-თამაშიანი წაუგებელი სერიის შეწყვეტით დაემუქრა. ლორენს სერა ფერერიც არ ჩამორჩა თავის კოლეგას და განაცხადა, რომ „ესპანიოლთან“ თამაში კარგი შესაძლებლობა იქნება, რათა გუნდმა ყელში გაჩხერილი რვა ქულა დაივიწყოს, რომელიც „ბარსას“ მოსისხლე „რეალისგან“ აშორებს. მწვრთნელთა „მოკრძალებული“ პროგნოზები არ ახდა. „ესპანიოლმა“ (რომელსაც დიდი ფინანსური პრობლემები აქვს და ფეხბურთელს ფეხბურთელზე ჰყიდის, გვარიანად ანერვიულა თანაქალაქელთა ქომაგები, ხოლო „ბარსას“ თამაშმა ვერაფრით ანუგეშა 8-ქულიანი სხვაობით შეფიქრიანებული ლორენს სერა ფერერი.

სამეფო თასის ნახევარფინალისტთა ვინაობა ჯერჯერობით გაურკვეველია. თეთრი და შავი მომავალ კვირას, საპასუხო მატჩებში გამოჩნდება.

# გაამწვანებს «სელტიკი»?

## შოტლანდია

### XXVI ტური

**დანდი 2:3 დანდი იუნაიტედი**

0:1 დევიდსონი (33), 1:1 კანიჯა (45), 1:2 ისტონი (46), 1:3 ლაკლანი (78), 2:3 ფალკონერი (88)
დანდი: როკატი, სმიტი, ტეიდი, კოინი, მაკკიმინგი (ბონეტი 58; რუსო 67), არტერო, ნემსაძე, რომანო, კარანსა, ფალკონერი, კანიჯა
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
11 724 მაყურებელი

**პარტისი 1:0 სენტ მირენი**

1:0 კამერონი (75პ)

**მოზერუელი 1:1 დანფერმლაინი**

1:0 მაკკალოხი (69), 1:1 ბიულენი (89)

**რეინჯერსი 1:0 აბერდინი**

1:0 თუგაი (39)

**კილმარნოკი 1:1 ჰიბერნიანი**

1:0 მეი (68), 1:1 უ. ლაურსენი (87)

**სენტ ჯონსტონი — სელტიკი**

გადაიდო

**რომელ** შოტლანდიურ გუნდში თამაშობს გიორგი ნემსაძე? A სელტიკში, B რეინჯერსში, C აბერდინში, D დანდი იუნაიტედში.

სწორი პასუხია... არცერთში!

მაგრამ D ჯერ გააყვითლეს, მერე კი, სხვა რაღა გზა იყო, გაამწვანეს კიდეც.

არადა, ამ ჩამონათვალს ასეთი კითხვა დაამშვენებდა — რომელ შოტლანდიურ გუნდს ვერ იტანენ ყველაზე მეტად გიორგი ნემსაძე და მისი თანაგუნდელები? ცხადია, D — დანდი იუნაიტედს.

იმიტომ, რომ ნემსაძე უიუნაიტედო „დანდიში“ თამაშობს და ამავე ქალაქის მეორე გუნდთან ყველაზე დიდი დაპირისპირება თუ აკავშირებს.

ეგ არაფერი, ხდება ხოლმე — ამათ ვითომ კონკურენტმა შოუმ ნიაგარას ჩანჩქერი მთლად აფრიკაში ააჩხრიალა...

„დანდის“ მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ კი საახალწლო შესვენებაზე გუნდი მშობლიურ იტალიაში ჩაიყვანა, თუმცა იქ სპარინგ-პარტნიორი ვერ იშოვა. დაბრუნდა „დანდი“ სამშობლოში და ჯერ ქვედალიგელ „ფალკირკს“ ვერაფერი მოუხერხა, გუშინწინ კი თანაქალაქელ, ლიგის უპირველეს მაჩანჩალასთან დამარცხდა.

არადა, წინა ორ დანდურ დერბიში სწორედ ივანო ბონეტის შეგირდებმა იმარჯვეს, ახლა კი ისე უჯიგროდ ითამაშეს, ხალხი კი არა, თავისი კლუბის თავკაცობაც გაოცებული დატოვეს: „თამაში რომ ერთ ან ორ ფეხბურთელს არ გამოსვლოდა, კიდევ არაუშავს, მაგრამ დღეს ყველა ერთად შერცხვა“ — თქვა მატჩის შემდეგ მწვრთნელის თანაშემწემ და ძმამ დარიო ბონეტიმ.

უსუსური პირველი ტაიმის მიუხედავად, 45-ე წუთზე „მუქლურჯთა“ არგენტინელი ბომბარდირის კლაუდიო კანიჯას გოლმა „დენს პარკზე“ შეკრებილ საზოგადოებას ცოტაოდენი იმედი ჩაუსახა, მაგრამ მეორე ნახევრის დაწყება და კრეიგ ისტონის ზუსტი დარტყმა ერთი იყო. კიდევ ნახევარ საათში გაყვითლებული მასპინძლები ჯიმ ლოხლანმა გაამწვანა და ცხადი შეიქნა, რომ „დანდი იუნაიტედი“ პირველად ამ სეზონში ცხრილის ბოლო საფეხურს თავს დააღწევდა. დარწმუნებულნი ხართო — ერთი კი დაეჭვდა ვილი ფალკონერი, ვინც კანიჯას პასით დამთავრებამდე სამი წუთით ადრე უთავა ზუსტად, მაგრამ აუტსაიდერებმა გაძლეს და გარანტირებული სამი ქულა მიითვალეს. „ერთ დღეში დერბის მოგებაც და ბოლო ადგილის მიტოვება მართლაც დიდი საქმეა. ჩვენ სწორ გზაზე ვდგევართ“ — ხარობდა გამარჯვებულთა მწვრთნელი ალექს სმიტი.

ამასობაში გლაზგოს ორ გუნდს შორის დაახლოებაც შედგა — არა ურთიერთობაში, არამედ ქულებში: „რეინჯერსმა“ თურქი თუგაი ქერიმოღლუს ზუსტი საჯარიმო დარტყმით „აბერდინი“ დაამარცხა და „სელტიკამდე“ ახლა 9 ქულაღა აშორებს, ვინაიდან ქალაქ პერთში ისეთი წვიმა მოვიდა, იქაური „სენტ ჯონსტონისა“ და ლიდერის შეხვედრა საერთოდ ვერ ჩატარდა. „ამით ერთი პრობლემა შეგვექმნა: ჩვენ ბულგარელ სტილიან პეტროვს ეს მატჩი დისკვალიფიკაციის გამო უნდა გაეცდინა, ახლა კი 11 თებერვალს „რეინჯერსთან“ ვერ ითამაშებს“ — ოდნავ შეწუხდა „სელტიკის“ ირლანდიელი მწვრთნელი მარტინ ონილი.

დიახ, ათ დღეში მორიგი გლაზგოური დერბია, ექვსქულიანი თამაში, რომელშიც „რეინჯერსმა“ უნდა დაამტკიცოს, რომ კითხვას — ვინ გახდება სქოთური პრემიერლიგის წლევანდელი გამარჯვებული — ერთის გარდა პასუხის სხვა შესაძლო ვარიანტიც შერჩენია.

**გიგა ძოწახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 24 | 20 | 3 | 1 | 66:21 | 63 |
| ჰიბერნიანი | 26 | 16 | 7 | 3 | 45:16 | 55 |
| რეინჯერსი | 24 | 17 | 3 | 4 | 51:24 | 54 |
| კილმარნოკი | 25 | 12 | 4 | 9 | 31:33 | 40 |
| ჰარტსი | 26 | 10 | 6 | 10 | 38:37 | 36 |
| დანფერმლაინი | 25 | 8 | 7 | 10 | 23:31 | 31 |
| დანდი | 24 | 8 | 6 | 10 | 36:31 | 30 |
| სენტ ჯონსტონი | 25 | 7 | 9 | 9 | 25:35 | 30 |
| მოზერუელი | 25 | 8 | 5 | 12 | 31:39 | 29 |
| აბერდინი | 24 | 4 | 9 | 11 | 24:40 | 21 |
| დანდი იუნ. | 25 | 3 | 4 | 18 | 19:48 | 13 |
| სენტ მირენი | 25 | 3 | 3 | 19 | 15:49 | 12 |

# დიეგო და ანდაზა

**ნათქვამია,** ტყუილის მთქმელს მართალიც არ დაეჯერებაო. ჰოდა, თუ ასეა, ოთხჯერ ტყუილის მთქმელს — მით უმეტეს.

დიეგო მარადონაზე მოგახსენებთ. არგენტინელმა ამას წინათ არაბებს შეუთვალა, თქვენი სახელოვანი ფეხბურთელის, აბდულა რაჰმან მოჰამედის გამოსათხოვარ მატჩში ჩამოვალ და თქვენებურად დამხვდითო.

დიდად გაიხარეს საამიროების მოქალაქეებმა, აბდულას პატივს სცემენ, მაგრამ იციან, რომ დიეგო უფრო დიდია. მერე რაც მოხდა, უკვე ვწერდით — მარადონამ სახელი გაიტეხა და მომლოდინე ხალხი დუბაის აეროპორტში ტყუილად აყურყუტა.

მარადონას დამპატიჟელები აღშფოთდნენ, დიდი ვარსკვლავის მისამართით ერთი-ორი მწარე სიტყვა თქვეს, თუმცა მისი ჩამოსვლის იმედი არ გადაიწურეს, ალბათ, ქართული ანდაზა არ იცოდნენ.

რალაც პატარა პრობლემა შემექმნა, იმან დამაყოვნა და ხვალვე მანდ გავჩნდებიო, მეორედ შეუთვალა არაბებს მარადონამ. ცხადია, ისევ არ ჩავიდა. თავი რომ არ შეგაწყინოთ, მოკლედ ვიტყვით, რომ კიდევ ორჯერ გამეორდა იგივე: ჰოდა, არაბებმაც იწყინეს აბუჩად აგდება და თქვეს, ვიცით, რომ არ ჩამოვა, მაგრამ რომც ჩამოვიდეს, ჩვენგან მასპინძლობის იმედი აღარ ჰქონდესო.

შეიცვალა საზოგადოებრივი აზრიც. აქამდე საამიროელებისთვის მარადონა დიადი ფეხბურთელი იყო, ახლა კი საეჭვო რეპუტაციის კოკაინისტია. ზოგი იმასაც ამბობს, ქვეყანაში შემოსვლა უნდა ავუკრძალოთ, თორემ ბავშვებს გაგვირყვნისო.

ამასობაში გამოსათხოვარი მატჩის ორგანიზატორმა მოჰამედ ჰამიდამ იმაზე დაიწყო ფიქრი, მარადონა ვინ უნდა შეცვალოს. სამი კანდიდატი შეურჩევია: ზინედინ ზიდანი, დევიდ ბექემი ან რივალდო. ჰამიდა ამბობს, თავს არ დავზოგავ და ერთ-ერთს აუცილებლად ჩამოვიყვანო. გავიხსენოთ, რომ მარადონას არაბები თავის დროზე 250 ათას



გილერმო კოპოლა: დიეგოს ტყუილი არასდროს უთქვამს!

დოლარს სთავაზობდნენ და თუ სურთ, ბენეფისზე ერთი ნაღდი ვარსკვლავი მაინც იხილონ, მისთვისაც ბლომად ფულის გადახდა მოუწევთ.

და დიეგო? მის ნაცვლად აგენტი და ძმაკაცი გილერმო კოპოლა ალაპარაკდა, თექვსმეტი წელია, დიეგოს მეგობარი ვარ და ტყუილი არასდროს უთქვამს, მისებრ ალალმართალი კაცი ქვეყნად მეორე არ მეგულებაო. რაკი თქვა, ჩავალო, გარწმუნებთ, რომ ნამდვილად ჩავა. რომ იცოდეთ, ბოლო დღეებში უამრავი ქვეყნიდან მოგვივიდა მოწვევა, დიეგომ კი ყველას შეუთვალა, საამიროებში მელიან და არ მცალიაო.

რა უფლება გვაქვს, კოპოლას არ ვენდოთ, მაგრამ ოთხჯერ ტყუილის თქმას რა ვუყოთ?

**გიორგი დარჯანია**

## ჰოლანდია

### XIX ტური

**ნაიმეგენი 2:3 როზენდალი**

0:1 ბლინკერი (44), 0:2 ვოსი (55), 1:2 გ. ხრისტოვი (61), 2:2 ვისგერპოფი (70), 2:3 კასი (89)

**ვიტესი 2:4 ბრედა**

0:1 საიმონსი (3), 0:2 სალმონი (11), 1:2 კლასენსი (28), 1:3 სტიუარტი (38), 1:4 საიმონსი (54), 2:4 კლასენსი (81)

**პსვ ეინდჰოვენი 3:0 გრონინგენი**

1:0 კეჟმანი (35), 2:0 ვოგელი (42), 3:0 ვან ბომელი (65)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ჰაინცე, ვან ბომელი, ვოგელი (დე იონგი 76), რომედალი (მარკინიო 84), კოლკა (ბუმა 69), ბრუგინკი, კეჟმანი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
31 000 მაყურებელი

**ჰერენვენი 1:0 ფეიენოორდი**

1:0 დ. დე ნოიერი (90)

**სიტარდი 1:0 როდა**

1:0 ბიეკოვიჩი (8)

**ტილბურგი 4:1 სპარტა**

0:1 ელხატაბი (1), 1:1, 2:1 ლანდზაატი (45პ, 61), 3:1 ვან დერ მეერი (71 ს.კ.), 4:1 ბომბარდა (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 19 | 15 | 1 | 3 | 43:17 | 46 |
| პსვ ეინდჰოვენი | 19 | 13 | 5 | 1 | 41:12 | 44 |
| ვიტესი | 19 | 11 | 4 | 4 | 38:29 | 37 |
| აიაქსი | 18 | 10 | 3 | 5 | 45:24 | 33 |
| როდა | 19 | 9 | 3 | 7 | 35:26 | 30 |
| ტილბურგი | 19 | 8 | 6 | 5 | 31:23 | 30 |
| უტრეხტი | 18 | 8 | 3 | 7 | 34:30 | 27 |
| ნაიმეგენი | 19 | 6 | 9 | 4 | 26:22 | 27 |
| ვალვაიკი | 18 | 7 | 6 | 5 | 19:16 | 27 |
| ბრედა | 19 | 8 | 3 | 8 | 28:32 | 27 |
| ალკმარი | 18 | 6 | 5 | 7 | 28:32 | 23 |
| გრონინგენი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:32 | 22 |
| ჰერენვენი | 19 | 5 | 7 | 7 | 21:28 | 22 |
| ტვენტე | 18 | 5 | 6 | 7 | 28:33 | 21 |
| გრააფსხაპი | 18 | 4 | 1 | 13 | 24:38 | 13 |
| სპარტა | 19 | 3 | 4 | 12 | 24:41 | 13 |
| როზენდალი | 19 | 4 | 1 | 14 | 26:53 | 13 |
| სიტარდი | 19 | 2 | 5 | 12 | 14:42 | 11 |

## ბელგია

### თასის 1/2ფინალის წილისყრა

ბეერსხოტი — ვესტერლოო; ლოკერენი (I) — სერკლ ბრიუგე (I)
I მატჩები — 28 მარტს, საპასუხოები — 11 აპრილს

## ამხანაგური მატჩი

**კოლუმბია 3:2 მექსიკა**

0:1 კლაუდიო სუარესი (10), 0:2 ლუის ერნანდესი (15), 1:2 ბედოია (40), 2:2 ვასკესი (63), 3:2 სალასარი (90)

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1 ლარი / 50 თეთრი)

[illegible] ფოტო





მანფრედ კალცი და ფელიქს მაგათი უმუშევრები არიან

# ერთი მაგათი...

## აინ-ტრახ-ტი: მაგათის და კალცის კარიერა ფრანკფურტში

**ორიოდე** დღის წინ ფრანკფურტის „აინტრახტის" მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგათი თანამდებობიდან დაითხოვეს. კლუბის ხელმძღვანელობამ მას ზედიზედ მეექვსე წაგება ვერ აპატია. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, მასმედიამ როგორც ყოველთვის ორივე მხარეს კომენტარი სთხოვა.

„კლუბში ყველა ვმუშაობთ, ის კი ჩვენს რიტმს ვერ აჰყვა, მაგათი გუნდს მოძველებული მეთოდებით ავარჯიშებდა..." — განაცხადა „აინტრახტის" საბჭოს თავმჯდომარე სტევენ იელლიკმა. ამან და კლუბის სხვა წარმომადგენელთა გამონათქვამებმა, როგორც ჩანს, ფელიქს მაგათი ალაშფოთა და...

„გაკვირვებული და იმედგაცრუებული ვარ. არც კი რცხვენიათ, რას ამბობენ, თავადაც ვერ გაუგიათ. „აინტრახტში" მუშაობამ ძალიან ბევრი ძალა წამართვა. ექიმებთან მე უფრო ხშირად დავდიოდი, ვიდრე გუნდის ფეხბურთელები. კლუბის ინტერესებს ჯანმრთელობა და კერძო ცხოვრება შევწირე. მე და ჩემი თავდადება რომ არა, ახლა „აინტრახტი" პირველ ბუნდესლიგაში არ იქნებოდა, მაგრამ ვინ გიფასებს" — უთხრა მაგათმა გერმანულ გაზეთ „ბილდს".

„აინტრახტის" ყოფილი თავკაცი არც ფულის დაკარგვას აპირებს. მას ფრანკფურტელებთან ხელშეკრულება 2003 წლამდე ჰქონდა, თვეში კი 110 ათასი მარკა უნდა მიეღო. ჰოდა, მაგათი ახლა ამბობს, „ვერდერსა" და „ჰამბურგში" რომ ვმუშაობდი და იქიდან დამითხოვეს, ხმა არ ამომიღია, ახლა კი კუთვნილი უნდა გადამიხადონო. ერთ-ერთ სააგენტოს თუ ვენდობით, მწვრთნელი მზადაა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლოსაც კი მიმართოს, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და მისალებს მივიღებო.

სანამ მაგათი თავისას მოითხოვს, მანამდე „აინტრახტის" უფროსობამ გუნდში კიდევ სამუშაო ადგილი გაათავისუფლა. ოთხშაბათს მთავარი მწვრთნელის გზას მისი თანაშემწე მანფრედ კალციც გაუყენეს. კალცი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში თავის დროზე 69 ჯერ უთამაშია, მაგათის თანაშემწედ შარშან ზაფხულში დაინიშნა. მას 2-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, თუმცა მხოლოდ შვიდი თვე ამუშავეს.

„ხელმძღვანელობამ „აინტრახტის" მირეული გარდაქმნა გადაწყვიტა, ახალ პოლიტიკას კი მწვრთნელები შეეწირნენ" — ამგვარად ახსნა კალცის დათხოვნა კლუბის პრესატაშემ.

მოითხოვს თუ არა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებას კალცი, უცნობია.

**ვანო ოქროპირიძე**

# ისტერიიდან ისტორიაში

## ოლივერ კანი ფეხბურთში აპირებს იმას, რაც ჰელმუტ კოლმა გააკეთა: კედელი უნდა დაანგრიოს

**მიუნხენის** „ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანი ფეხბურთში ახალი სიტყვის თქმას აპირებს. კანი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ კი ითვლება, მაგრამ ერთი სუსტი წერტილი აქვს — საჯარიმო დარტყმებისას ხშირად ვერ ყოჩაღობს. აგერ, ბუნდესლიგის მე-20 ტურში, „ბოხუმთან" 3:2 მოგებულ მატჩში, კანმა ერთი ბურთი ჯარიმიდან გაუშვა. ელდირაი ბასტურკის დარტყმული არც ისე ძნელი მოსაგერიებელი იყო, მაგრამ გერმანიის ნაკრების მეკარე უძლური აღმოჩნდა. ამის გამო პრესაში გააკრიტიკეს, ეროვნული გუნდის კარის დარაჯი 28 მეტრიდან დარტყმულ ბურთს არ უნდა უშვებდესო.

კანმაც გუშინ თავი იმართლა. როცა ბურთს ვერ ხედავ, როგორ უნდა აიღოო. ისიც თქვა, იმ პირობებში, როგორშიც მე ვიყავი, იმ დარტყმის აღების შანსი არ იყოო. საკითხავია, რამ შეუშალა მეკარეს ხელი? „კედელი იდგა ცუდად, ფეხბურთელები მეფარებოდნენ და ბურთის ტრაექტორიაც ამიტომაც ვერ დავინახე" — თქვა კანმა, თუმცა ის კი დაავიწყდა, რომ საჯარიმოს დროს სიტუაციებისას კედლის სწორედ დაყენება მეკარის საქმეა.

კანი ამას არ დასჯერდა და რევოლუციით დაიმუქრა. ცხადია, დაგაინტერესათ, რას გულისხმობს მეკარე რევოლუციაში. რას და საჯარიმოს შესრულებისას დროს კედელი აღარ უნდა დავაყენო, ხელის შეშლის მეტს მაინც არაფერს მიკეთებსო. ისიც დააყოლა, სხვისი არ ვიცი და მე ცოცხალი კედელი სულაც არ მჭირდებაო. არგუმენტად ისევ „ბოხუმთან" მატჩი მოიყვანა, იმ თამაშში რომ კედელი არ დამეყენებინა, ვნახავდი, ბასტურკი როგორ გაიხარებდაო.

ვთქვათ და ბასტურკის დარტყმა კანს მართლაც აელო და მის ახირებას შედეგი გამოელო, საინტერესოა, რას მოუხერხებს იგი ჯარიმების ისეთ ოსტატებს, როგორებიც ბასლერი, ჰესლერი, მიოლერი, ბაინლიხი (რობერტო კარლოსზე შეგნებულად არაფერს ვამბობთ) და სხვები არიან. კანი იხტიბარს არ იტეხს, მთავარია, ბურთს ვხედავდეო, ამბობს.

მეკარემ ისიც აღიარა, ცოცხალი კედლის „დანგრევის" იდეა თავში ახლა არ მომსვლია, დიდი ხანია, ამ ამბავზე ვფიქრობო. კანს უკვე „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდთანაც უსაუბრია. ჰიცფელდი თავისი შეგირდის გადაწყვეტილებით დიდად აღფრთოვანებული არ დარჩენილა, თუმცა ერთ რამეში კი მხარი დაუჭერია. 25 მეტრზე შორი საჯარიმოსას ოთხკაციანი ცოცხალი კედელი, ცოტა არ იყოს მებევრება, მგონი, ორი კაციც საკმარისი იქნებაო.

კანი თავისას არ იშლის, რას მიქვია მანძილი, კედელი თუ არ იქნება, საჯარიმოს გარედან ნებისმიერ დარტყმულს გავუმკლავდებიო. კანი თავის „გამოგონებას" ჯერ „ბაიერნის" ვარჯიშებზე შეასხამს ხორცს, მერე კი, როცა კარგად აულებს ალღოს, ოფიციალურ თამაშებზეც გამოიყენებს. ოლივერ კანი კედლის დანგრევას ასეთი ხერხით აპირებს — კედელში ჯერ ოთხ კაცს დავაყენებ, მერე ორს, მერე ერთს, ბოლოს კი არც ერთს, რად მინდა კედელი?

**ვანო ოქროპირიძე**

# ალვარომ, ევროპელი არ ვარო




ალვარო რეკობა: მე მინდა ვიყო ურუგვაელი!

**„ინტერის"** ურუგვაელი ალვარო რეკობა არც ქურდია და არც კუდი აქვს, თუმცა მაინც ეწვის. აბა, სხვაგვარად რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ კაცმა თავისი ნებით უარი თქვა ევროკავშირის მოქალაქეობაზე, რომელზეც სხვები ოცნებობენ და ყალბ პასპორტებს იატაკქვეშა კარტელებში ამზადებენ.

რეკობა „ინტერში" 1997 წელს „ნასიონალიდან" გადავიდა. მაშინ მას მხოლოდ ურუგვაული პასპორტი ჰქონდა და შესაბამისად, უცხოელად ითვლებოდა. გავიხსენოთ, რომ იტალიურ კლუბებს განაცხადში მხოლოდ ხუთი არაევროკავშირელის შეყვანის უფლება აქვთ და მინდორზე ერთდროულად სამი მათგანის შეშვება შეუძლიათ.

მოგვიანებით „ინტერმა" სხვა უცხოელებიც შეიძინა და ლიმიტში რომ ჩატეულიყო, რეკობა „ვენეციაში" იჯარით გაუშვა. ეს 1999 წელს მოხდა, რეკობა იმ დროისთვის „ინტერის" ძირითადში ისედაც ვერ ხვდებოდა.

გავიდა რამდენიმე თვე და ფეხბურთელმა აღმოაჩინა, რომ მისი წინაპრები ევროპელები ყოფილან და ურუგვაიში მერე გადასახლებულან. ფორმალური საკითხების მოგვარების შემდეგ რეკობამ ევროკავშირის მოქალაქეობა მიიღო და „ინტერშიც" დაბრუნდა.

მონასტერი შარშან სექტემბერში აირია, როცა უეფას თასზე სათამაშოდ პოლონეთში ჩასულ „უდინეზეს" ბრაზილიელ ვარლეის იქაურმა მესაზღვრეებმა ყალბი პორტუგალიური პასპორტი აღმოუჩინეს. იტალიის პოლიციამ გამოძიება დაიწყო და ვარლეიმ სამშობლოში დაბრუნებით უშველა თავსა მის გზას „უდინეზეს" კიდევ ერთი ბრაზილიელი, ვალენტინო ალბერტო დაადგა.

ამასობაში კი გამოძიება თავისი გზით მიდიოდა და უფრო სახელოვანი ფეხბურთელების გენეალოგიით ინტერესდებოდა. ბადეში გაება ხუან სებასტიან ვერონიც. „ლაციოს" არგენტინელმა 6 თებერვალს რომაელ მოსამართლეს უნდა დაუმტკიცოს, რომ მისი წინაპრები ევროპელები იყვნენ.

ახლა კიდევ რეკობა. კლუბი და ფეხბურთელი იფიცებიან, ევროპული პასპორტი სრულიად კანონიერად არის გაცემული, რასაც გამოძიებას უპრობლემოდ დავუმტკიცებთო, მაგრამ... „ინტერმა" იტალიის ფეხბურთის ფედერაციას უჩვეულო თხოვნით მიმართა, რეკობასთვის ევროკავშირელის სტატუსი მოეხსნა და მასზე შეზღუდვის ლიმიტი გაევრცელებინა. გუშინწინ ფედერაციამ კლუბის თხოვნა დააკმაყოფილა.

ცხადია, ამის შემდეგ პოლიციელთა ეჭვს, რეკობას ყალბი პასპორტი აქვსო, სხვებიც გაიზიარებენ. „ინტერის" განცხადება, უბრალოდ თავი დავიზღვიეთ, თორემ რეკობას სიმართლეში დარწმუნებულნი ვართო, აშკარად არადამაჯერებლად ჟღერს.

ბოლოს დავუმატოთ, რომ მილანურ კლუბში უცხოელებად კოლუმბიელი ივან კორდობა, ხორვატი დარიო სიმიჩი და ბრაზილიელი რონალდო ითვლებიან.

**გიორგი დარჯანია**



ოლივერ კანი: ოთხი, ორი, არც ერთი...

# ძროხავ, მოგვშვე...

**ოთხშაბათს** ჰოლანდიური გრანდის, ამსტერდამის „აიაქსის" ქომაგებმა სტადიონის ხელმძღვანელობის მიმართ პროტესტი ძალიან უცნაურად გამოხატეს — ადგნენ და „ამსტერდამ არენას", მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე სტადიონის მინდორზე ორი ძროხა შეუშვეს. მიზეზს არ იკითხავთ? წინა უქმეებზე ჰოლანდიის თასის მატჩში „აიაქსმა" არნემის „ვიტესს" უმასპინძლა. თამაშის სანახავად მისული ქომაგები კი „ამსტერდამ არენას" მინდვრის საფარის მდგომარეობით აღშფოთებულან. ჩვენ საყვარელ გუნდს ასეთ მინდორზე როგორ ათამაშებთო, უთქვამთ და საპასუხო ნაბიჯიც გადაუდგამთ.

დიდი ხანია „აიაქსის" უფროსობას თავისი სარბიელის მინდვრის მდგომარეობა აწუხებთ, მოკლე დროში თურმე საფარი 24-ჯერ გამოუცვლიათ, მაგრამ ეს საქმეს არ შველის, მიზეზი კი დღემდე ვერ დაუდგენიათ.

ჰოლანდიური პრესა იმედს გამოთქვამს, ეგებ მინდორს ახლა მაინც ეშველოსო. ოპტიმიზმის საფუძველს კი ქომაგთ მინდორზე შესული ერთ-ერთი ძროხა აძლევთ, რომელსაც იქ კარგად მოუსაქმია. „ამსტერდამ არენასაც" სასუქი მიუღია, თუმცა, არა გვგონია, იმხელა ფართობს ერთი ძროხა ეყოს.

დაეტყობა თუ არა საქონლის ნამოქმედარი მინდორს, 11 თებერვალს გამოჩნდება, როცა „აიაქსი" „ტილბურგს" უმასპინძლებს.

# მე გიყიდი წითელ-ყვითელ ბიჭებს...
## «გალათასარაის» წაგება აუკრძალეს


მირჩა ლუჩესკუ (მარცხნივ) ზოგჯერ რჩევებს გეორგე პოპესკუსაც ეკითხება

**შარშან** ზაფხულს ეროვნულ გმირად შერაცხული ფატიჰ თერიმის ნაცვლად „გალათასარაის" მთავარ მწვრთნელად რუმინელი მირჩა ლუჩესკუ დაინიშნა და თავიდანვე დიდ ტვირთს დაეჭიდა. ხუმრობა ხომ არ არის, შარშან თურქებმა ისტორიაში პირველად მოიგეს უეფას თასი. „გალათასარაი" ქვეყნის სიამაყედ იქცა და ამბიციებიც მოუზღვავდა. „წითელ-ყვითელი" გუნდის ბედით თურქეთის მთავრობაც სერიოზულად დაინტერესდა. ეს კი, ჩვენს სამეზობლოში ბევრს ნიშნავს.

ლუჩესკუს მისვლა იღბლიანი გამოდგა. მალევე „გალათასარაიმ" ევროპის მთავარი პრიზის მპყრობელ მადრიდის „რეალს" კონტინენტის სუპერთასი წაგლიჯა და წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის საგაზაფხულო ეტაპსაც თავაწეული ხვდება — B ჯგუფში კახა კალაძის „მილანთან" პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.

ლუჩესკუს მიაჩნია, რომ ბოლო თვეების მანძილზე „გალათასარაი" დაბრძენდა: „ადრე გუნდი უფრო ენთუზიაზმით გადიოდა ფონს. ჟინი ბევრს ნიშნავს, მაგრამ გამარჯვებებს დამამცირებელი მარცხები ენაცვლებოდა. ახლა კი წაგება აგვიკრძალეს. თურქეთის ჩემპიონს, დღევანდელი ავტორიტეტის გათვალისწინებით, ნებისმიერი თამაშის მოგება მართებს.

ფეხბურთელებიც მეტად დაიხვეწნენ. ახლა ისინი ყოველი მატჩისთვის განსაკუთრებით ემზადებიან.

ასეა, „გალათასარაი" ყველგან უნდა იმარჯვებდეს. წლეულს თურქეთის ჩემპიონობისა და თასის მოგებას ვაპირებთ, თუმცა კონკურენტებიც ძლიერები გვყავს, „ბეშიქთაშსა" და „ფენერბაჰჩეს" არასოდეს სძინავთ. ჩემპიონთა ლიგაში კი მეოთხედფინალში გასვლას ვვარაუდობთ. სულ მალე ტურნირი განახლდება და ჩვენც გაზაფხულს იმედით ვხვდებით. ერთ-ორ წელიწადში კი „გალათასარაის" ლიგის მოგებაც შეეძლება. გუნდში უკვე ბევრია ევროპული კლასის მოთამაშე, თუმცა რგოლებს შორის კიდევ ბევრი რამაა დასახვეწი".

რუმინელს ოპტიმიზმი არ დაეწუნება, თუმცა არაერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ „გალათასარაის" ბედი დიდადაა დამოკიდებული გეორგე ჰაჯისა და მარიო ჟარდელის ხასიათზე. თუ მათ თამაში წაუვიდათ, ხომ კარგი, თუ არა და... უდაოდ ძლიერ გუნდს სტაბილურობა მაინც აკლია. თუნდაც „მილანთან" წლევანდელი სალიგო მატჩი გავიხსენოთ. „სან სიროზე" თურქებმა დიდებული პირველი ტაიმი ჩაატარეს და შესვენებაზე ორბურთიანი მარაგით გავიდნენ. ჯერ ჟარდელმა გახსნა ანგარიში, ორ წუთში კი ჰაჯის ფანტასტიკურ პასს მილანელმა შამოტმა ვერაფერი გაუგო და ჰასან შაშმა მეორე შეაგდო. „მილანს" „გალათასარაის" ძველი ბოლმაც ჰქონდა — ლიგის წინა გათამაშებიდან ხომ ისინი სწორედ სტამბოლელებმა მოკვეთეს. ასეთი ანგარიშიც ამიტომ იყო უცნაური. მაგრამ მეორე ტაიმში „მილანი" გაცოფდა, ხოლო „გალათასარაი" დაიშალა. თამაში 2:2 დამთავრდა. მასპინძლებს რამდენიმე წუთი კიდევ რომ ჰქონოდათ, აუცილებლად მოიგებდნენ. მერე იტალიელებმა თქვეს კიდეც, გუნდი, რომელიც ორ ასეთ განსხვავებულ ტაიმს თამაშობს, სტაბილურად ვერ ჩაითვლებაო და მართლებიც იყვნენ.

თავად ლუჩესკუ ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს და თავის საქმეზე ლაპარაკს ამჯობინებს: „დიდ კლუბებში ერთ ადგილზე ორი თანაბარძალოვანი მოთამაშე მაინც ჰყავთ. ჩვენ კი, ამ მხრივ, ჯერჯერობით მხოლოდ ორი პოზიცია შეგვიძლია გამოვყოთ, დაცვის მარცხენა ფრთაზე ერგიუნი და ჰაკან უნსალი, ხოლო მარჯვნივ, ნახევარდაცვაში ოკანი და უმითი. ესენი ეროვნული გუნდის წევრები არიან. თუმცა, საკადრო სიტუაცია მამშვიდებს. ახლა შემადგენლობაში 18 კარგი ფეხბურთელი მყავს. მუშაობა ერთი წუთი არ ჩერდება და შედეგსაც მალე მოვიმკით".

ამბობენ, ლუჩესკუს სტამბოლში გადაბარგება, კლუბში მისი თანამემამულეების ჰაჯისა და პოპესკუს გავლენამ განაპირობაო. თავად მწვრთნელი გარკვევით არაფერს ამბობს. „შესაძლოა, ამ ფეხბურთელების ავტორიტეტმა რაღაცაზე მართლაც იმოქმედა, მაგრამ ყველა მოთამაშესთან ჩინებული დამოკიდებულება მაქვს, ასე რომ, რუმინელობა აქ არაფერ შუაშია. თუ ჰაჯის და პოპესკუს ვუსმენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძალიან გამოცდილები არიან და ბევრი სასარგებლო რჩევის მოცემაც შეუძლიათო" — ამბობს ლუჩესკუ.

ამას წინათ, რუმინულ ტრიოს ერთი სახლაფორთო ამბავიც შეემთხვა. თურმე ოფლით მოპოვებულ ფულს თურქულ — რუმინულ ბანკში ინახავდნენ. ეს ბანკი კი გაკოტრების პირასაა და შეშფოთდა ხალხი. ამ ისტორიის ბოლო ჯერ უცნობია, თუმცა, ზოგიერთი საეჭვო ქართული ბანკისგან განსხვავებით, ისინი, ალბათ არსად გაიქცევიან და რუმინელებიც კუთვნილს მიიღებენ.

„თურქეთში მხოლოდ ოთხი კლუბია, ევროპულ დონეს რომ აკმაყოფილებენ: „გალათასარაი", „ბეშიქთაში", „ფენერბაჰჩე" და „ტრაბზონსფორი". ასევეა, ვთქვათ, პორტუგალიაშიც. ამას დადებითი მხარეც აქვს. როცა თამაში ყოველ მესამე დღეს გიწევს, შინაური ჩემპიონატის არცთუ პრინციპული მატჩები სასარგებლოცაა, ფეხბურთელებს დასვენების საშუალება ეძლევათ.

„გალათასარაიმ" დაამტკიცა, რომ ევროთასის მოგება „პატარებსაც" შეუძლიათ. თურქეთი კი მდიდარი ქვეყანაა, განვითარებულია ტელევიზია, უამრავი ხალხია, ვინც ფეხბურთში დიდ ფულს დებს. მოკლედ, პერსპექტივა დიდია" — ასეთია ლუჩესკუს აზრი.

ლიგის საგაზაფხულო ეტაპს „გალათასარაი" 14 თებერვალს „დეპორტივოსთან" საშინაო მატჩით დაიწყებს, მანამდე კი ქვეყნის თასისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, ოთხშაბათს მეოთხედფინალში „ტრაბზონსფორს" სტუმრად 4:1 მოუგო.

**სოლომონ გულისაშვილი**

# რა ვქნა, ვჭამეო


ჟუნიორ ბაიანომ თავი კი მოისაწყლა, მაგრამ ვინ დაუჯერებს უცოდველობას

**ჟუნიორ ბაიანო,** რომელსაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიელთა დაცვა ებარა და ვერას გახდა, კოკაინისტი ყოფილა. ეს ამბავი ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ სამიოდე დღის წინ გამოამზეურა, რის თაობაზეც უკვე ვწერდით. გავიხსენოთ, რომ ფეხბურთელი ჟოაო აველანჟის თასის ფინალის შემდეგ დოპინგზე შეამოწმეს და მისი თეთრი ფხვნილისადმი ტრფიალიც მაშინ დადასტურდა.

ხომ ვამბობდი, მაგ კაცის ქცევები რაღაც უცნაურად გვეჩვენებოდაო, უმალ ალაპარაკდა ხალხი. თავად ბაიანო კი ყველაფერს უარყოფს და შეთქმულება მომიწყვესო, გაიძახის. არამზადამ სასმელში ან საჭმელში ჩამიყარა კოკაინი, თორემ მაგ საწამლავისკენ არასდროს გამიხედავსო, თქვა ბაიანომ.

ნუთუ მას მტრები ჰყავს? გამოდის, რომ კი. მაგრამ ვინ? აბა, მე რა ვიცი, შეწუხებულია ვასკუელი მცველი, ყოველდღე დისკოთეკებსა და წვეულებებზე დავდივარ, იქ კი უამრავი ხალხი ირევა, ნებისმიერს შეეძლო ჩაეყარაო.

საეჭვოა, ფედერაციამ ბაიანოს დეტექტიური ვერსია მოცეკვავეთა შორის მყოფ უჩინარ ბოროტმოქმედზე ირწმუნოს, აბა, როდის ჭრიდა ასეთი არგუმენტი. ბაიანოს დასჯის საკითხს ბრაზილიური ფეხბურთის მესვეურნი მოგვიანებით განიხილავენ, იქამდე კი ფეხბურთელი ოცდაათდღიან დისკვალიფიკაციას მოიხდის.

## ფეხბურთის



**არგენტინელ** მცველ რობერტო აიალას ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. გეხსომებათ, სამხრეთამერიკელი „ვალენსიასა" და „ბარსელონას" შეხვედრისას კატალონიელ სიმაო საბროსას ეუხეშა. ესპანური სააგენტოები იუწყებიან, რომ „ვალენსია" გადაწყვეტილების გასაჩივრებას და სასჯელის შემცირების მოთხოვნას აპირებს.

**ფრანგული სააგენტოების ცნობით, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი იური ჯორკაეფი სეზონის ბოლოს „კაიზერსლაუტერნიდან" წასვლას აპირებს. მართალია, ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი 2002 წელს უსრულდება, მაგრამ, როგორც იუწყებიან, იგი გუნდით უკმაყოფილოა. შეგახსენებთ, რომ ჯორკაეფი „კაიზერსლაუტერნში" ორი სეზონის წინ მილანის „ინტერიდან" ჩაირიცხა.**

**იტალიური** „იუვენტუსი" „ბრეშას" შეუთანხმდა და ზაფხულში მათი რიგებიდან ფორვარდ აიმო დიანას შეიმატებს. აღსანიშნავია, რომ 22 წლის ფეხბურთელის შეძენა სხვა კლუბებსაც სურდათ. „ბრეშა" თავდაპირველად შეთავაზებებს უარყოფდა, თუმცა საბოლოოდ ტურინელთა წინადადებას დათანხმდა.

**ბრაზილიელმა მცველმა კაფუმ დაადასტურა, რომ პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი ეპატიჟება, თუმცა „რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ განაცხადა, ფეხბურთელის გაყიდვას არ ვაპირებო. გაირკვა, რომ კაფუს ხელში ჩაგდება „ჩელსის" ნდომებია. „ლონდონში გადასვლა მართლაც შემომთავაზეს. სეზონის ბოლომდე რომში დავრჩები და ყველაფერს შემდეგ გადავწყვეტ, ახლა კი კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი" — თქვა კაფუმ, რომელიც იტალიაში გადასვლამდე 1994-95 წლების სეზონში „სარაგოსას" ღირსებას იცავდა, „რომასთან" კონტრაქტი კი 2003 წლამდე აქვს. „კაფუ ერთ-ერთი უძლიერესი მცველია მსოფლიოში და მისი გუნდიდან გაშვება სულაც არ გვინდა" — ეს რომაელთა პრეზიდენტის სიტყვებია.**

**ესპანეთის** ჩემპიონმა „დეპორტივომ" ცენტრალური მცველი ლუის მიგელ რამისი სანტანდერის „რასინგში" გაუშვა და სანაცვლოდ 223 ათასი დოლარი მიიღო. ხელშეკრულება სეზონის ბოლომდეა გაფორმებული, ხოლო თუ რამისი შემდგომაც მოინდომებს „რასინგში" დარჩენას, ლაკორუნიელები დამატებით 334 ათას დოლარს ჩაიჯიბავენ. „რასინგში" კიდევ ერთი ფეხბურთელი ჩაირიცხა. ურუგვაის ნაკრების 22 წლის ნახევარმცველმა მარიო რეკერომ მონტევიდეოს „ნასიონალი" დატოვა და სანტანდერული კლუბის ღირსებას დაიცავს. მან ოთხწლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**იტალიაში, სატრანსფერო სეზონის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე, „ბარიმ" „რომას" ფორვარდი პაოლო პოჯი გადაიბირა. ეს ფეხბურთელი რომაულ კლუბში „უდინეზედან" მოხვდა, თუმცა თავდამსხმელთა კონკურენციის პირობებში „რომას" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და სხვაგან გადასვლა ამჯობინა. „ბარის" ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რომ პოჯი მათ კრიზისიდან გამოსვლაში დაეხმარება.**

**ესპანურმა** „ოსასუნამ" მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — ტრანსფერზე დაყენებულ ბრაზილიელ ნახევარმცველ ლეანდრო რიბეირა სენასთან კვლავ გააფორმა კონტრაქტი. ეს ფეხბურთელი „ოსასუნას" ზაფხულში ესპანეთის მეორედივიზიონის გუნდ „მერიდადან" შეუერთდა და ოთხჯერაც ითამაშა. შემდეგ გუნდმა მისი გაყიდვა დააპირა და კონტრაქტი შეუწყვიტა. ბრაზილიელიც თითქოს ერთ-ერთ არაბულ კლუბში უნდა გადასულიყო, მაგრამ „ოსასუნამ" გადაწყვეტილება შეცვალა და ლეანდროც დარჩა.

**ჰოლანდიურმა „როდამ" ავსტრიული „კაზინოდან" ახალზელანდიელი მცველი ივან ვისელიჩი შეიძინა და მასთან ოთხნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კლუბებს ფინანსური დეტალები არ გაუმხელიათ. ვისელიჩს ახალი ზელანდიის ნაკრებში 30 შეხვედრა ჩაუტარებია.**

**საფრანგეთის** ჩემპიონმა „მონაკომ" არგენტინელი ფორვარდი დიეგო კუანტერო სეზონის ბოლომდე სერია B-ს კლუბ „სალერნიტანაში" გაანათხოვრა. 22 წლის ფეხბურთელმა ფრანგული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და დროებით წასვლა თავად ისურვა.

**ესპანურმა „რაიო ვალეკანომ" 26 წლის ნახევარმცველი დანი შეიმატა. ფეხბურთელი 1994 წლიდან ხიხონის „სპორტინგის" ღირსებას იცავდა, შემდეგ კი „ალბასეტეში" გადავიდა. მადრიდულ კლუბს ზამთრის სატრანსფერო სეზონზე არავინ შეუძენია და დანი ერთადერთი მოთამაშეა, ვინც გუნდს წლეულს შეემატა.**

**ავსტრიელი** ფორვარდი მარიო ჰაასი „სტრასბურიდან" თავის ყოფილ კლუბ გრაცის „შტურმში" დაბრუნდება. იგი ფრანგული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და ორი სეზონის განმავლობაში ჩატარებულ 28 მატჩში მხოლოდ 3 გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ჰაასი „შტურმიდან" „სტრასბურში" 1999 წელს გადავიდა. კლუბები აცხადებენ, რომ შეთანხმებას მიაღწიეს, თუმცა ფინანსური დეტალები უცნობია.

**ფრანგულმა „პარი სენ ჟერმენმა" ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი — გაელი ირუ და ფაბრის აბრიელი გაანათხოვრა. 20 წლის ირუ პარიზული კლუბის სარეზერვო გუნდში თამაშობდა და საფრანგეთის ახალგაზრდული გუნდების პირველობის ბომბარდირი იყო. იგი სეზონის ბოლომდე იჯარით მეორედივიზიონურმა „მარტიგმა" აიყვანა, ისევე როგორც 21 წლის ნახევარმცველი აბრიელი, რომელიც ზაფხულამდე შვეიცარიულ „სერვეტში" დარჩება.**

**ბერძნული** „პანიონიოსის" თავკაცი დიმიტრიოს ბარბალირი „პანათინაიკოსთან" სათასო შეხვედრაში 2:7 დამარცხების შემდეგ თანამდებობიდან გადადგა. „გუნდში სასიკეთოდ ვერაფერი შევცვალე, უმჯობესია, თანამდებობა დავტოვო" — განაცხადა მწვრთნელმა, რომლის შემცვლელიც კლუბს ჯერ არ დაუსახელებია.

**ინგლისური „სანდერლენდის" ნახევარმცველი ერიკ რუა ფრანგულ „ტრუაში" გადავიდა, პრემიერლიგურმა კლუბმა ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე გაუშვა. 32 წლის რუა „სანდერლენდმა" 1999 წელს „მარსელიდან" შეიძინა, მაგრამ მან გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა და ამ სეზონში პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა.**

**გერმანიის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი როლფ რუსმანი „შტუტგარტის" სპორტულ დირექტორად აირჩიეს. მან თანამდებობაზე კარლ-ჰაინც ფიორსტერი შეცვალა, რომელიც წინა კვირას გადადგა. 50 წლის ყოფილ მცველს გერმანიის ნაკრებში 20 შეხვედრა ჩაუტარებია, იგი „შალკე 04"-სა და დორტმუნდის „ბორუსიას" ღირსებას იცავდა. რუსმანმა „შტუტგარტთან" 2004 წლამდე გააფორმა კონტრაქტი.

**ებრაელი ნახევარმცველი ეიალ ბერკოვიჩი გლაზგოს „სელტიკის" დატოვებას და პრემიერლიგის რომელიმე კლუბში იჯარით გადასვლას აპირებს. 28 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 1999 წელს გლაზგოელებმა „ვესტ ჰემს" კლუბისთვის სარეკორდო თანხა 8,5 მილიონი დოლარი გადაუხადეს, თუმცა შარშან სექტემბრის შემდეგ მას „სელტიკში" ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია. „რამდენიმე პრემიერლიგურ კლუბთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცით სად გადავა ეიალი. ამას სულ ცოტა ხანში გავარკვევთ" — განაცხადა ბერკოვიჩის აგენტმა.**

# პოლიცია ფეხბურთელებს და მეძავეებს ლოგინში შეუწვა

## „ინტერი“, ინტერნეტი და სექსი



მარკო ტარდელი

**იტალიის** ჩრდილოეთით ქალაქია ჩეზენა, რომლის ორმა მცხოვრებმა, ბიზნესის დაატრიალა. ხელის მოსათბობად ინტერნეტი ირჩიეს. ჰოდა, მსოფლიოს ელექტრონულ ქსელში პორნოგრაფიული ვებ-გვერდი www.metropolitan.it გახსნეს. დაიქირავეს საკმაოდ სიმპათიური მანდილოსნები და საქმეცააწყვეს. აი, ფასი კი ბევრისთვის ხელმიუწვდომელი დაადეს. ცხადია, კლიენტებად ფულიანი ხალხი სურდათ და გამოსავალიც მოძებნეს — ფეხბურთელები, სერია A-ს ვარსკვლავები. გავიდა ერთი დღე, მეორე, მესამე... მარიფათიანი ჩეზენელებიც ხელს ითბობდნენ. რატომაც არა, ქალები ბლომად ჰყავდათ, ფასი კი... თითოეულის ანაზღაურება მილიონიდან სამ მილიონ ლირამდე, ანუ 500-დან 1 500 დოლარამდე იყო.

მერე რაც მოხდა, გუშინდელ „სარბიელშიც“ ეწერა: ძმაკაცებს ბიზნესი „გაუბაზრდათ“ და ჩაცვივდნენ. მილანის პოლიციამ ეჭვი აიღო, ეგენი ფარულად, უკანონოდ ხომ არ მოქმედებენო და საქმეც აღძრა. საგამომძიებლო ჯგუფს მილანის პოლიციის გამომძიებელი ფილიპო ნინი ჩაუდგა სათავეში. როგორც გითხარით, კარაბინერებმა ეჭვმიტანილებად ჯერჯერობით უცნობი ორი პიროვნება მიიჩნიეს, რომლებიც ზემოხსენებული ვებ-გვერდის მეპატრონენი არიან.

— ქალები ისე ძვირად ფასობდნენ, რომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, მათ საკმაოდ შეძლებული კლიენტურა ჰყავდათ. კლიენტურაში, რა დასამალია, სერია A-ს 10 ფეხბურთელიც ფიგურირებს, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კლუბებისა და მათ ვინაობას ჯერჯერობით ვერ გავამხელ — განუცხადა ნინიმ სააგენტო „როიტერს“ და დასძინა — ფეხბურთელები ვებ-გვერდის საშუალებით ურეკავდნენ ქალებს, ეპატიჟებოდნენ ვახშამზე, მერე კი ზოგიერთი მათგანი დროის სატარებლად და გასართობად მიდიოდა. ბუნებრივია, ქალთან დაახლოება, ან მერე მისი „შებმა“ აკრძალული სულაც არაა, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვაინტერესებს: ვინ დგას ამ ეგრეთწოდებული ბიზნესის უკან, ხომ არაა ეს მიზანმიმართული პროპაგანდა პროსტიტუციის გასავრცელებლად. ეს კი იტალიური კანონმდებლობით აკრძალულია.

ნინის თქმით, ვებ-გვერდში მოთავსებულია პორნოგრაფიული ფოტოები, რომელთაც გვერდით მიწერილი აქვთ ტელეფონის ნომრები, მისამართები და თანხა, რომელიც უნდა გადაეხადათ კლიენტებს ღამის სიამოვნებისთვის.

მილანის პოლიციამ ეჭვი აიღო, ვებ-გვერდის მეპატრონენი, როგორც ეჭვმიტანილნი, ჯერ დააკავა, მერე კი თავდებით გაუშვა, თავად ვებ-გვერდი დალუქა. აღსანიშნავია, რომ მილანელი პოლიციელები ამ საქმეში მარტონი არ არიან, ისინი თავიანთ ამერიკელ და ევროპელ კოლეგებთან ერთად ეჭვობენ, ეგებ ინტერნეტის სხვა პორნოგრაფიული ვებ-გვერდებიც ასე აწყობენ თავიანთ ბიზნესსო. ერთი სიტყვით, დასავლეთი პროსტიტუციასთან ბრძოლაში საფუძვლიანად ჩაერთო.

...ამასობაში კი მილანის „ინტერის“ თავკაცმა მარკო ტარდელიმ ხმა აიმაღლა, რას ჰგავს თქვენი საქციელი, ვისი რა საქმეა, ფეხბურთელი ვისთან, სად და როგორ გაატარებს დროს, თუ იმაში დამაჯერებთ, რომელიმეს მეძავეებთან ფული არ გადაგიხდიათო? — აღშფოთებას ვერ მალავდა ტარდელი საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

რამ აღაშფოთა ტარდელი? რამ და, თურმე რომელიღაც იტალიურ გაზეთს დაუწერია, ის ვარსკვლავები, რომლებზეც ლაპარაკობენ და რომელთაც პოლიცია არ ამხელს, სწორედ „ინტერის“ ფეხბურთელები არიანო.

— გეტყვით. ბიჭებმა გადაწყვიტეს, ერთად ევახშმათ, მეც მიმიწვიეს. კი, ბატონო, მათ გვერდით ქალებიც ისხდნენ, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, ისინი მეძავეები იყვნენ თუ არა. ღამით კი „მეორე განყოფილება“ დაიწყო. მერე რა, რა მოხდა. ხედავთ, ამაში რაიმე უჩვეულოს, ხმაური და სკანდალი რომ ატეხილიყო? — აი, ეს თქვა ტარდელიმ და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

მილანის პოლიცია კი აგრძელებს გამოძიებას. თუ ყოველივემ სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაცია შეიძინა, „ინტერის“ და სხვა ჯერჯერობით უცნობ კლუბთა ფეხბურთელებს ან პოლიციაში დაიბარებენ დასაკითხად, ანაც სასამართლოში ჩვენების მისაცემად.

**გიორგი ვაჩნაძე**

## არიგოს პარმამ „რა“ არგო



**გუშინ** იტალიის თასის ნახევარფინალზე მისულმა უდინელმა მაყურებელმა შენიშნა — სტუმართა სათადარიგო სკამზე მთავარი ფიგურა, მწვრთნელი არიგო საკი არ იჯდა.

გუშინვე „პარმამ“ ოფიციალურად განაცხადა, რომ არიგო საკი კლუბიდან წავიდა. დავიღალეო, ჯერჯერობით მხოლოდ ეს თქვა საკიმ, პრესკონფერენცია კი დღეისთვისაა დანიშნული. დღესვე „პარმა“ ოფიციალურად წარადგენს ახალ მწვრთნელს, რომლის, „ბოლონიას“ და „ნაპოლის“ ყოფილ თავკაც რენცო ულივიერის.

დავიღალეო, ცოტა უცნაურად ჟღერს. მადრიდის „ატლეტიკოდან“ წასვლის შემდეგ არიგო საკის ორი წელი მოედნისკენ არ გაუხედია.

საკი დიდ ფეხბურთში 9 იანვარს დაბრუნდა და მხოლოდ სამი კვირა გაძლო. ეს ის დრო არაა, კაცმა დაღლილობაზე დაიწუწუნოს. ნუთუ მან გული აიყარა ფეხბურთზე?

პასუხს დღეს ველოდით, იქამდე კი იტალიურ პრესაში გაჟღერებული ცნობით დავკმაყოფილდეთ, არიგო საკი ავადაა, დეპრესია ტანჯავსო.


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქ უ ჩ ა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჯადოებმა ჯადოქრები მოაჯადოვეს

31 იანვარი

**ნიუ ჯერსი 103:112 დეტროიტი**

**ნიუ ჯერსი: მარბერი (18 ქულა, 8 პასი, 5 ჩაჭრა), ჰარისი (14), ვან ჰორნი (19), მარტინი (8), ა. ვილიამსი (13); ნიუმენი (21), ჯექსონი (8), ეშმეიერი (2), დუგლასი**
**დეტროიტი: ეტკინსი (3), სტეკჰაუზი (30 ქულა, 10 პასი), კარი (4), სმიტი (9), ბ. ვოლესი (3 ქულა, 14 მოხსნა, 6 დაფარება); ბარისი (17), ჯ. ვილიამსი (15 ქულა, 17 მოხსნა), ჯ. ვოლესი (12), ბიუჰლერი (10), კლივზი (5), მური (4)**

„ნიუ ჯერსი ნეთსის“ ქართველი ცენტრის, ვლადიმერ სტეფანიას იძულებითი უქმობა კიდევ ერთი თამაშით გაგრძელდა. იძულებითი, რადგან არა გვგონია, ვოვას ზედიზედ ოთხი თამაში თავისი ნებით გამოეტოვებინა. ეს ან ტრავმის გამო ხდება, ანაც მწვრთნელ ბაირონ სკოტის გადაწყვეტილებით. თუ სტეფანიას ტრავმა აწუხებს, ნაკლებსავარაუდოა რაიმე სერიოზული იყოს, რადგან იგი ტრავმირებულთა სიაში არ შეუყვანიათ და თამაშებს სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ხვდება. ასეა თუ ისე, რაც „ნიუ ჯერსიში“ გადმობარგდა, ჩვენებურს ზედიზედ ამდენი თამაში არ გამოუტოვებია.

სტეფანიას „ნიუ ჯერსი“ კი სულ უფრო და უფრო ქვემოთ მიექანება და გზად ისეთი ვერავინ შეხვდა, მოსაჭიდი ხავსის როლი ეთამაშა. არა, ასეთი გუნდები კი ჩანან — „გოლდენ სტეიტი“, „ვანკუვერი“, ან თუნდაც „დეტროიტი“ იყოს — რომელთა წაქცევა დიდ ჭაპანწყვეტას არ საჭიროებს, მაგრამ „ნიუ ჯერსიმ“ ესეც ვერ შეძლო. ხუთმატჩა გასვლითი სერიის შემდეგ მშობლიურ სარბიელს „კონტინენტალ ეარლაინზ არენას“ დაბრუნებულ „ნეთსს“ შინ „დეტროიტთან“ თამაშმა მოუწია. „ბადეები“ იმედოვნებდნენ, მასთან მაინც მოვახერხებთ მოგებასო, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს და სტუმრად ხუთ მარცხს ერთი შინაურიც წაუმატეს. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ გამიჭირდა ამ თამაშის ყურება, უცებ მოედანზე შესვლა და თამაში მომინდაო — იტყვის ნამატჩევს „ნეთსის“ თავკაცი ბაირონ სკოტი, რომელიც თავის დროზე „ლეიკერში“ თვით მეჯიქ ჯონსონის და ქარიმ აბდულ-ჯაბარის მხარდამხარ ირჯებოდა. როგორც მოთამაშე, სკოტი ურიგო ნამდვილად არ გახლდათ, აი, მის სამწვრთნელო შესაძლებლობებზე კი რა მოგახსენოთ.

არადა, ამ თამაშის დასაწყისში სკოტს სანერვიულო არაფერი ჰქონდა. მისი შეგირდები ყოჩაღად გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით ახალბედები — კენიონ მარტინი და ლუციუს ჰარისი, რომელთა წვალებამაც პირველი მეოთხედის ბოლოს ათქულიანი უპირატესობა მოიტანა — 30:20. აი, მერე კი ერთბაშად ყველა მასპინძელმა აურია და მეტოქემაც არ დააყოვნა, სხვაობის შემცირებას საფუძვლიანად მიჰყო ხელი. 2000 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა მარტინმა, რომელმაც 1995 წლის დრაფტის ასევე პირველ ნომერ ჯო სმიტს პირველ მეოთხედში სისხლი გაუშრო, შემცვლელ ჯერომ ვილიამსთან ვერას გახდა და ვინც იცის, იქნებ საკუთარ თავზეც გაგულისებულმა მსაჯებთან კამათს და მათი ყოველი სასტვენის გაკრიტიკებას მიჰყო ხელი. ეს კი ნბაში მაიკლ ჯორდანს არ ეპატიებოდა და მარტინმაც ორი ტექნიკურსა და მოედნიდან გაძევებას გამოჰკრა ხელი. თითქოს ამას ელოდნენო, სტუმრებმა მძლავრად შეუტიეს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშისგან დალალატებულ და სულით დაცემულ მასპინძლებს და მეორე მეოთხედის ბოლო რამდენიმე წუთი 22:8 მოიგეს. ტაიმების გასაყარზე „ნიუ ჯერსი“ შვიდი ქულით (49:56) ჩამორჩა მასპინძლებს და ახლა მას მოუხდა დეფიციტის აღმოსაფხვრელად ბრძოლა. მესამე მეოთხედში როგორც იქნა, ხელი გამოიღო „ბადეთა“ ლიდერმა, სტივენ მარბერიმ და პირველ ნახევარში უმოქმედოდ მყოფმა ბურთების ჩაყრა იწყო, თუმცა მასპინძელთ მეტოქის წამოწევა უფრო გაუჭირდათ, ვიდრე უწინ უპირატესობის დათმობა. სტუმართა სუპერვარსკვლავი ჯერი სტეკჰაუზი სანაქებოდ ირჯებოდა, ქულებსაც აგროვებდა და არც თანამებრძოლთ აკლებდა პასებს. „ნეთსმა“ დიდი წვალებით, მაგრამ მაინც მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. მასპინძლებმა დაცვაში მახეები დაუგეს ლამის მარტოდ მებრძოლ სტეკჰაუზს და მისი ბადეში გაბმა იწყეს. დაღლილი ბომბარდირი სულ უფრო და უფრო ხშირად კარგავდა ბურთს (ჯამში თამაშში ათჯერ ააწაპნეს ბურთი) და ამან მასპინძელთა წისქვილზე დაასხა წყალი. ბოლო მეოთხედის შუაწელში „ნეთსმა“ 84:84 გაათანაბრა, მეტს კი ველარ გასწვდა. მოედანზე ერთი წუთის წინ კვლავ გამოჩენილმა ჯერომ ვილიამსმა ორი მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო, სტეკჰაუზიც წაეხმარა, „დეტროიტი“ 91:84 დაწინაურდა და აღარც დაუთმია უპირატესობა.

როგორც ზემოთ ითქვა, „ნიუ ჯერსიმ“ ზედიზედ მეექვსედ ჭამა სირცხვილი და მომავალ გამარჯვებათა იმედად დარჩა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ნეთსი“ მომდევნო შეხვედრაში დღეს თანაქალაქელ ბობოლა „ნიუ იორკს“ დაუპირისპირდება, საეჭვოა, ზედიზედ ექვს წაგებაზე გაჩერდეს.

**ატლანტა 102:97 ტორონტო**

**ატლანტა: მუტომბო (21 ქულა, 29 მოხსნა, 6 დაფარება), ტერი (16), ჰენდერსონი (16)**
**ტორონტო: პეტერსონი (20), კარი (18), ვილიამსი (17)**

**ინდიანა 96:102 ბოსტონი**

(ძირითადი დრო 87:87)

**ინდიანა: როუზი (26), მილერი (19 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ბესტი (18)**
**ბოსტონი: უოლკერი (22 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), პირსი (18 ქულა, 10 მოხსნა)**

**მილუოკი 116:111 დენვერი**

**მილუოკი: ალენი (32 ქულა, 11 პასი), რობინსონი (25), კასელი (23)**
**დენვერი: მაკდაიესი (26 ქულა, 17 მოხსნა), ვან ექსელი (19)**

**ვაშინგტონი 98:100 ორლანდო**

**ვაშინგტონი: ბუთი (18 ქულა, 9 მოხსნა, 6 დაფარება), ჰოვარდი (17)**
**ორლანდო: მაკგრეიდი (25), არმსტრონგი (16)**

**სან ანტონიო 92:70 კლიპერსი**

**სან ანტონიო: დანკანი (22 ქულა, 16 მოხსნა), რობინსონი (15 ქულა, 10 მოხსნა)**
**კლიპერსი: ოლოვოკანდი (14 ქულა, 7 დაფარება)**

**ფინიქსი 101:92 ვანკუვერი**

**ფინიქსი: რობინსონი (25), დელკი (18), კიდი (17 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)**
**ვანკუვერი: ბიბი (26), აბდურ-რაჰიმი (17)**

ეს ბოლო ათი წელია, საკალათბურთო მსოფლიოში ყველას კარგად მოეხსენება, 218-სანტიმეტრიანი ზაირელი ცენტრი დიკემბე მუტომბო როგორი მეფარეცაა. მოხსნა და დაფარება განა მისებრ ბევრს ეხერხება? ახლა, მისი კარიერის დაისზე აღმოჩნდა, რომ მან ბურთის კალათში ჩაგდებაც არანაკლებ იცის. მისი გუნდისთვის ეს სასიამოვნო აღმოჩენა 31 იანვარს „ტორონტოსთან“ შინაურ მატჩში გაკეთდა. მუტომბო აქ მეტოქის ფართან არანაკლებ შედეგიანად გაისარჯა, ვიდრე საკუთართან და ამ სეზონში მატჩში საშუალოდ რვა ქულის ჩამგდებმა 21 ქულას მოუყარა თავი. ამასთან მუტომბომ არც თავისი ყოველდღიური საქმე დაივიწყა, სეზონში უმეტესი 29 მოხსნა გააკეთა და მას ექვსი დაფარებაც დაურთო. ერთი სიტყვით, იგი ფარის სრული ბატონ-პატრონი შეიქნა, რამაც ჯორჯიელებს გვარიანად გაუიოლა საქმე. დამფრთხალი „დინოზავრები“ მატჩის ბოლოს ველარც ბედავდნენ მუტომბოს სამფლობელოში შეჭრას, რადგან ფეხმარდ უკანახაზელების გარღვევა, როგორც წესი, დაფარებით მთავრდებოდა, დრიბლინგის დიდოსტატი ვინს კარტერი კი ამ დროს წინა დღით „ფილადელფიასთან“ ნატკენ მუხლს ატლანტიდან რამდენიმე ათასი კილომეტრის მოშორებით, ტორონტოში ექიმებს ასინჯებდა. მუტომბო მიმდინარე სეზონში ასე მართლაც არასდროს გარჯილა. არაა გამორიცხული, მოხუცი აფრიკელის აღმაფრენის საბაბი ნბა-ს კომისრის, დევიდ შტერნის გადაწყვეტილება ყოფილიყო — ასოციაციის მამამ ხომ იგი მომავალი „ოლ სტარისთვის“ აღმოსავლეთის სასტარტო ხუთეულში ხალხის მიერ დასახელებულ, მაგრამ ავადმყოფ ალონზო მურნინგის ნაცვლად ვარსკვლავთა მარაქაში გარია.

ოდესღაც ზემძლავრმა, აწ კი ქვესაშუალო „ბოსტონ სელტიქსმა“ კიდევ ერთხელ დაადასტურა „ინდიანა პეისერზის“ ოქროს ხანის დასასრული. „კელტები“ ექსჩემპიონს სტუმრობდნენ და ოვერტაიმში დასცეს ახლა დაახლოებით მათ დონემდე ჩამოქვეითებული „ინდიანა“. არადა, ოვერტაიმები, ბოლო წამზე ჩაგდებული სამიანები და ამგვარი რამეები ინდიანელი სნაიპერის, რეჯი მილერის სტიქიაა (უფრო სწორედ იყო). არა, გვარიანად მობერებულ მილერს ურიგოდ არ უთამაშია, თუმცა თავისი ხელობიდან, ზუსტი და მომაკვდინებელი, შორეული თუ საშუალო სროლებიდან, გადაუხვია და „ბოსტონთან“ მუშაკაცად მოევლინა მაყურებლებს. კიდეც მიითვალა 10 მოხსნა, 7 პასი და ორი ჩაჭრა, თუმცა ამან „ინდიანა“ მაინც ვერ ახეირა და ზედიზედ მეოთხე მარცხსაც ვერ აარიდა.

გუნდის დონისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, „ვაშინგტონის“ წარმოუდგენლად გრძელ, ზედიზედ ხუთმატჩა გამარჯვებების სერიასაც მოეღო ბოლო. დედაქალაქელები „ორლანდო მეჯიქს“ შინ ველარ მოერივნენ, თუმცა ამის მშვენიერი შანსი ჰქონდათ. „ჯადოქრები“ ბოლო მეოთხედის დასაწყისში ათი ქულით უგებდნენ „ჯადოებს“, მაგრამ მერე სტუმრებმა მასპინძლები მოაჯადოვეს და ბოლო წუთში არმსტრონგის ფხიანი თამაშის შემდეგ შინ გამარჯვებით დაბრუნდნენ.

ამ სეზონში წინას ტრიუმფატორ „ლეიკერსს“ გამართულად რომ ვერ მისდის საქმე, ამას ბავშვიც დაინახავს. ჩემპიონის ძლევა წლეულს განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს. ლოსანჯელესელებმა, რომელთაც 15 მარცხი მთლიანად გასულ წელს იგემეს, ამდენს ახლა უკვე შუა სეზონში მოუყარეს თავი. დაძაბუნებულ ჩემპიონს თითქოს ესლა აკლდაო, შაკილ ონილმა ტერფი იტკინა და აგერ ზედიზედ მესამედ თამაშზე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი გამოცხადდა. „მინესოტასთან“ „ლეიკერსმა“ კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა. თავდამსხმელ ჰორას გრანტს სურდო შეეყარა და გუნდი ფაქტობრივად მომხსნელის გარეშე დატოვა. ჰოდა, რაღა გასაკვირია, თუ გამარჯვება „მინესოტას“ დარჩა, რადგან ეულად დარჩენილი კობი ბრაიანტი ამ გამართული გუნდის მარტო მომრევი არ არის — ეს „მინესოტასთვის“ ზედიზედ მერვე გამარჯვება გახლდათ.

**ირაკლი ფირაშვილი**



AP ფოტოქრონიკა

ფინიქსი — ვანკუვერი. დანიელ სანტიაგო ვანკუვერელი ბრაიანტ რივზის შეჩერებას ცდილობს

**მინესოტა 96:83 ლეიკერსი**

**მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 10 მოხსნა), ბრენდონი (19), შჩერბიაკი (19)**
**ლეიკერსი: ბრაიანტი (24)**

ALL STAR GAME

ვაშინგტონი, 9–11 თებერვალი

# მთავარია, შტერნს ახსოვს

„მაიამი ჰითის“ ცენტრ ალონზო მურნინგს და „ორლანდო მეჯიქის“ ფრთა გრანტ ჰილს მთელი სეზონი გაუცდათ ავადმყოფობისა თუ ტრავმის გამო, მაგრამ ხალხს ისინი იმდენად უყვართ და აფასებენ, რომ „ოლ სტარის“ სასტარტო ხუთეულში აირჩიეს. გულშემატკივართა პატივისცემა, ცხადია, დიდებული რამაა, მაგრამ ქომაგთა სიყვარული მურნინგს თირკმლის ავადმყოფობისგან ვერ განკურნავს და არც ჰილის ნაოპერაციევი კოჭისთვისაა უებარი წამალი. ამდენად, ბუნებრივია, ეს ორი ვარსკვლავი მონაწილეობას ვერ მიიღებს 11 თებერვალს ვაშინგტონში გასამართ კალათბურთის ზეიმში.

31 დეკემბერს ამ ორი კალათბურთელის შემცვლელები გამოვლინდნენ. ნბას კომისარმა დევიდ შტერნმა მურნინგის შემცვლელად „ატლანტა ჰოქსის“ ზაირელი ცენტრი დიკემბე მუტომბო დაასახელა, ჰილის ნაცვლად კი ნიუიორკელ ლატრელ სპრიუელს უხმო.

სპრიუელიცა და მუტომბოც „ოლ სტარის“ ვეტერანები არიან. პირველს ყველა ვარსკვლავთა შოუში მანამდე სამჯერ მიუღია მონაწილეობა, მეორეს კი ექვსჯერ. სპრიუელი ნბა-ში 1992 წლიდანაა და ასეთი ნიჭის პატრონი სამ „ოლ სტარს“ არ დასჯერდებოდა, რომ არა ერთი ინციდენტი. მან 1997 წელს „გოლდენ სტეიტში“ თამაშისას საკუთარი მწვრთნელი ფიჯეი კარლესიმო გალახა და თავს ნბას ხელმძღვანელთა თუ სხვათა რისხვა დაიტეხა. ბოლოს სწორედ 1997 წელს ითამაშა „ოლ სტარში“. მას შემდეგ გულშემატკივრები თუ მწვრთნელები გამოკითხვაში მას გვერდს უვლიდნენ. ახლა კომისარ შტერნის გადაწყვეტილება იმის მაუწყებელია, რომ ლიგის მამებს მასზე გული მოუბრუნდათ. რაც შეეხება მუტომბოს, იგი „ოლ სტარის“ თითქმის მუდმივი წევრია და, მართალია, წლეულს მწვრთნელებმა და ქომაგებმა დაივიწყეს, მაგრამ შტერნს ხომ ახსოვს. 218-სანტიმეტრიანი მუტომბო კარგად დაეხმარება უკანახაზელებით გადაჭედილ აღმოსავლეთის ნაკრებს, გიგანტებით სავსე დასავლეთთან ჭიდილში.



დიკემბე მუტომბო



ლატრელ სპრიუელი

**ივანე ქობიაშვილი**

# პროკალათი

**თურქეთის** ნაკრების წევრი და ამ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი მირსად თურქჯანი პარიზის „რასინგში" გადავიდა. 24 წლის ფორვარდი ექვს თვეს გაატარებს ფრანგულ კლუბში. ეს სეზონი თურქჯანმა სტამბოლის „ეფესში" დაიწყო, მაგრამ დეკემბერში რეჟიმი დაარღვია და გუნდმა იგი დაითხოვა.

თურქჯანი პირველი თურქი კალათბურთელია, რომელმაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ითამაშა. იგი 1998 წლის დრაფტში აირჩია „ჰიუსტონ როკიტსმა", მაგრამ მაშინვე გაუცვალა „ნიუ იორკ ნიქსს". 1999 და 2000 წლებში თურქჯანმა 17 მატჩი ითამაშა პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში, ჯერ „ნიუ იორკის", შემდეგ კი „მილუოკი ბაქსის" შემადგენლობაში. შარშან მირსადი ევროპაში დაბრუნდა, მშობლიურ „ეფესს" მიაშურა და სუპროლიგის მატჩებში საშუალოდ 9,3 ქულას და 6,2 მოხსნას აკეთებდა.

* * *

**ხორვატი** უკანახაზელი დამირ მილაჩიჩი სლოვენიაში, პოლზელას „სავინსკიში" გადავიდა. 25 წლის კალათბურთელს ადრე „ზაგრებში" და ლიუბლიანის „ოლიმპიაში" უთამაშია. ეს სეზონი ისრაელში, „ჰადერაში" დაიწყო, მაგრამ კლუბმა ფინანსური პრობლემების გამო ყველა უცხოელი დაითხოვა.

სლოვენიის თასის 1996 წლის მფლობელი „სავინსკი" ქვეყნის ჩემპიონატში ამჟამად მე-11 ადგილზეა. დეკემბერში გუნდმა გაათავისუფლა მწვრთნელი მიჰაილო პოჩეკი და მის ადგილზე პრედრაგ მილოვიჩი დანიშნა. მილაჩიჩის მოწვევაც სწორედ მილოვიჩის იდეა იყო.

* * *

**ისრაელის** კალათბურთის ლეგენდა, ქვეყნის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე დორონ ჯამჩი კალათბურთს უბრუნდება. ამ დღეებში იგი თელ ავივის „მაკაბის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორად დაინიშნა. 40 წლის კალათბურთელი შარშან ზაფხულში წავიდა დიდი სპორტიდან.

* * *

**სლოვენიის** მრავალგზის ჩემპიონმა, ლიუბლიანის „ოლიმპიამ" სატრანსფერო სეზონის დახურვამდე ერთი დღით ადრე ამერიკელი უკანახაზელი დევიდ ევანსი შეიძინა. „ოლიმპია" ამ ამპლუის მოთამაშე ერთი თვის წინ დასჭირდა, მაშინ, როცა მლადენ ერიავეცმა გუნდი მიატოვა. თავდაპირველად ლიუბლიანელები ამერიკელი ჯელანი გარდნერის მოწვევას ფიქრობდნენ, შემდეგ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ყოფილ მოთამაშე ჯონ კელესტენდს დაადგეს თვალი. საბოლოოდ „ოლიმპიას" მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა ევანსის აყვანა გადაწყვიტა.

28 წლის ევანსი ხუთი წელიწადის განმავლობაში ევროპაში თამაშობს. 1998-99 წლების სეზონში იგი რუსეთის „სამარაში" იყო და ევროლიგის მატჩში „ოლიმპიას" წინაალმდეგაც იასპარეზა, თუმცა თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინა. ევანსი რუსეთიდან საფრანგეთში, „მონპელიეში" გადაბარგდა, ხოლო ამ სეზონის დასაწყისს თურქეთში, ქონიის „ქომბასანში" შეხვდა. შემდეგ „ქომბასანს" ფინანსური პრობლემები მოეძალა, ევანსმაც სასწრაფოდ დაარღვია მასთან კონტრაქტი და „ოლიმპიას" მიაშურა.

* * *

**ევროლიგაში** რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და პლეი-ოფი დაიწყო. ამ დღეებში ლიგის მმართველობამ დაასახელა რეგულარული სეზონის სამი საუკეთესო ხუთეული.

*პირველი ხუთეული: ლუის ბალოკი (მიულერი, იტალია), ალფონსო ფორდი (პერისტერი, საბერძნეთი), დერიკ ჰამილტონი (პეტერბურგი, რუსეთი), გრეგორ ფუჩკა (ფორტიტუდო, იტალია), დეიან ტომაშევიჩი (ბუდუჩნოსტი, იუგოსლავია)*

*მეორე ხუთეული: ჯემეილ რიჩი (ლუგანო, შვეიცარია), პანაიოტის ლიადელისი (პაოკ, საბერძნეთი), პაუ გასოლი (ბარსელონა, ესპანეთი), იანის იანულისი (პაოკ, საბერძნეთი), რაშარდ გრიფიტი (კინდერი, იტალია)*

*მესამე ხუთეული: ელმერ ბენეტი (ტაუ, ესპანეთი), სანი ბეჩიროვიჩი (ოლიმპია, სლოვენია), მილენკო ტოპიჩი (ბუდუჩნოსტი, იუგოსლავია), დინო რაჯა (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), კებუ სტიუარტი (ჰაპოელი, ისრაელი)*



რაშარდ გრიფიტს მესამე ხუთეული აკმარეს

## კორაჩის თასი

მერვედფინალი. პირველი მატჩები. 31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაკაბი (ისრაელი) | 106:80 | ვიოლა (იტალია) |
| ტრიესტი (იტალია) | 85:74 | ნიარ ისტი (საბერძნეთი) |
| დიჟონი (საფრანგეთი) | 68:64 | უნიკახა (ესპანეთი) |
| ატლონი (ბელგია) | 83:83 | კასერესი (ესპანეთი) |
| ლოკომოტივი (რუსეთი) | 78:71 | პროკომი (პოლონეთი) |
| ლევსკი (ბულგარეთი) | 87:86 | ფენერბაჰჩე (თურქეთი) |
| რიკო (ჰოლანდია) | 89:76 | ავტოდორი (რუსეთი) |
| ჰემოფარმი (იუგოსლავია) | 73:60 | დარუშაფაკა (თურქეთი) |

*საპასუხო მატჩები გაიმართება 7 თებერვალს*

## საპორტას თასი

მერვედფინალი. პირველი მატჩები. 31 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| ჰაპოელი (ისრაელი) | 83:88 | უნიქსი (რუსეთი) |

*საპასუხო მატჩები გაიმართება 6 თებერვალს*



# გორანს მარცხენა უჭირს

**მილანის (იტალია) ღია პირველობა. დარბაზი. ხალიჩა. საპრიზო 400 ათასი $**

იყო დრო, გორან ივანიშევიჩის ცაცია მოწოდება შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ერთგულ ქომაგთა მთელი არმიაც ჰყავდა და გონებამახვილურ პრესკონფერენციებზე ჟურნალისტთა ტევა არ იყო. ეს ყველაფერი იმ ჟამს ეხება, როდესაც 90-იანების შუაში ხორვატი მსოფლიოს მეორე ჩოგანი და უიმბლდონის სამგზის ფინალისტი გახლდათ.

ახლა, 21-ე საუკუნის დასაწყისში, გორანი კლასიფიკაციის პირველი ასეულიდანაც კი გავარდა და ხეირიან ტურნირებზე „უაილდ ქარდი" თუ არ გამოუყვეს, დამამცირებელი კვალიფიკაციის გავლა უხდება (რასაც იშვიათად თუ ახერხებს). ბევრი კოლეგა, მათ შორის სედრიკ პიოლინი და ევგენი კაფელნიკოვი, ხორვატს სპორტიდან წასვლას ურჩევს, თავს მასხრად რად აგდებინებ ხალხსო, თუმცა ეს უკანასკნელი ჯიქურ არ აპირებს დანებებას.

„ჩემი მიზანია, საუკეთესოთა 50-ეულში დავბრუნდე: შარშან 16 ტურნირის პირველივე წრეში მარცხმა თავდაჯერება ლამის საბოლოოდ დამიკარგა, მაგრამ ამჟამად ჩოგბურთის თამაში ისევ მანიჭებს სიამოვნებას. მინდა, დავამტკიცო, რომ ჩემი ჩამოწერა ცოტა ნაადრევია" — ამბობს თავად ივანიშევიჩი.

გასულ კვირაში ხორვატმა გერმანიაში ჩოგბურთის მეორე ლიგაში, ჩელენჯერზე მოსინჯა ძალები, ოთხი მატჩი მოიგო და მილანის ტურნირს (რომელიც რამდენიმე წელს მარსელში ტარდებოდა) გამოკეთებული გუნებით ესტუმრა. არადა, პირველ წრეში მას მეტად ძლიერი მეტოქე, მეოთხედ განთესილი გერმანელი ნიკოლას კიფერი ჰყავდა.



გორან ივანიშევიჩმა ნიკოლას კიფერის ძლევით გაიხარა

AP

კიფერმა მხცოვანი გორანი პირველ სეტში იოლად დაჯაბნა, მეორე ხელის პირველივე გეიმში მის მოწოდებაზე სამმაგი ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ მეტოქის წინაალმდეგობის საბოლოოდ გატეხვის შესანიშნავი შანსი ხელიდან გაუშვა. მაყურებლების მხურვალე მხარდაჭერით გამხნევებულ ხორვატს თავის მხრივ მეორე სუნთქვა გაეხსნა, ძველი დრო გაიხსენა და თავისი ტყვიასავით მოწოდებით პირველ-მეორე კვადრატის ხაზებზე დავლური დაუარა.

ივანიშევიჩმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მესამე სეტში 12 ეისი მოაწოდა და გერმანელს გუდანაბადიც აუკვრევინა — 2:6, 6:2, 6:3. „ასეთი ძლიერი მეტოქის დამარცხება მეტად სასიამოვნოა — იმდენი ხანი გავიდა ბოლო წარმატების შემდეგ. პირველი სეტის წაგებამაც კი არ დამაკარგვინა გამარჯვების რწმენა. კიფერი არც ისე კარგად თამაშობდა".

ხორვატს ხასიათი ოდნავ მხოლოდ მაშინ წაუხდა, როცა ქრონიკულად მტკივან მხარზე ჰკითხეს. „იმ კვირაში ბერლინში სპეციალისტი უნდა ვნახო და გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებ. ვიცი, ოპერაცია მჭირდება, სულ ვდებ, ვდებ, მაგრამ ამას მაინც ვერსად გავექცევი, წლეულს უნდა გავიკეთო". საქმე ის არის, რომ ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელებას დაახლოებით ექვსი თვე დასჭირდება, ამასობაში გორანი 30 წელსაც გადააბიჯებს და ახალგაზრდა კოლეგებთან გამკლავება კიდევ უფრო გაუძნელდება.

მილანში პირველად განთესილ რუს მარატ საფინს პირველ წრეში მეტად უხერხული მეტოქე ერგო — გერმანელი დევიდ პრინოშილი. პრინოშილმა შარშან მსოფლიოს პირველი ჩოგანი მშობლიურ „კრემლის თასზე" თავისიანების თვალწინ გაამწარა და ახლაც არ დანებებულა იოლად.

მეორე ხელში გერმანელს ოთხი სეტპოინტი ჰქონდა და სულ მცირედი აკლდა ანგარიშის გათანაბრებას, როცა ზორბა მარატმა ეისი ეისს მიაყოლა, გაბრუებულ მეტოქეს იქვე მოწოდებაც აართვა და მომდევნო წრეში გავიდა — 6:4, 7:5. „იქნებ ამ წუთისთვის საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ მთავარია, საჭირო ქულები მოიგო და როგორმე წინ წაიწიო, ზოგჯერ ეს იოლად გამოგივა, ზოგჯერ, როგორც ვთქვათ, დღეს — ძნელად. მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი, ვთვლი, რომ ჩემი სამუშაო შევასრულე".

საფინმა მილანში კორტის გარდა რამდენიმე რესტორანი და დისკოთეკა მოინახულა, „მილანის" ვარსკვლავის, ანდრეი შევჩენკოს ავტოგრაფიანი მაისურაც ჩაიგდო ხელში და, ბუნებრივია, კმაყოფილიც დარჩა: „მოხარული ვარ, რომ აქ ვიმყოფები, ქვეყანაში, რომელიც ისტორიის, მოდის, საჭმელებისა და სწრაფი მანქანების გამო მიყვარს."

**პირველი წრე: ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 4:6, 6:4, 6:2; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (3, სლოვაკეთი) 3:6, 7:5, 6:3; ანდრეი მედვედევი (უკრაინა)— ანდრეი პაველი (5, რუმინეთი) 7:6 (8:6), 2:6, 7:6 (7:5); მაიკლ ჩენგი (აშშ) — სხენგ შალკენი (6, ჰოლანდია) 6:1, 6:7 (3:7), 6:2; როჯერ ფედერერი (7, შვეიცარია) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:3, 6:4; მარკ როსე (8, შვეიცარია) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 4:6, 7:6 (14:12), 6:4; სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 3:6, 7:6(7:3), 6:4; გრეგ რუზედსკი (ინგლისი) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:1, 7:5; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 5:7, 7:6 (7:3), 6:4.**

**ტოკიო (იაპონია). PAN PACIFIC OPEN. დარბაზი. ხალიჩა. საპრიზო 1,2 მილიონი $**

ტოკიოს პრესტიჟულ „პენ პასიფიკ ოუფენზე" ასპარეზობა მესამედ განთესილი ანა კურნიკოვასთვის კინალამ სამარცხვინო მარცხით დასრულდა. მსოფლიოს 155-ე ჩოგან საორი ობატას, რომლის გვარიც მშობლიურ იაპონიაშიც ცოტას თუ გაუგია, სულ მცირე დააკლდა, რომ მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ქალი სპორტსმენი გაემწარებინა.

19 წლის რუსს ამომავალი მზის ქვეყნის წვრილთვალა წარმომადგენელმა ბლომად პრობლემები შეუქმნა. თავად მხოლოდ გადაგდებაზე, საოცრად ნელა თამაშობდა, სამაგიეროდ, შეცდომებს საერთოდ არ უშვებდა და დაუღალავად დარბოდა. კურნიკოვა იძულებული იყო, მთელი ინიციატივა საკუთარ თავზე აეღო და ხშირად გაერისკა, თორემ ტურნირის ცენტრალურ კორტზე დილამდე დარჩენის პერსპექტივა ელოდა.

მეტოქის დამაძინებელმა ტემპმა ჩოგბურთის სექსსიმბოლოს კარგ ხნით დაახვია თავბრუ. ობატა გადამწყვეტ სეტში 4:3-ს იგებდა, მოახლოებული გამარჯვების მნიშვნელობამ ხელ-ფეხი რომ შეუბორკა და რუსს თავის გადარჩენაში დაეხმარა 7:6 (10:8), 1:6, 6:4.

„ასეთი არასასიამოვნო სტილის მოთამაშეს, მგონი, არასოდეს შევხვედრივარ. კორტზე ყველაფერი მე უნდა მეკეთებინა. მესამე ხელში 3:4-ზე პანიკაში არ ჩავვარდნილვარ, ვიცოდი, რომ მის სუსტ მოწოდებას ყოველთვის მოვუხერხებდი რამეს — განაცხადა კურნიკოვამ, რომელსაც ხუთწლიანი კარიერისა და სუპერვარსკვლავის სტატუსის მიუხედავად, ერთეულებში ერთი ტიტულიც არ გააჩნია — ხალხს ავიწყდება, რომ მე 19 წლის ვარ. ჯენიფერ კაპრიატიმ თავისი პირველი დიდი სლემის ტურნირი 24 წლისამ მოიგო". აქ რუსს ის ავიწყდება, რომ კაპრიატი შორეულ 1992-ში ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ, დიდი სლემისა და უბრალო ტიტულს შორის კი უზარმაზარი განსხვავებაა.

წინა წლებისგან განსხვავებით, წლეულს ტოკიოში მასპინძლები ყოჩაღობენ. თუ ობატამ კურნიკოვას მხოლოდ შიში აჭამა, მისმა გამოცდილმა თანამემამულეებმა — აი სუგიამამ და შინობუ ასაგოემ მეორე წრეში ფავორიტები დაიფრინეს. სუგიამამ შარშანდელ ფინალისტ სანდრინ ტესტიუს (5) აჯობა 6:4, 6:4, ასაგოემ კი ორსაათიან ბრძოლაში მსოფლიოს მეათე ჩოგანი, სამხრეთაფრიკელი ამანდა კუტცერი (4) გაამწარა 6:4, 5:7, 7:6 (7:5).

„კუტცერის შიში მაშინაც არ გამივლია გულში, მეორე სეტი რომ წავაგე. ის იშვიათი შანსები, რაც მეძლეოდა, ხელიდან თითქმის არ გამიშვია" — ეს კლასიფიკაციით 77-ე ასაგოეს სიტყვებია.

**მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 6:3; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — მეგან შონესი (აშშ) 6:3, 6:2; ივა მაიოლი (ხორვატია) — ლაიზა რეიმონდი (7, აშშ) 6:7 (3:7), 6:2, 7:6 (7:1); ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (6, რუსეთი) 6:2, 4:6, 7:6 (7:2).**

**ავთანდილ სვანიძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-20 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 თებერვალი** | | | |
| 23.15 | 001 | მიუნხენ 1860-დორტმუნდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 18.30 | 002 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 18.30 | 003 | კიოლნი-ფრაიბურგი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.30 | 004 | კოტბუსი-შალკე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 18.30 | 005 | ბოხუმი-ჰერტა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 18.30 | 006 | ვერდერი-ჰამბურგი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.15 | 007 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 20.30 | 008 | უნტერჰახინგი-ლევერკუზენი | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 20.30 | 009 | ჰანზა-აინტრახტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-20 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 თებერვალი** | | | |
| 22.00 | 010 | ნიურნბერგი-ვალდჰოფი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 011 | ნიურნბერგი-ვალდჰოფი 0:1 | 2,0 | 3,2, | 2,3 |
| 22.00 | 012 | ალენი-ჰანოვერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 013 | ულმი-მიონხენგლადბახი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 18.00 | 014 | მაინცი-დუისბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 015 | ოსნაბრიუკი-ფიურტი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 18.00 | 016 | ობერჰაუზენი-არმინია | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 017 | ალემანია-კიკერსი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 18.00 | 018 | ზაარბრიუკენი-ქემნიცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 019 | ზაარბრიუკენი-ქემნიცი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **5 თებერვალი** | | | |
| 23.15 | 020 | ზანქტ პაული-როიტლინგენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 19.00 | 021 | ბრედფორდი-ასტონ ვილა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 022 | ქოვენთრი-არსენალი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 19.00 | 023 | დერბი-სანდერლენდი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 024 | იფსვიჩი-ლიდსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 025 | ლესტერი-ჩელსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 026 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 027 | ლივერპული-ვესტ ჰემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 028 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 029 | მანჩესტერი-ევერტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 030 | მიდლსბრო-სიტი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 031 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 20.00 | 032 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1,45 | 3,4 | 6,5 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 19.00 | 033 | ბირმინგემი-ნორვიჩი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 034 | ბირმინგემი-ნორვიჩი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 035 | ბლექბერნი-ბარნსლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 036 | ბლექბერნი-ბარნსლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 037 | ქრიუ-ბარნლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 038 | კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 039 | გრიმსბი-უიმბლდონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | ჰადერსფილდი-ნოტინგემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 041 | პორტსმუთი-პრესტონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 042 | ქუინზ პარკი-ბოლტონი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 19.00 | 043 | უენსდი-უოტფორდი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 044 | სტოკპორტი-ტრანმერი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 045 | ვულვერჰემპტონი-ჯილინგემი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 17.00 | 046 | ფულემი-შეფილდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 047 | ფულემი-შეფილდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 048 | უიგანი-უოლსოლი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 16.00 | 049 | ბრისტოლი-სუონსი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 050 | ბრისტოლი-სუონსი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 051 | ბორნმუთი-კოლჩესტერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 052 | ბერი-პიტერბრო | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 053 | კემბრიჯი-ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 054 | ლუტონი-როტერჰემი | 3,3 | 3,2 | 1,9 |
| 19.00 | 055 | მილუოლი-როვერსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 056 | მილუოლი-როვერსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 057 | ნოტსი-ოლდემი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.00 | 058 | რედინგი-პორტ ვეილი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 059 | რედინგი-პორტ ვეილი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 060 | სტოკი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 061 | უიკომბი-ბრენტფორდი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 17.00 | 062 | რექსემი-სუინდონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 063 | კარდიფი-როჩდეილი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.45 | 064 | მენსფილდი-ექსეტერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 19.00 | 065 | ბარნეტი-ჩესტერფილდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 19.00 | 066 | ბლეკპული-სკანთორპი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 067 | კარლაილი-კიდერმინსტერი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 068 | ჩელტენემი-ჰალი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 069 | ლეიტონი-ჰალიფაქსი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 070 | მაკლსფილდი-პლიმუთი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 19.00 | 071 | შრიუსბერი-ჰართლპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 072 | საუთენდი-ლინკოლნი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 073 | ტორკი-ბრაიტონი | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 19.00 | 074 | იორკი-დარლინგტონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 25-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 20.15 | 075 | ნანტი-პსჟ | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 23.00 | 076 | მარსელი-ოსერი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 077 | ტულუზი-ბორდო | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 23.00 | 078 | გენგამი-ლიონი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 23.00 | 079 | მონაკო-მეცი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 080 | ტრუა-რენი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 081 | ბასტია-სედანი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 082 | სენტ ეტიენი-სტრასბური | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 083 | ლანსი-ლილი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 27-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 23.00 | 084 | გენიონი-აიაჩო | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 085 | სოშო-ანჟე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 086 | სოშო-ანჟე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.00 | 087 | ნიცა-ბოვუა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 23.00 | 088 | ლე ავრი-კაენი | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 23.00 | 089 | ნანსი-კანი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 090 | მონპელიე-შატორუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 091 | ლავალი-ლე მანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 092 | ვასკეალი-მარტიგი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 093 | კრეტეი-ნიმი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 20.30 | 094 | ლორიანი-ნიორი | 1,75 | 2,7 | 4,7 |

### იტალია. სერია A. მე-17 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 095 | პერუჯა-ვერონა | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 23.30 | 096 | ატალანტა-იუვენტუსი | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 097 | ბარი-ბრეშა | 1,9 | 2,8 | 4,4 |
| 18.00 | 098 | ბოლონია-ინტერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 099 | ლაციო-ლეჩე | 1,25 | 3,8 | 9,0 |
| 18.00 | 100 | მილანი-რეჯინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 101 | მილანი-რეჯინა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 102 | პარმა-რომა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 18.00 | 103 | ვიჩენცა-უდინეზე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.30 | 104 | ნაპოლი-ფიორენტინა | 2,9 | 2,9 | 2,3 |

### იტალია. სერია B. 21-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 105 | კოზენცა-პიაჩენცა | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 106 | კალიარი-ტრევიზო | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 18.00 | 107 | კიევო-ტერნანა | 1,7 | 2,8 | 5,0 |
| 18.00 | 108 | ჩიტადელა-ვენეცია | 3,1 | 2,6 | 2,4 |
| 18.00 | 109 | ემპოლი-პესკარა | 1,7 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 110 | მონცა-ანკონა | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 18.00 | 111 | რავენა-კროტონე | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 112 | სიენა-ჯენოა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 18.00 | 113 | ტორინო-პისტოიეზე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | | **5 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 114 | სამპდორია-სალერნიტანა | 1,5 | 3,1 | 7,0 |

### იტალია. სერია C1/a. 21-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 17.30 | 115 | ალბინოლეფე-არეცო | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 17.30 | 116 | ალესანდრია-სპალ | 2,9 | 2,5 | 2,6 |
| 17.30 | 117 | ბრეშელო-ალძანო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 17.30 | 118 | კარარეზე-ლივორნო | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 17.30 | 119 | ლეკო-ლუმეცანე | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 17.30 | 120 | ლუკეზე-კომო | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 17.30 | 121 | მოდენა-ჩეზენა | 1,65 | 2,8 | 5,6 |
| 17.30 | 122 | პიზა-სპეცია | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 17.30 | 123 | ვარეზე-რეჯანა | 2,0 | 2,5 | 4,0 |

### იტალია. სერია C1/b. 21-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 17.30 | 124 | ლოდიჯანი-სავოია | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 17.30 | 125 | ატლეტიკო-მესინა | 3,0 | 2,5 | 2,4 |
| 17.30 | 126 | დი სანგრო-ნოჩერინა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 127 | ჯულიანოვა-ტორესი | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 17.30 | 128 | ფერმანა-ბენევენტო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 129 | აკილა-კატანია | 1,85 | 2,6 | 4,4 |
| 17.30 | 130 | პეზარო-ასკოლი | 2,4 | 2,5 | 3,1 |
| 17.30 | 131 | ვიტერბეზე-ფ. ანდრია | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| | | **5 თებერვალი** | | | |
| 23.30 | 132 | აველინო-პალერმო | 2,4 | 2,5 | 3,1 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 21-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 24.00 | 133 | ბარსელონა-ბილბაო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 134 | ბარსელონა-ბილბაო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 20.00 | 135 | სოსიედადი-სელტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 136 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 137 | სარაგოსა-რაიო ვალეკანო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 138 | ვილიარეალი-ალავესი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 139 | ნუმანსია-ვალიადოლიდი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 140 | რეალი-მალაგა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 141 | რეალი-მალაგა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.00 | 142 | დეპორტივო-რასინგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 143 | დეპორტივო-რასინგი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 21.00 | 144 | ლას პალმასი-ოვიედო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 23.00 | 145 | მალიორკა-ვალენსია | 2,4 | 2,8 | 2,9 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 23-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 21.00 | 146 | უელვა-ატლეტიკო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 14.30 | 147 | ხეტაფე-უნივერსიდადი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 15.00 | 148 | კომპოსტელა-ფეროლი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 15.00 | 149 | ლეგანესი-ეიბარი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 20.00 | 150 | ელჩე-ბეტისი | 3,3 | 2,8 | 2,2 |
| 20.00 | 151 | ხაენი-ბადახოსი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 20.00 | 152 | ლევანტე-კორდობა | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 20.00 | 153 | სპორტინგი-ტენერიფე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 154 | ალბასეტე-ესტრემადურა | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 20.00 | 155 | ლეიდა-მურსია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 156 | სევილია-სალამანკა | 1,7 | 2,9 | 4,7 |

### პორტუგალია. I ლიგა. მე-20 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 თებერვალი** | | | |
| 01.00 | 157 | ბოავიშტა-ამადორა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 158 | ბოავიშტა-ამადორა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 22.00 | 159 | გიმარაეში-ალვერკა | 1,85 | 2,9 | 4,0 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 19.30 | 160 | ფარენსე-ჟილ ვისენტე | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 161 | ბენფიკა-ლეირია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 162 | ბენფიკა-ლეირია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 163 | ბელენენსეში-ბეირა მარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 164 | ბელენენსეში-ბეირა მარი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.00 | 165 | კამპომაიორენსე-ავეში | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 166 | მარიტიმუ-სალგეირუში | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 22.30 | 167 | სპორტინგი-ბრაგა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 168 | სპორტინგი-ბრაგა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 01.00 | 169 | ფერეირა-პორტუ | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### პორტუგალია. II ლიგა. მე-20 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 19.00 | 170 | ფელგეირაში-მარკუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 171 | ოვარენსე-ლამაში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 172 | ლეცა-აკადემიკა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 173 | იმორტალი-ფრეამუნდე | 1,9 | 3,1 | 3,3 |
| 19.00 | 174 | ვარზიმი-სეტუბალი | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 19.30 | 175 | რიუ ავე-ნავალი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 176 | შავეში-მაია | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 20.00 | 177 | ნასიონალი-პენაფიელი | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 178 | სანტა კლარა-ესპინიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 179 | სანტა კლარა-ესპინიუ 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-20 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 22.30 | 180 | ჰერენვენი-უტრეხტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 181 | როზენდალი-ვალვაიკი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.30 | 182 | ტვენტე-ტილბურგი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 17.30 | 183 | გრონინგენი-აიაქსი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 17.30 | 184 | ალკმაარი-ფეიენოორდი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 17.30 | 185 | ვიტესი-ნაიმეგენი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 17.30 | 186 | სიტარდი-გრააფსხაპი | 1,9 | 3,2 | 3,3 |
| 20.15 | 187 | სპარტა-პსვ | 5,0 | 3,4 | 1,55 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-19 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 22.00 | 188 | ვეენდამი-ემენი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 22.00 | 189 | ტელსტარი-ვოლენდამი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 190 | ჰელმონდი-ოსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 191 | ზვოლე-კამბური | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 192 | ჰერაკლესი-დორდრეხტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 193 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 22.00 | 194 | მაასტრიხტი-ექსელსიორი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 195 | ვენლო-იგლსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 17.30 | 196 | დან ჰააგი-დენ ბოსხი | 4,0 | 3,1 | 1,8 |

### ბელგია. I დივიზიონი. 21-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 თებერვალი** | | | |
| 23.30 | 197 | შარლერუა-ანდერლეხტი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 23.00 | 198 | ბეერსხოტი-ლუვიე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 199 | ბეერსხოტი-ლუვიე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 200 | ბევერენი-ლიერსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 201 | ვესტერლო-გენკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 202 | სენტ ტრუიდენი-გენტი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23.00 | 203 | მეხელენი-ლოკერენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 204 | ბრიუგე-სტანდარდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 205 | ბრიუგე-სტანდარდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 206 | ჰარელბეკე-ანტვერპენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 207 | აალსტი-მუსკრონი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

### ბელგია. II დივიზიონი. 22-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 22.30 | 208 | გეელი-ლომელი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 22.30 | 209 | დესელი-ჰეუსდენი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 210 | სერკლი-რუზელარე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 211 | ინგელმუნსტერი-მონსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 212 | სტრომბეკი-ლიეჟი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 18.00 | 213 | დენდერლეუ-მაასლანდი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 18.00 | 214 | ოსტენდე-დაინცე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.00 | 215 | ჰეკელგემი-ტურნჰაუტი | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 18.00 | 216 | ტინენი-მოლენბეკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### საბერძნეთი. მე-17 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 21.00 | 217 | ოლიმპიაკოსი-ოფი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 218 | ოლიმპიაკოსი-ოფი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 18.15 | 219 | კალამატა-ქსანთი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 19.00 | 220 | პანაჰაიკი-ირაკლისი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 19.00 | 221 | იონიკოსი-ეთნიკოსი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 19.00 | 222 | პაოკ-იანინა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 223 | პაოკ-იანინა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 224 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 225 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 21.00 | 226 | პანილიაკოსი-არისი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **5 თებერვალი** | | | |
| 17.00 | 227 | აეკ-ათინაიკოსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 228 | აეკ-ათინაიკოსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### თურქეთი. მე-19 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 თებერვალი** | | | |
| 22.00 | 229 | სამსუნი-გაზიანთეფი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 15.30 | 230 | რიზე-იეთფა | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 15.30 | 231 | დენიზლი-იოზგათი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 232 | ერზურუმი-გალათასარაი | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| 21.00 | 233 | ბეშიქთაში-ანთალია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 234 | ბეშიქთაში-ანტალია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 15.30 | 235 | ბურსა-ტრაბზონი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 15.30 | 236 | ადანა-გენჩლერბირლიგი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 15.30 | 237 | ქოჯაელი-ანკარაგიუჯიუ | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 238 | ისთანბული-ფენერბაჰჩე | 3,5 | 3,0 | 1,9 |

### შოტლანდია. 27-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 16.55 | 239 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 240 | რეინჯერსი-დანფერმლაინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 241 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 19.00 | 242 | დანდი იუნაიტედი-სენტ ჯონსტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 243 | კილმარნოკი-მოზერუალი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 244 | სენტ მირენი-დანდი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 22.05 | 245 | ჰართსი-სელტიკი | 4,4 | 3.0 | 1,7 |

### კალათბურთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 თებერვალი** | | | |
| 04.00 | 801 | ინდიანა-დენვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.00 | 802 | ფილადელფია-ორლანდო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 803 | ატლანტა-მაიამი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 804 | ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი | 2,8 | 12,0 | 1,25 |
| 05.00 | 805 | დეტროიტი-ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.30 | 806 | ლეიკერსი-შარლოტი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 807 | საკრამენტო-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | | **3 თებერვალი** | | | |
| 04.00 | 808 | ტორონტო-მინესოტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.00 | 809 | ვაშინგტონი-დენვერი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 810 | კლივლენდი-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 811 | ორლანდო-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 812 | დალასი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 813 | მილუოკი-ინდიანა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 814 | სან ანტონიო-ჰიუსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 06.00 | 815 | იუტა-სიეტლი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.00 | 816 | ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 07.30 | 817 | კლიპერსი-პორტლენდი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| | | **4 თებერვალი** | | | |
| 22.00 | 818 | მაიამი-ნიუ იორკი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 00.30 | 819 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 03.00 | 820 | ბოსტონი-კლივლენდი | 1,4 | 12,0 | 2,0 |
| 03.00 | 821 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 05.00 | 822 | ფინიქსი-შარლოტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | | **5 თებერვალი** | | | |
| 04.00 | 823 | ფილადელფია-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.00 | 824 | ტორონტო-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 04.30 | 825 | ატლანტა-დალასი | 2,5 | 12,0 | 1,25 |
| 05.30 | 826 | ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 05.30 | 827 | სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.00 | 828 | სიეტლი-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 07.30 | 829 | კლიპერსი-ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 2,8 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მსოფლიოს ჩემპიონატი. მერვედფინალი

HANDBALL 2001

# ისლანდიის ამბოხი იუგოსლავიამ ჩააქრო



საფრანგეთი — პორტუგალია. ვიქტორ ჩიკალაევი ფრანგთა კაპიტან ჯექსონ რიჩარდსონს გადაელობა

***საფრანგეთის ქალაქებში მიმდინარე ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხშაბათს მერვედფინალური მატჩები გაიმართა და 8 საუკეთესო ნაკრებიც გაირკვა. ამ გუნდებმა გუშინ მეოთხედფინალებიც ითამაშეს, მაგრამ რადგან ისინი ჩვენი დროით ძალიან გვიან დამთავრდა, ამიტომ მათ შესახებ ხვალ მოგითხრობთ.***

### უკრაინა 37:34 ხორვატია

(ძირითადი დრო 29:29)

(პირველი დამატებითი დრო 32:32)

ყველაზე დაძაბული და დრამატული უდავოდ ეს თამაში იყო, რომელშიც გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დროის ორჯერ დანიშვნა გახდა საჭირო. თავიდან ბრძოლა თანაბარი იყო და 6 წუთის შემდეგ ანგარიშში თანაფარდობაც აღინიშნა — 2:2. მერე ინიციატივას უკრაინელები დაეუფლნენ, რომლებიც დაცვაში მშვენივრად ირჯებოდნენ. მათი ფრთები კი უმალ კონტრშეტევებით აგვირგვინებდნენ მცველთა მიერ მეტოქის ჩაშლილ იერიშებს (6:2, მე-11 წუთი). თუმც ალსანიშნავია, რომ ექსსაბჭოელებს ექსიუგოსლავიელებიც უიოლებდნენ ამოცანას, იმდენად უნიათოდ მოქმედებდნენ. თვით „ბარსელონას" საუცხოო ფრთა პატრიკ კავარმაც კი გააცუდა 7-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნა, რაც უიშვიათესი შემთხვევაა.

უკრაინელთა გამთამაშებელი ოლეგ ველიკი მატჩს მშვენივრად წარმართავდა და ცოტა ხანში მისი გუნდი 10:3 დაწინაურდა. ხორვატებმა მისთვის პერსონალური მეურვეობის დაწესება ნაგვიანევად მოიფიქრეს. ამის მიუხედავად, „ესენის" წევრი საკმაოდ შეიბოჭა და შესვენების წინ ანგარიშში სხვაობა ცოტათი შემცირდა — 15:11.

მეორე ნახევარი უკრაინამ უხეშად დაიწყო და ზედიზედ ორჯერ აღმოჩნდა რიცხობრივ უმცირესობაში, რითაც მშვენივრად ისარგებლა ხორვატიამ და ბოლიჩის ზუსტი ტყორცნების წყალობით 36-ე წუთზე მეტოქეს წამოეწია — 16:16. ველიკისგან „მიტოვებულ" გუნდს ძლიერ გაუჭირდა, მაგრამ მოწინააღმდეგეს წინ გასვლის საშუალება მაინც არ მისცა, რაც მეკარე ბუდკოსა და კოსტეცკის დამსახურებაა. ეს უკანასკნელი მეორე ტაიმში სალათას ძილიდან გამოფხიზლდა და ხუთი გოლი. შეაგდო მაშინ, როცა, შესვენებამდე ერთხელაც ვერ გამოიჩინა თავი.

მერე უკრაინის მთავარმა მწვრთნელმა ვლადისლავ ციგანოვმა თავისი მეტოქე-კოლეგისგან აიღო მაგალითი და ბოლიჩის პერსონალურად დაჭერა ბრძანა, რამაც მყის გაამართლა და წინ ისევ ექსსაბჭოელები გავიდნენ — 28:25. თუმცა ხორვატებმა რაღაც მანქანებით ოთხ წუთში ანგარიშის გათანაბრება (29:29) შეძლეს და ორი დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმის თამაშის უფლებაც მიიღეს. ოღონდ გამარჯვებულის გამოვლენას ეს დრო არ ეყო და ხელბურთელებმა კიდევ 10 წუთი ითამაშეს, რის მერეც უკრაინა დარჩა მოგებული.

### საფრანგეთი 23:18 პორტუგალია

მასპინძელთა იოლი გამარჯვების სანახავად მომზადებულ ალბერვილელებს კარგა ხლომად ნერვიულობა შეხვდათ. პორტუგალიელებმა მატჩი თამამად დაიწყეს და მალე 4:1 დაწინაურდნენ. თუმცა, რა უცნაურიც არა უნდა იყოს, ფრანგთა დაცვის ამაში დადანაშაულება არ შეიძლება. უბრალოდ, „ლურჯები" თავდასხმაში ბევრს სცოდავდნენ და დაკარგული ბურთების რაოდენობა კატასტროფულად იზრდებოდა. მათდა საბედნიეროდ, კაპიტანმა რიჩარდსონმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, ბერტრან ჟილმაც გამოიდო თავი და მე-20 წუთზე 6:6 გახდა.

თუმცა პირინეელები არ გატყდნენ. ფელიპე კრუზის დუბლის წყალობით ისინი კვლავ დაწინაურდნენ (9:7) და საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დანიელ კონსტანტინიც მდგომარეობიდან გამოიყვანეს. მანაც ითამაშეს მოითხოვა. ამასთანავე კარში გოდენის ნაცვლად მარტინი ჩააყენა, მარცხენა ფრთაზე კი ჟირო გაამწესა. სწრაფმა გარემარბმა დამრიგებელს იმედი არ გაუცრუა და ჯერ კრუზი გააძევებინა დროებით, მერე კი, შესვენებამდე 7 წამით ადრე, პენალტიც „აიკიდა". ფერნანდესის ზუსტი ტყორცნის შემდეგ ანგარიში 10:10 გახდა.

მეორე ტაიმში მარტინიმ რამდენიმე ტყორცნა მოიგერია და თავისიანებს წინ გასვლის შესაძლებლობა მისცა (12:11). თუმცა დაძაბულობა არ შენელებულა და მაყურებლებმა მხოლოდ 46-ე წუთზე ამოისუნთქეს, როცა პატრიკ კაზალის გოლმა საფრანგეთი 17:14 დააწინაურა. ოთხ წუთში ბერტრან ჟილმა „ლურჯები" ოთხი ბურთით გაიყვანა წინ (19:15) და კონსტანტინიც დამშვიდდა. პორტუგალიელებიც მიხვდნენ, რომ წაგება გარდაუვალი იყო და მეოთხედფინალში გაუსვლელობასაც შეეგუვნენ.

### იუგოსლავია 31:27 ისლანდია

ბრანისლავ პოკრაიაჩის გაწვრთნილებმა ლოგიკურად სძლიეს ისლანდიელებს, რომლებმაც ცუდად დაიწყეს და, მიუხედავად მეორე ტაიმის შუაწელში გამოფხიზლებისა, მაინც წააგეს. დრაგან სკრბიჩი და კომპანია თავიდანვე ბრწყინვალედ ირჯებოდა. ფრთებმა — მატიჩმა და მილოსავლიევიჩმა თითო გოლი შეაგდეს, ჯორჯიჩმა მეტოქეს ერთიც არ გაატანინა და მეორე წუთზე ანგარიში 2:0 იყო. ისლანდიელებს 202-სანტიმეტრიანი კუბური წარმოშობის ხულიან დურანონა აკლდათ და მის გარეშე საკუთარი თამაშის პოვნა უჭირდათ. ამიტომაც მალე 1:5 ჩამორჩნენ.

სკანდინავიელთა თავკაცმა იენსონმა 3:6-ზე ჩართო დურანონა მატჩში, თუმცა ამას თამაშის ბედზე თითქმის არანაირი გავლენა არ მოუხდენია. ლისიჩიჩს და კოკირს გოლები გაჰქონდათ, ჯორჯიჩი კვლავ შეუვალი იყო და ტაიმი სლავებმა 15:10 მოიგეს.

შესვენების შემდეგ ისინი რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ, მაგრამ მილოსავლიევიჩმა მაინც გაზარდა ანგარიშში სხვაობა. სწორედ ამ დროს დაიწყო ისლანდიელთა ამბოხი — მარჯვენა ფრთა იონსონმა ზედიზედ ორი გოლი გაიტანა. 42-ე წუთზე ანგარიში 20:18 გახდა, მაგრამ ჯანყი გამოცდილმა იოვანოვიჩმა ჩააქრო ასევე წყვილი გოლით. მერე ისევ ლისიჩიჩმა გამოიდო თავი და სლავებს გამარჯვება აღარ გასჭირვებიათ.

### ეგვიპტე 24:21 ალჟირი

აფრიკის ჩემპიონატის მომგებმა ეგვიპტემ დაამტკიცა, რომ შავ კონტინენტზე პირველობა შემთხვევით არ დაუსაკუთრებია და ალჟირი მძიმე ბრძოლაში, მაგრამ მაინც დაამარცხა.

თუმცა ალჟირელთა წაგებას ობიექტური მიზეზებიც მრავლად ჰქონდა. მისი ძირითადი შემადგენლობის ხუთი წევრი ტრავმირებული იყო და მოედანზე გასვლა ვერ შეძლო. ამის მიუხედავად, ამჩევილელი მაყურებლის მიერ გამხნევებულმა ალჟირელებმა შეხვედრა მაინც რიხიანად დაიწყეს და მე-12 წუთზე 5:3 დაწინაურდნენ, რაც უმთავრესად ნეჯელის დამსახურებაა, რომელმაც ამ დროში 4 გოლის შეგდება მოახერხა. თუმც ამის შემდეგ „ფარაონებმა" გაილაღეს და 9-წუთიანი მონაკვეთი 6:0 მოიგეს. ეგვიპტელებში, მეტოქისგან განსხვავებით, მეგოლეობა ერთბაშად რამდენიმე ხელბურთელმა იკისრა და შედეგად მათ ტაიმი 12:8 დაასრულეს თავიანთ სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ ალჟირის დაცვამ მოწინააღმდეგეს ბევრი თავსატეხი გაუჩინა და ანგარიშში სხვაობაც მინიმუმამდე შემცირდა. მაყურებლის ფავორიტებს ორჯერ შეეძლოთ გათანაბრებაც, მაგრამ ეგვიპტის მეკარე ელ ნაკიბმა არ მისცა მათ ამის საშუალება. მერე მისმა თანაგუნდელებმა კონტრშეტევებზე გამოიჩინეს თავი და შემდეგ ეტაპზეც გავიდნენ.

### შვედეთი 32:23 არგენტინა

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე იოლად შვედეთმა გაიკაფა გზა მეოთხედფინალისკენ. მსოფლიოს ჩემპიონებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს არგენტინელებმა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის ამ სტადიაზე პირველად იყვნენ. სკანდინავიელებმა საქმე თავიდანვე მოითავეს, როცა 7 წუთში 6:0 დაწინაურდნენ. შემდეგ მათ ძირითადის რამდენიმე ხელბურთელს დასვენების საშუალება მისცეს, მაგრამ ტაიმი მაინც 18:10 მოიგეს.

ბევრს ეგონა, რომ მეორე ოცდაათწუთეული სამხრეთამერიკელებისთვის კოშმარული იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. თავიდან ისევ შვედეთი გაიჭრა წინ, ოღონდ ლათინებმაც გამოიღეს ხელი. მათ დროის ერთი მონაკვეთი 4:1-იც კი მოიგეს და 52-ე წუთზე ანგარიში 26:22 გახადეს.

ეს კი შვედებმა აღარ აპატიეს გაკადნიერებულ მეტოქეს და დარჩენილ წუთებში ჭკუაც ასწავლეს. საბოლოოდ 32:23.

### ესპანეთი 28:23 ნორვეგია

პირინელებმა ფიზიკურად ნამდვილად უკეთ მომზადებულ ნორვეგიელებს ბოლომდე გაუძლეს და მეკარე დავიდ ბარუფეტის ბრწყინვალე გარჯის წყალობით გაიმარჯვეს კიდეც. დებიუტიდანვე დაიწყო დუშებაევისა და ბერგის, შჩეპკინისა და იენსენის დუელები, რომლებიც ესპანელთა უპირატესობით წარიმართა. ისინი მალე 6:3 დაწინაურდნენ და ამ დროს ანდრეი შჩეპკინიც გაუგდეს, თუმცა გოლი ისევ მათ გაიტანეს. ბარუფეტმა ბერგს პენალტიც აუღო და მე-20 წუთზე ანგარიშში სხვაობა 5 ბურთამდე გაიზარდა (12:7).

მეორე ნახევარი ნორვეგიამ უკეთ დაიწყო და ერთხანს წამოეწია კიდეც მოწინააღმდეგეს, მაგრამ ბარუფეტის, რომელმაც 4 (!) შვიდმეტრიანი მოიგერია, შჩეპკინის, გარალდას, დუშებაევის და სხვათა კლასი სკანდინავიელებისაზე მაღალი იყო, რამაც, მატჩს ლოგიკური დასასრული მოუტანა.

### გერმანია 26:24 ტუნისი

საფრანგეთის თავკაცმა დანიელ კონსტანტინიმ ამ შეხვედრაში „ორი დამატებით დრო მაინც" ისურვა, რათა მეოთხედფინალში მათი მოწინააღმდეგე დაქანცული ყოფილიყო. თუმცა გერმანიამ კონსტანტინის სურვილი არ გაითვალისწინა და ტუნისელთა ტურნირიდან გამოსათიშად მხოლოდ 60 წუთი იკმარა.

გოლიათი ცენტრ დრაგუნსკის გადამკიდე აფრიკელებს გერმანელთა დაცვასთან ჭიდილი ძალიან გაუჭირდათ. მათაც ხერხს მიმართეს და შეტევათა უმეტესობა ფრთებიდან წარმართეს, მაგრამ დიდ წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს. ევროპელები ტაიმის შუაში ხუთი ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ მერე ტუნისის მეკარე „გაგიჟდა" და სწორედ ამის შედეგია საბოლოოდ მხოლოდ ორბურთიანი სხვაობა ანგარიშში, თორემ გერმანელებს წაგების საფრთხე რეალურად წამითაც არ დამუქრებიათ.

### რუსეთი 28:26 კორეა

თამაშის წინ კორეელთა დამრიგებელმა სონგჰონ კიმმა თავისი გუნდი განწირულად ჩათვალა ოლიმპიურ ჩემპიონებთან ორთაბრძოლაში და დაამატა, რომ კორეის გამარჯვება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ რუსთა მეკარე ანდრეი ლავროვი არ ითამაშებდა. არც შემცდარა კიმი.

მარჯვენა ხელის ტრავმამოშუშებული ლავროვი ძირითადში იყო, სამი პენალტის გარდა სხვა ტყორცნაც ბევრი მოიგერია და საბოლოო შედეგის მიხედვით (28:26), სლავთა გამარჯვებაში უდავოდ ლომის წილი დაიდო. კორეელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ტიტულოვან მეტოქეს არ შეუშინდნენ და ტაიმის მოგებაც კი შეჰკადრეს — 12:11. თუმცა შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და რუსეთმაც ლოგიკურად გაიმარჯვა.

**გაგი გურული**



NHL. ეროვნული … რეგულარული ჩემპიონატი

# გამოაპინგვინეს...

31 იანვარი

**ანაჰაიმი 0:3 ნეშვილი (0:1 0:1 0:1)**

0:1 იაჩმენევი 10 (12), 0:2 ჩიზარი 30 (11), 0:3 არხიპოვი 57 (3)

**პიტსბურგი 1:5 ფილადელფია (1:3 0:2 0:0)**

0:1 პრიმო 1 (21), 1:1 ლემიე 8 (16), 1:2 დ. ჰალი 14 (6), 1:3 პრიმო 18 (22), 1:4 რეკი 29 (11), 1:5 რეკი 38 (12)

**ფლორიდა 5:2 ბუფალო (0:1 1:1 4:0)**

0:1 გრეტონი 4 (14), 1:1 ნილსონი 30 (7), 1:2 რასმუსენი 36 (9), 2:2 უორელი 47 (3), 3:2 პ. ბურე 48 (30), 4:2 იოკინენი 49 (5), 5:2 პ. ბურე 57 (31)

**კოლუმბუსი 2:3 დეტროიტი (1:0 1:2 0:0 0:1)**

1:0 კნუტსენი 12 (7), 1:1 დევერო 30 (2), 2:1 ჰაინცი 30 (14), 2:2 დიუშენი 34 (3), 2:3 აიზერმანი 61 (10)

**ედმონტონი 3:2 ჩიკაგო (0:0 2:1 1:1)**

1:0 მორო 27 (7), 1:1 მაკამონდი 28 (9), 2:1 კომრი 29 (2), 2:2 ეჩინამი 45 (1), 3:2 ჰორკოფი 49 (5)

**აილენდერსი 3:2 ნიუ ჯერსი (0:2 2:0 1:0)**

0:1 ელიაში 2 (10), 0:2 სიკორა 19 (19), 1:2 სკაჩარდი 28 (12), 2:2 კონოლი 28 (6), 3:2 ისბისტერი 45 (17)

**რეინჯერსი 4:2 მონრეალი (0:0 2:1 2:1)**

1:0 ჰლავაჩი 23 (21), 2:0 ნედვედი 34 (15), 2:1 რობიდასი 40 (3), 3:1 ნედვედი 57 (16), 3:2 ლინდენი 59 (9), 4:2 პილონი 59 (2)

**კაროლინა 3:4 ტორონტო (0:1 2:2 1:1)**

0:1 სუნდინი 12 (18), 1:1 მალიკი 24 (4), 2:1 ონილი 27 (26), 2:2 ბერეზინი 37 (16), 2:3 ბერეზ[illegible] 40 (17), 2:4 ჰოგლუნდი 51 (16), 3:4 ონილი 56 (27)

მას შემდეგ, რაც მარიო ლემიე დაბრუნდა, მისი პიტსბურგი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. ამის საფუძველი გუნდის ახალი — შემტევი, აგრესიული სტილია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში ამან შედეგი მოიტანა, „პინგვინთა" პატრონი მაინც უკმაყოფილოა და ფილადელფიასთან მატჩმაც არსებული ხარვეზები ნათლად წარმოაჩინა. სტუმრებმა ჩინებულად ითამაშეს, სწრაფი და მწვავე კონტრშეტევებით დააბნიეს მეტოქე, თანაც, გამოირჩნენ ლიდერები — კეიტ პრიმო და მარკ რეკი, რომლებმაც 2-2 შაიბა მიითვალეს. ფილადელფიელთა გულმოწყალება რომ არა, პიტსბურგელები მთლად განადგურდებოდნენ.

დომინიკ ჰაშეკი გახარებული უნდა იყოს, რომ 4 თებერვალს „ოლ სტარში" პაველ ბურე მასთან ერთად იასპარეზებს მსოფლიოს ნაკრებში. „რუსული რაკეტა", გაგულისებული იმით, რომ მისმა გუნდმა პლეი ოფში გასვლის შანსი პრაქტიკულად დაკარგა, მეტოქეთა მეკარეებზე იყრის ჯავრს. ბუფალოსთან შეხვედრის ორი პერიოდის შემდეგ ფლორიდა 1:2 აგებდა და თითქოს განწირული იყო, მაგრამ ბურემ ლიდერობა იტვირთა და საქმეც გამოასწორა. ჯერ იყო და, შავკანიან პიტერ უორელს ზუსტი პასი მიაწოდა, შემდეგ თავად გაიტანა შორეული უძლიერესი დარტყმით და მატჩსაც ეფექტურად დაუსვა წერტილი: ორი მცველი მოატყუა, მათ ჰაშეკიც მიაყოლა და „დომინატორს" შაიბა ფეხებშუა გაუძვრინა. საბოლოოდ რუსმა ჰოკეისტმა 4 (2 გოლი, 2 პასი) ქულა მიითავალა და 31 შაიბით სნაიპერთა დავაში მარკუს ნესლუნდს გაუტოლდა.

დღის სამი მატჩი ერთნაირი ანგარიშით, 3:2 დასრულდა, თანაც დეტროიტმა კოლუმბუსს მხოლოდ ოვერტაიმში სძლია. დამატებით დროში მოგებული თამაშების რაოდენობით „წითელფრთიანები" ყველას სჯობნიან — სულ შვიდჯერ გაიმარჯვეს, აქედან ორჯერ სწორედ კოლუმბუსთან გასვლით მატჩებში მიაღწიეს წარმატებას.

წინა შეხვედრაში დეტროიტთან გამარჯვებით დაარხეინებულმა ნიუ ჯერსიმ აილენდერსთან პაექრობაც არანაკლებ დამაჯერებლად დაიწყო. 14 დარტყმის შემდეგ (მეტოქემ სულ 2 გაახერხა) სტუმართა მიერ მოპოვებული ორშაიბიანი უპირატესობა თითქოს სოლიდური ჩანდა, მაგრამ ორი მარტივი შეცდომის გამო „ეშმაკებმა" 16 წამში 2 გოლი გაუშვეს, ინიციატივაც დაკარგეს და საბოლოოდ მატჩიც წააგეს.

კერტის ჯოზეფისთვის კი კაროლინასთან მოგება კარიერაში 306-ე გახდა, რის შედეგადაც მან ლიგის ისტორიაში მე-15 ადგილზე აინაცვლა.

**სამველ ღარიბიანი**

**საქართველოს ხელბურთის ასოციაცია და ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები სამძიმარს უცხადებენ ყოფილ ხელბურთელს, ნაკრები გუნდის ექიმს იური გოგიაშვილს შვილის**

**ირაკლი გოგიაშვილის**

**დაღუპვის გამო.**

# კრივალოსანი



ლენოქს ლუისი ხალხს დაკარგულ სიამოვნებას უბრუნებს

**ლონდონში** პრეს-კონფერენცია გამართა კორპორაცია BBC-ს სპორტული პროგრამების დირექტორმა პიტერ სელმონმა. მან ოფიციალურად დაადასტურა, რომ მძიმეწონოსანმა ჩემპიონმა, ლენოქს ლუისმა BBC-სთან კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც ლუისის უახლოეს ბრძოლას ამერიკელ ჰასიმ რაჰმანთან პირდაპირ ეთერში სწორედ მათი კომპანიის პირველი არხი გადასცემს. ეს ბრძოლა 21 აპრილს გაიმართება, თუმცა სად, ლას ვეგასში თუ მონაკოში, ჯერ დადგენილი არ არის.

ამ კონტრაქტით საკრივო სამყაროში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: ბრიტანეთში რვაწლიანი „ბატონობის“ შემდეგ ტელეკომპანია SKY-მ უდიდესი საკრივო მოვლენის ტრანსლიაცია BBC-ს „გადააბარა“.

„მეც ბედნიერი ვარ, რომ BBC-სთან კონტრაქტის წყალობით მაყურებელს ზოგიერთი დაკარგული სიამოვნება დაუბრუნდება. ამიერიდან ბრიტანელები ჩემს ბრძოლებს ყოველგვარი საფასურის გარეშე, სახალხო ტელევიზორით იხილავენ. რინგზე ჩემი ასვლა გაპრანჭული შოუებით აღარ იქნება შეზავებული. ეკრანზე ნაღდი კრივი გამოჩნდება“ — განაცხადა თავად ლუისმა, რომელიც პრეს-კონფერენციას ბიზნეს-მენეჯერთან, ადრიან იგანთან ერთად ესწრებოდა.

ცნობისთვის: ლენოქს ლუისის ბრძოლა კომპანია BBC-მ ბოლოს 1991 წელს გადასცა. ეს გახლდათ ჩხუბი ქვემძიმე წონის (79,5 კგ) ევროპული ტიტულისთვის, რომელშიც ლუისმა გერი მეისონს მეშვიდე რაუნდში აჯობა.

* * *

**სრულიად** გაუგებარია, ვის უნდა ეჩხუბოს ქვემსუბუქ წონაში (59 კგ) WBO-ს ჩემპიონი, ბრაზილიელი ასელინო ფრეიტასი. ბოლოს და ბოლოს თავისი ტიტული ხომ უნდა დაიცვას?

ბოლო ცნობა კი ის გახლდათ, რომ (თავისივე განცხადებით) ფრეიტასი მარტში, თითქოს ბრიტანელ მაიკლ გომესს უნდა შეებრძოლოს, მაგრამ გომესის ბანაკმა შემოთვალა, ასეთ ჩხუბზე ლაპარაკიც კი არ ყოფილაო.

გომესის მწვრთნელი ბრაიან ჰიუზი: „მარტში ბრძოლა? ფრეიტასთან? ასეთი რამ პირველად მესმის მართალია, მაიკლი მისი უმთავრესი მეტოქეა, მაგრამ ფრეიტასმა ეს მარტ საიდან მოიტანა, სრულიად გაუგებარია“.

* * *

**მძიმე წონაში** ყოფილმა ჩემპიონმა მაიკლ გრანტმა თავისი მრჩევლების, ჯიმ თომასის და კრეიგ ჰემილტონის პირით საზოგადოებრიობას შეუთვალა, მწვრთნელთან, დონ ტერნენთან ურთიერთობა გავწყვიტეო. მრჩევლებმა ისიც თქვეს, რომ ურთიერთობის გაწყვეტა ერთობ კაცურად მოხდა, ხოლო ვინ შეცვლის ტერნერს, ჯერ უცნობია, რადგან ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე მხრის ოპერაციაა გასაკეთებელი.

გრანტს, შარშანდელი აპრილის, ანუ ლენოქს ლუისთან ჩხუბის შემდეგ, რინგზე ფეხი აღარ შეუდგამს, მაგრამ მხრის ტრავმა რომ არა, ახლა, იანვარში, ელიესერ კასტილიოსთან იბრძოლებდა.

* * *

**მაისში**, „ნიუ იორკის“ მედისონ სკვერ გარდენში, ზედიზედ ორ უქმეებზე, შეიძლება ორი საინტერესო ბრძოლა გაიმართოს. პირველი, ალბათ, პირველ საშუალო წონაში იქნება (72,6 კგ), მეორე კი პირველ ქვესაშუალოში (66,7 კგ). პირველ ქვესაშუალოში ასეთი ამბავია: ჯერ, უახლოეს მომავალში WBC-ს ჩემპიონმა კოსტია ძიუმ და WBA-ს ქამრის მფლობელმა შარმბა მიჩელმა უნდა იჩხუბონ და მერე, მაისში, მათ შორის გამარჯვებულმა IBF-ის ტიტულოსან ზაბ ჯუდას უნდა მოუსინჯოს კბილი. პირველ საშუალოში კი ფელიქს ტრინიდადი WBA-ს ქამრისთვის უილიამ ჯოპის შეებმება. ეს ამბავი საბოლოოდ ორიოდ კვირაში გაირკვევა, როდესაც „დონ კინგ პროდაქშენზი“ მოკრივეებს შორის პირობებს შეათანხმებს.

* * *

**WBC-ს საშუალო წონის ჩემპიონყოფილს, დევიდ ჰილტონს 1995-98 წლებში 14 წელს მიტანებული ორი და ძალით ხასებად დაუსვამს. შემდეგ ეს ამბავი გახმაურებულა და დღეს მოკრივეს ცხრა ბრალდებით სასამართლოში ურჩევენ საქმეს. ბოლოჟამს კი გაირკვა, რომ ჰილტონი გოგოების დედასაც შავ დღეში ამყოფებდა. როგორც ერთ-ერთმა დამ თქვა, დედა რომ არ დანებებოდა, მოძალადე ცემით სულს ამოხდიდაო. კანადის ფრანგულ პროვინცია კვებეკში პროცესი გრძელდება.**

* * *

**ფილადელფიაში** ასეთი ამბავი მოხდა: კრივის ცნობილი მწვრთნელის, ელ მიჩელის ვაჟი, 36 წლის პოლიციელი ქუინ როუზი, საკუთარ ბინაში მოკლეს. მისი გვამი სამხრეთ ჰოლივუდის ქუჩაზე მდებარე სახლის სასადილო ოთახში შუადღის 2 საათზე იპოვნეს. საქმე ის გახლავთ, რომ როუზი სამსახურში 12 საათზე უნდა მისულიყო და რომ არ გამოჩნდა, თანამშრომლები შეშფოთდნენ.

„ის ჩემთვის შვილზე მეტი იყო“ — განაცხადა დამწუხრებულმა მამამ, რომელიც ამერიკის ნაკრებს 1996 წლის ოლიმპიადაზე ხელმძღვანელობდა — „ჩვენ ძმებივით ვიყავით, ნებისმიერი გაჭირვების დროს მხარში მედგა. ქუინ როუზი ჩემი გმირი გახლდათ“.

**ტუტა სიხარულიძე**



# ოთხი მეხუთედი გარკვეულია

## 88-ე ტური გურულის ნაკვალევზე დაიწყება

„შარშანდელი გამარჯვებულის, ლენს არმსტრონგის „პოსტალი“ (აშშ) და სამი დიდი ტურნირის გუნდური ჩათვლის მომგებნი — „კელმე“ (ესპანეთი) და „მაპეი“ (იტალია) მოვიწვიეთ. შემდეგ მსოფლიოს პირველი დივიზიონის პირველი ათეულის „ტელეკომი“ (გერმანია), „ბანესტო“ (ესპანეთი), „ონსე“ (ესპანეთი), „ფასა ბორტოლო“ (იტალია), „ლამპრე“ (იტალია), „რაბობანკი“ (ჰოლანდია) დავპატიჟეთ. ამას დავუმატეთ ბელგიური „დომო“, რომელიც ახალშექმნილ გუნდებს შორის უდავოდ ყველაზე ძლიერია. ბოლოს კი ექვსი ფრანგული გუნდი ავარჩიეთ, რომელთაგან სამი პირველ დივიზიონშია და სამიც მეორეში („პრევუაიანსი“, „ბონჟური“, „კოფიდისი“, „კრედი აგრიკოლი“, „ფესტინა“ და „დელატური“). ჩვენი არჩევანი სრულიად ობიექტური და გამართლებულია“ — განაცხადა „ტურ დე ფრანსის“ დირექტორმა ჟან-მარი ლებლანმა „ტურის“ პელოტონის წარდგენისას. რიგით 88-ე „ტურ დე ფრანსი“ 7 ივლისს დაიწყება ჩრდილოეთ საფრანგეთის საპორტო ქალაქ დანკერკში, რომლის საფეხბურთო კლუბის რიგებში ერთ დროს საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი გია გურულიც გამოდიოდა.

ზემოთ ნახსენები 16 გუნდის გარდა „ტურის“ სტარტზე კიდევ ოთხი გუნდი იასპარეზებს, რომლებიც სეზონის დასაწყისში სხვადასხვა კრიტერიუმებით შეირჩევიან და რომელთა ვინაობასაც აპრილის ბოლოს გავიგებთ.

ლებლანისა და მისი თანამშრომლების არჩევანს ელის ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პირველი დივიზიონის ბევრი გუნდი, რომელთა რიგებშიც ერთადერთი ცნობილი და მნიშვნელოვანი მრბოლი ირიცხება. მაგალითისთვის რამდენიმე მათგანის ჩამოთვლაც იკმარებს: იტალიური „მერკატონე უნო“ და მარკო პანტანი, დანიური „უორლდ ონლაინი“ და ლორან ჟალაბერი, გერმანული „კოასტი“ და ალექს ცულე, იტალიური „საეკო“ და მარიო ჩიპოლინი... ამათ დავუმატოთ „ტურის“ ორგზის გამარჯვებულის, ამერიკელი გრეგ ლემონდის სამენეჯერო „მერკური“, ბელგიური „ლოტო“, რომელიც საფრანგეთის გზებზე თითქმის მუდმივად გამოდიოდა, ძლიერ მოძლიერებული ესპანური „ესკატელი“ და ორი ფრანგული გუნდი — „ფრანსეზი“ და „ბიგმატი“. სწორედ ამ გუნდებიდან აირჩევა, სავარაუდოდ, დანარჩენი ოთხი ბედნიერი, ოღონდ ამისთვის მათ აპრილის ბოლომდე ჟან-მარი ლებლანი თავიანთ სიძლიერეში უნდა დაარწმუნონ.

„კარი არასოდეს არავისთვის მიგვიხურავს“ — განაცხადა „ტურის“ დირექტორმა და ეს „დელატურის“ მიწვევით დაასაბუთა, გუნდისა, რომელმაც შარშან მას გუნდების სუბიექტური შერჩევის გამო სასამართლოში უჩივლა. თუმცა „დელატურის“ 2001 წლის „ტურის“ პელოტონში მოხვედრა შეიძლება სწორედ შიშის ბრალია და არა ლებლანის მხრიდან კეთილი ნების გამოვლენა.

**გაგი გურული**



თუ მათი გუნდები ორგანიზატორებმა არ დაპატიჟეს,
ლორან ჟალაბერი, ალექს ცულე და მარკო პანტანი წლევანდელ „ტურს“ გამოტოვებენ



# ჩემპიონებმა ლინარესს შეგანეს

**რამდენიმე** დღეში ლინარესის სუპერტურნირი იწყება, მაგრამ „სუპერს“ ამ უმთავრეს საჭადრაკო ღონისძიებას წლეულს ვერ უწოდებ: ორივე მსოფლიოს ჩემპიონმა მასში თამაშზე უარი განაცხადა, შესაბამისად, გრანდიოზული დაპირისპირება კასპაროვს, კრამნიკსა და ანანდს შორის, რომელსაც ახალ საუკუნეში ელიტარული ჭადრაკის რანგთა ტაბელი თავიდან უნდა მოეხაზა, არ შედგება. დიდი სამეული ერთმანეთს უკვე შეხვდა საჭადრაკო სარბიელზე, ვიიკ-აან-ზეეს ახლახან გასრულებულ ტურნირში და ამგვარი ამბავი წლეულს, ალბათ, აღარც განმეორდება, ამიტომ ჰოლანდიური მოვლენები ყურადღებას იმსახურებს.

ნახსენები ხალხის გვერდით ვიიკ-აან-ზეეში საჭადრაკო ელიტის თითქმის მთელი ნაღები წარდგა, როგორც წერილის ბოლოს დართული ცხრილიდან მოჩანს. 13-ტურიანი ბატალიების შედეგები ლოგიკური იყო: მაგრები თავში, სუსტები (უმეტესად მასპინძლები) — ბოლოში. გარი კასპაროვმა ტურნირი 9 ქულით მოიგო, რაც ანანდზე ნახევრითა და კრამნიკზე მთელი ქულით მეტი გახლდათ. უდიდესია მსოფლიოს ექსჩემპიონისთვის ამ გამარჯვების მნიშვნელობა. პრესკონფერენციებსა და ინტერვიუებშიც კასპაროვი მოჭადრაკის შესაფერისად დინაჯად კი ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც კმაყოფილება ეტყობოდა. „ჩემპიონი კრამნიკია — თქვა კასპაროვმა სხვათა შორის — ტურნირს არაფერი შეუცვლია იურიდიულად, უბრალოდ, რეალური სტატუს-კვო გაამყარა. კრამნიკზე კიდევ იმას ვიტყვი, რომ იგი მორალურად ვალდებულია, მატჩ-რევანში მეთამაშოს, თუმცა დღევანდელ ახალგაზრდობას მორალურ ღირებულებებზე სხვა წარმოდგენა უნდა ჰქონდეს. დრო კრამნიკის მტერია. თუ იგი რამდენიმე ხანში რიგიან კონკურენტს ვერ გაიჩენს, ტიტული გაუიაფდება“. მართლაც, კრამნიკს დაფიქრება მართებს — ფიდესთან გამაერთებელი მატჩის იდეა ჩაიფუშა (ილუმჟინოვი მეორე ჩემპიონს არ ცნობს), ხოლო კომპანია „ბრაიან გეიმზ ნეტუორკი“, რომელმაც კონტრაქტით ალტერნატიული შესარჩევი ციკლის ჩატარება ისურვა, ჯერ დუმს. მეორე მხრივ, კასპაროვს ფულის მოზიდვა და ჭადრაკში ჩადება ბარე ორზე კარგად ეხერხება.



გარი კასპაროვს ტურნირის მთავარი პრიზი ერგო

**დავით გულუა**

**საბოლოო შედეგები**

1. გარი კასპაროვი (რუსეთი) 9 ქულა; 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 8,5; 3-4. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) 8; 5-7. მაიკლ ადამსი (ინგლისი), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 7,5; 8. პეტერ ლეკო (უნგრეთი) 6,5; 9. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 5,5; 10-11. ალექსეი ფიოდოროვი (ბელარუსი), ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) 5; 12-13. იეროენ პიკეტი (ჰოლანდია), სერგეი ტიკიაკოვი (ჰოლანდია) 4,5; 14. იან ტიმანი (ჰოლანდია) 4.



REUTERS მონრეალიდან

# სულის საურავი

ინდოთა სიამაყის და ღირსების ერთ-ერთ საყრდენს, კრიკეტს ამასწინეებზე ქრთამის გამო ატეხილმა სკანდალმა დაუწყო ნჯღრევა, მაგრამ მოკრიკეტეთა სიდიადეს ერთი-ორი, თუნდაც განთქმული ჩილიკოსნის წაბღენილი სახელი ვერას დააკლებს. აი, ნაკრების კაპიტანი საურავ განგული თავის ბრძოლებში ნაცად, ათასი ბურთის ამსხლეტ ტაფელასაც კი ჰყიდის აუქციონზე, რათა ამ კალკუტელ პატარას, ბიდურინ ჩაკრაბორტის ლეიკემიისგან განკურნებაში მიეშველოს.



REUTERS კალკუტიდან

# ახალი პატრონი

არც თუ კარგი დღეები უდგას ჰოკეის უდიადეს კლუბ „მონრეალ კანადიენსს“. ეგებ ამიტომაც აიცრუა გული კლუბის აქციათა მთავარ პაკეტის მრავალწლიანმა პატრონმა, ლუდისმხდელთა კონცერნმა „მოლსონმა“ და მას შეელია. ამიერიდან „კანადიენსის“ აქციათა 80,1 პროცენტი ამერიკელ მილიარდერ ჯორჯ ჯილეტ უმცროსს ეკუთვნის, რომელმაც „მოლსონს“ 275 მილიონი დოლარი გადაუხადა. ახალი პატრონის პირველ პრესკონფერენციაზე მისტერ ჯილეტი შუაში ჩაუყენებიათ „მონრეალის“ ლეგენდარულ კაცებს, გი ლეფლერსა და მორის რიშარს.



REUTERS სანქტ ანტონიდან

# წაგებულები

მარცხის სიმწარე ორივემ იწვნია. ტიროლში, სანქტ ანტონის მთებზე გახურებულ მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ორმა ავსტრიელმა, შტეფან ებერჰარტერმა და ჰერმან მაიერმა (მარჯვნივ), სულ განთქმულმა ჩემპიონებმა, სუპერგიგანტში ვერაფერი დააკლეს ამერიკელ დერონ რალვსს და ვერცხლსა და ბრინჯაოს დასჯერდნენ. ავსტრიელები საშაბათოდ გეგმავენ რევანშს — გაღმელს სწრაფდაშვებაში წავახდენთო.

# ჯუმანას გამოჩენა



AP ფინიქსიდან

ენ-ბი-ეი-ში თამაში არ იქნება, ტრიბუნაზე ვინმე გამოჩენილი რომ არ იჯდეს. „მილუოკი“ — „დენვერის“ თამაშზე, რომელიც მასპინძლებმა 116:111 მოიგეს, რეპორტიორებმა ყველაზე მოდური მოდელი ტაირა ბენქსი ჩაიჭირეს. ტაირა მოდელია და სურათს ყოველთვის გადაუღებენ, აი, ფინიქსის „ამერიკა ვესტ არენაში“ მისული ჯუმანა კიდის და მისი პატარა ვაჟის თიჯეის გამოჩენა კი უფრო საინტერესოა. ჯუმანა ფინიქსელი კალათბურთელის ჯეისონ კიდის ცოლია, სწორედ ის ქალი, ვისაც ქმარმა თეფშები ალეწა თავზე ოჯახური ჩხუბის დროს. საქმე ისა ყოფილა, რომ ჯუმანას ჯეისონისთვის პატარა თიჯეი დაუტოვებია სახლში და რალაც საქმეზე წასულა, მოშიებულ მამას შვილისთვის შემწვარი კარტოფილი შეუთქვლეფია. შინ მობრუნებულ ჯუმანას საყვედური უთქვამს, ჯეისონს კი ის ნაკარტოფილარი თეფში ცოლისთვის თავზე დაუხლია და წიხლებითაც შეუტევია. შეშინებული ქალი ოთახში შეკეტილა და პოლიციაში დაურეკავს. მოკლედ, ჯეისონ კიდს შინაპატიმრობა რგებია, „ფინიქს სანზის“ გასვლით თამაშებზე ყოფნის უფლება მიუღია და საშინაო მატჩში პირველად სწორედ გუშინ გამოსულა. ქმრის გამოსვლა ჯუმანასაც დაუფასებია, „სანზს“ კი ვანკუვერელები დაუმარცხებია 101:92.



AP მილუოკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge